

რას თქვას მარგველაშვილი კრემლს და რას იზიარებს 9 მაისს მოსკოვში
на красном ковре Суркова



სადანლოზა მომხდარი სისხლიანი შურისძიების დღემდე უცნობი დეტალები



რა შურითარება აქვს გიორგი დამატრახან მკვლელობაში ბრალდებულებთან?

EXCLUSIVE

კინეზოლოგისა და რეჟისორის საქმეები ერთმანეთთან ლაშა ნაცვლიშვილმა დააკავშირა?

ვინ არის სკანდალური პერსონის ავტორი და რატომ ღუბს კინეზოლოგის ქვრივი

„არ გამოვიცხადებ, რომ ჩემს წყაროს კავშირი ჰქონდეს ლაშა ნაცვლიშვილთან, ამაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ“

EXCLUSIVE

სკანდალური ინტერვიუ

გიორგი სანაიას საქმის გამომჟღავნებელი 13 წლის შემდეგ ალაკარაკდა EXCLUSIVE

- **ახლა გეტყვით პირდაპირ:** ის, რაც გიორგი სანაიას მკვლელობის გამომჟღავნებელი მოხდა, არასდროს მომხდარა საქართველოს კრიმინალისტიკაში
- **ბრიტკომ გვიაგომ,** როცა ხელში იარაღი ავიღე, გიორგი სანაიამ თავი გვერდზე განია, – განიე იქით, არ გაგვიპარდესო. ზუსტად მაგ დროს გავისროლეო
- **ამ საქმეში იყო ერთი კალიან სანტარასო და საეჭვო დეტალი:** გასაღები, რომელიც ხურცილავამ გიორგის სახლიდან წაიღო



სერგო ძაგნიძე: ფაქტია, რომ არ გამოჩნდა შეკვეთილი მკვლელობა. ეს არც გრიცხოს ფინანსებს დაეცყო და არც მის ოჯახს...

დასავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან, სადაც ებოლა მკვინვარებს, საქართველოში ორი მოქალაქე შემოვიდა

EXCLUSIVE

რით დასრულდება თამარ სანიკიძისა და მანია მიმინოშვილის დაპირისპირება?

„სანიკიძე გვერდი რამ მათვლათ განათლების სისტემაში, ის არის მავნებელი მინისტრი“

„მიმინოშვილი რთული საურთიარო სდავა მინისტრებისთვის“

რუსულ „ტროიკაში“ შეგებული უუნებერო ჯაგლაბი

მია კორკოტაშვილი:

„არ მივცემთ ნაციონალებს უკან დაბრუნების უფლებას, ცხვირ-პირს დავუბტვრავთ იმ ადამიანებს, ვისაც მოუნდება, რომ კიდე მოვიდეს ხელისუფლებაში“

რის გამომ გაუსწორდნენ სეიბარ პატიმარს #18 სამეურნალო დაწესებულებაში

На красном ковре Сыркова

ქეთი ხატიაშვილი

გიორგი მარგველაშვილმა გუნდური თამაშის წესები დაარღვია. პოლიტიკაში ეს უპატივებელი შეცდომაა, თუმცა არამხოლოდ პოლიტიკაში, ლარიბაშვილისთვის მისი გვერდით განევა, ალბათ, ლალატზე მეტია და არამხოლოდ პრემიერისთვის. მარგველაშვილის მხრიდან გუნდთან დაპირისპირება ნამდვილად ლალატია. სულ რაღაც ერთი წლის წინათ „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ერთი ურეიტინგო და ყველასთვის უცნობი ადამიანი საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. და ახლა მას, როცა უკვე არჩეულია და მაღალი ლეგიტიმაცია აქვს, როგორც ჩანს, ერთგულებისთვის სიმამაცე არ ჰყოფნის.

თუმცა მაშინ, როცა მარგველაშვილი ჯერ კიდევ საარჩევნო რინგზე იდგა და ნაციონალურ კანდიდატს დავით ბაქრაძეს უპირისპირდებოდა, „ქართულ ოცნებას“ ერთგულებისთვის გამბედაობა ეყო... ეყო სითამამე, ყურადღება არ მიექცია იმ ნეგატივისთვის, რაც მარგველაშვილის პირად ცხოვრებაზე, მის ჯანმრთელობასა თუ იგივე ლევან ვასაძესთან კავშირებზე იხერხებოდა. მარგველაშვილისა და ვასაძის ერთობლივი ფოტოები მაშინ როგორც კომპრომატი, ისე ვრცელდებოდა. მაგარ გუნდი გუნდია, თუ ერთხელ გააკეთე არჩევანი, შემდეგ იმის გამბედაობაც უნდა გეყოს, რომ სხვადასხვა მხრიდან მიზანიმართულ ან პროვოკაციულ რეჟებს გაუძლო.


ახლა მარგველაშვილი, რომელსაც გია ხუხუაშვილი იცავს, სასაცილოდ გამოიყურება. ზიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, რომელიც სერიოზულ სკანდალებში გაეხვია და საბოლოოდ გუნდიც დაატოვებინეს, როგორც ჩანს, მურისძიებისთვის ყველა სუსტ რგოლს გამოიყენებს. და თუ მარგველაშვილი იქნება ასეთი რგოლი, მის გამოყენებას ახალი ხელისუფლების დასაშლელად სხვებიც შეეცდებიან.

ასე რომ, მარგველაშვილმა უნდა გადამწყვიტოს – საკუთარ გუნდს უღალატებს და პოლიტიკურ ავანტიურაში ჩაერთვება თუ იმ გუნდთან ერთად დადგება, ვინც მას ჯერ კიდევ მაშინ ენდო, როცა სხვები აკრიტიკებდნენ.

გუნდური თამაშის წესები შეიძლება არც დაწერილია და არც პარლამენტში მიღებული, თუმცა მისი დაცვა საჯაროდ უნდა ყველასთვის. მით უფრო იმ პოლიტიკური გუნდისთვის, რომელიც მიიჩნევა, რომ დასავლურ ღირებულებებს იცავს. დასავლური პოლიტიკა სწორედ გუნდურობაზეა აგებული...

ახლა შეიძლება დავა და კამათი მარგველაშვილთან დაკავშირებით. ბოლო სკანდალზე იურისტები განმარტავენ, რომ პრეზიდენტს კანონი არ დაურღვევია, რომ მას ერთი თვის ვადა ჰქონდა იმისთვის, რომ პროკურატურის წერილზე რეაგირება მოეხდინა. თუმცა, ამ თემას აქვს პოლიტიკური მხარეც, მით უფრო პრეზიდენტისთვის, რომელიც პოლიტიკური ფიგურაა და არა მოსამართლე, მხოლოდ იურიდიული ნორმებით რომ ხელმძღვანელობდეს.

რას თხოვს მარგველაშვილი პუტინს და რას იზიიებს 9 მაისს მოსკოვში



მარგველაშვილი გუნდური თამაშის წესებს არღვევს

ყველაფერი პროკურატურა-მარგველაშვილის მიმონერთ არ დაწყებული, ეს სხვა ისტორიების გაგრძელება იყო, თუმცა მხოლოდ ახლა პრეზიდენტის მთავრობასთან დაპირისპირებამ უფრო ღია ხასიათი მიიღო. პროკურატურამ პრეზიდენტს წერილით 12 ივლისსა და 6 აგვისტოს მიმართა, სადაც ის 2009-2013 წლებში სდსს-ისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, მიმდინარე გამოძიების მასალების ნაწილისთვის გრძელ „საიდუმლოს“ მოხსნას ითხო-

ვდა. მარგველაშვილმა პასუხი დააყოვნა, რის შემდეგაც პროკურატურის წარმომადგენლებმა და პრეზიდენტს შორის შეხვედრა შედგა. მხოლოდ ამის შემდეგ მოანერა ხელი მარგველაშვილმა გრივ „საიდუმლოს“ მოხსნას, ანუ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ექსპრეზიდენტის ხარჯები საჯარო გახდა. პრემიერი გაოცებული დარჩა, რატომ დასჭირდა პრეზიდენტს თითქმის თვე იმისთვის, რომ ის დოკუმენტები გაესაჯაროებინა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა... სააკაშვილს დააფარა ხელი?

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ გიორგი მარგველაშვილი იმ პოლიტიკურ ფიგურად მოინათლა, რომელმაც მაგნიტის ფუნქცია შეიძინა. მარტივად რომ ვთქვათ, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებსა და ფიგურებს იმის განცდა გაუჩნდათ, რომ მარგველაშვილი ოპოზიციურ ცენტრს შექმნის და ხელისუფლებას დაუპირისპირდება. ხუხუაშვილმა უკვე დაიწყო მისი დაცვა, ის კი ყოველთვის იქ ჩანს, სადაც თვითგადარჩენის შანსი ეძლევა. ახლა ქართულ პოლიტიკაში გადარჩენის პრობლემა ნამდვილად დგას, მარგველაშვილის საჭიროებაც ამიტომ გაჩნდა და არა იმიტომ, რომ ვინმე მასში პოლიტიკურ ფიგურას ან საიმიდო პარტნიორს ხედავს. მით უფრო, რომ პრეზიდენტმა უკვე რამდენჯერმე დააფიქსირა გაუგებარი პოზიცია. ჯერ ვითომ ვეტოს ადებდა კანონს მონძის დაკითხვის წესის შესახებ, რომელსაც მერე ვეტო არ დაადო და არც განმარტებები გაუკეთებია, ახლა პროკურატურის წერილებს არ პასუხობდა და მერე გრივ „საიდუმლოც“ მოხსნა...

რა ინტერესები აქვს მარგველაშვილს? მან ლარიბაშვილსა და ვასაძეს შორის გააკეთა არჩევანი? ანუ რა არჩევანი გააკეთა? ირაკლი ლარიბაშვილმა ხელი მოანერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა ლევან ვასაძე. ვასაძის რუსეთთან კავშირები უკვე დიდი ხანია

ცნობილია. ის პუტინის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის პირადი მეგობარია. ამიტომაც გამოდის ყოველივე ევროპულის წინააღმდეგ. შეიძლება ევროპაც მოსწონს და ანტიდისკრიმინაციული კანონიც, მაგრამ სურკოვის დაჯალბების მისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. კულტურული ინფორმაციით, მარგველაშვილი ახლა ვასაძეს, ვასაძე სურკოვს და სურკოვი, თავის მხრივ, პუტინს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას სთხოვს. ძნელი სათქმელია, რატომ ეხვევება მარგველაშვილი პუტინს შეხვედრას... თუმცა, ქართული პოლიტიკისთვის ეს ახალი ხილი სულაც არ არის. ადრე ნინო ბურჯანაძე ეხვევნებოდა, მანამდე კი – ზურაბ ნოლაიდელი.

რგველაშვილი მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად, მზად არის 2015 წლის 9 მაისს კრემლის პარადშიც მიიღოს მონაწილეობა. ლევან ვასაძისთვის, რომელსაც არანაკლები პოლიტიკური ამბიციები აქვს, მარგველაშვილის პარადში მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამით ხომ ის სურკოვს დაარწმუნებს, როგორი გავლენები აქვს საქართველოს პრეზიდენტზე, კულისებში ამბობენ, რომ მარგველაშვილი ამ გეგმას უკვე დათანხმდა. სხვანაირად შეუძლებელი იქნება. პოლიტიკური ქულების ჩანერა ამ გეგმით ერთხელ უკვე ზურაბ ნოლაიდელმა და ნინო ბურჯანაძემაც სცადეს. მათ 2010 წლის 21 დეკემბერს „პოკლონაია გორაზე“ გამართულ სამხედრო აღლუმში მიიღეს მონაწილეობა... სხვათა შორის, თავიდან, ამ ინფორმაციას ბურჯანაძეც უარყოფდა და ნოლაიდელიც, თუმცა მოგვიანებით, ზამთრის სუსხიან დღეებში, ორივე პუტინის გვერდით ვიხილეთ. დასაბანი იქნება, თუკი გიორგი მარგველაშვილი კრემლის ნაკვალევზე გაივლის...





Rising development and quality of Tbilisi (TBS) and Batumi (BUS) Airports leads to rising growth of traffic. High quality service and international experience empowers the airports with ever increasing connections to Georgia.

(TBS) **(BUS)**
Tbilisi Airport Batumi Airport

facebook.com/tavgeorgia 



 www.tavgeorgia.com
Please contact marketing@tav.aero for your inquiries



სადასჯლოზე მომსახურების სპირიტის დღეებ

my View მირიან გომიანიძე

რუსთავის საქალაქო სასამართლომ გასული წლის 25 ნოემბერს, სადასჯლო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე საბოლოო განაჩენი გამოაცხადა. მოსამართლემ, გიორგი ფირანიშვილისა და მერაბ კალანდაძის მკვლელობაში ბრალდებულებს – შოთა ჭელიძეს, გიორგი ნავერიანს, არჩილ გოგიშვილსა და ზურაბ კუხალაშვილს 17-17-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

„პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა ამ საქმის დღემდე უცნობი დეტალები და რამდენიმე ფიგურანტის ცნობილი პირებთან კავშირის შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი ბესარიონ კვიციანი.

კვიციანი თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი და ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

ბიზნესმენს, ბესო კვიციანს შევეთანხმდი, რომ პატარკაციშვილის მილიონ ლარად მივცემდი რესტორანს. გადავუფორმე რესტორანი, თუმცა თანხა ამ დრომდე არ ამოიღა. თუ არ დამიდასტურებს, პროკურატურაში მევიტან ყველა საბუთს ამ საქმის ირგვლივ, – აღნიშნა ასლან სმირბაძე.

მისივე ინფორმაციით, ბესო კვიციანი წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და საქართველოში ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.

ასლან სმირბაძეს საქმეზე არა, მაგრამ სადასჯლოს გახმაურებულ საქმეზე საქართველოში დაბრუნებულ კვიციანს საგამოძიებო ორგანოებთან პრობლემები მაინც შეექმნა. ჩვენი ინფორმაციით, ის ჩვენების შეცვლის გამო პასუხისმგებამდე მიეცა და ამჟამად გირაოს სანაცვლოდ არის განთავისუფლებული.



გალიაშიძის მისი მისამართით ნახსენებ ტყვიან მსოფლიო იმიტომ გადაურჩა, რომ მან ავტომობილის კართან განიჭადა...

როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, მას ამჟამადც ახლო ურთიერთობა აქვს პატარკაციშვილის ქვრივთან. სახამ მოგიყვებით, რა კავშირი ჰქონდა მას სადასჯლოზე მომხდარ შურისძიებასთან და რატომ მიეცა პასუხისმგებამდე, მანამდე გეტყვით, რომ პირველად კვიციანს სახელი ბათუმის ყოფილი მერის, ასლან სმირბაძის მიერ გაუღერდა, როდესაც ეს უკანასკნელი რესტორან „სანაპიროს“ უკანონო ჩამორთმევაზე საუბრობდა.

ახალგაზრდებს სომხეთში გადასვლაში ეხმარებოდა. თავდამსხმელები ოთხი მანქანით აუდევნენ და ცეცხლი გაუხსნეს სომხეთში მიმავალ მუკბანიანს, ფირანიშვილს, და მათ გამცილებლებს – მერაბ კალანდაძეს, მარატ მუკბანიანს, ბესარიონ კვიციანს და ილია ბალიაურს.

რეალურად კი საქმე ცოტა სხვაგვარად გახლდათ. ჩვენი წყარო, რომელიც ამ საქმის ყველა დეტალის შესახებ კარგადაა ინფორმირებული, ასეთ რამეს გვიყვება: დილარ მუკბანიანს რამდენიმე დღით ადრე მართლაც ჰქონდა დაპირისპირება ზემოხსენებულ დაკავებულ პირებთან და ისიც იცოდა, რომ დაპირისპირებული ჯგუფი შურს იძიებდა. მუკბანიანის მამა მეგობრობდა ბესო კვიციანსთან, რომელსაც რჩევის საკითხავად სწორედ იმ დროს მიაკითხა, როდესაც კვიციანი ბიზნესმენ მერაბ კალანდაძესთან ერთად იმყოფებოდა. საუბარში ჩართო კალანდაძეც, რომელმაც ურჩიათ, რომ მუკბანიანს რამდენიმე დღით ქვეყანა დაეტოვებინა და დასმარებისთვის საკუთარი ავტომობილიც კი მესთავაზა. დილარის საზღვარზე გადა-



რატომ დაიჭირა თავის დროზე ვანო მერაბიშვილი მერაბ კალანდაძე?

რა კავშირი ჰქონდა ან გარდაცვლილს შაქრო კალაშოვთან?

რატომ მიეცა სადასჯლოს საქმეზე პასუხისმგებამდე ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი?

რა ურთიერთობა აქვს გიორგი დემეტრაძეს მკვლელობაში ბრალდებულებთან?



**ილია გალიაშიძე
ზრავის ვეალები. მამიძის დის, დანა ზაქარაიას მისდა, და ამის მამი გაქცევას ახსნა მანძიძე**

ყვანა იმავე დღეს დაიგეგმა. მერაბ კალანდაძის ავტომობილის საჭესთან მისი მეგობარი ილია ბალიაური დაჯდა, ასევე ავტომობილში იმყოფებოდნენ ბესო კვიციანი და დილარ მუკბანიანი. დილარი საზღვრამდე უნდა მიეცილებინა მის მეგობარს, გიორგი ფირანიშვილსაც, რომელიც სადასჯლოსკენ მუკბანიანის მამასთან ერთად, ცალკე ავტომობილით გაემართა. საქმე ის გახლავთ, რომ თავდამსხმელები დილარ მუკბანიანის მამის ავტომობილს წინასწარ უთვალთვალებდნენ, უკან აედევნენ და რა დროსაც ავტომობილები სადასჯლოს გამშვებ პუნქტს მიუახლოვდნენ, ცეცხლი გაუხსნეს.

თავდამსხმელებმა თავიდანვე მიზანში ამოიღეს დილარ მუკბანიანი, რომელსაც მოულოდნელად 21 წლის გიორგი ფირანიშვილი გადაეფარა. მას ტყვია გულში მოხვდა და იქვე გარდაიცვალა. სროლების დროს მუციელი დაჭრილმა მერაბ კალანდაძემ კი ჩიმი უხლა, რა დროსაც თავდამსხმელებმა მას მანქანა დააჯახეს. კალანდაძეც მალევე გარდაიცვალა. დაჭრილი დი-



გიორგი ფირანიშვილი

ლარ მუკბანიანი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ მას სასამართლოსთვის ჩვენება არ მიუცია, ვინაიდან გამოჯანმრთელებისთანავე ქვეყანა დატოვა.

სასამართლოს ჩვენება მისცა ბესო კვიციანი, რომელიც სროლებს სასწაულებრივად გადაურჩა. კვიციანი გამოძიების ეტაპზეც დაკითხეს, სადაც ზემოხსენებულ მოყვანაზე დასაფიქრო, თუმცა მოულოდნელად მან სასამართლოზე ჩვენება შეცვალა და საქმის ირგვლივ მნიშვნელოვანი გარემოებების გამოლაგება არ ისურვა. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ბესო კვიციანმა? ამის გასარკვევად ჩვენ მას რამდენჯერმე დავუკავშირდით, თუმცა უშედეგოდ. მობილური ტელეფონი რამდენიმე დღის განმავლობაში გამორთული ჰქონდა.

არ არის გამორიცხებული, კვიციანს შურისძიების შეეშინდა, რადგან ამბობენ, რომ თავდამსხმელებმა მას ამის შესახებ პირდაპირ მიანიშნეს. როგორც ჩვენი წყარო ყვება, მუქარის შემცველი მინიშნებები გაკეთდა კიდევ

დარი სისსლანი ე უცნობი დეტალები



ერთი მოწმის, ილია ბალიაურის მისამართითაც, მოუხედავად ამისა, მან ჩვენების მიცემაზე უარი არ თქვა და ბრალდებულებს პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაადო ხელი. იმასაც ამბობენ, რომ ბალიაური, შესაძლო საფრთხის გამო, ქვეყნის დატოვებასაც კი გეგმავს, თუმცა „პრაიმტიმთან“ საუბარში მან ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

„არ ვაპირებ ქვეყნიდან გასვლას და არც არავის ვემალები. მე ვთქვი ის, რაც არაფერად მოხდა, და ამის გამო გაქცევას არსად ვაპირებ“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ილია ბალიაურმა, რომელიც თავდასხმის დროს ავტომობილიდან არც გადმოსულა და მისი მისამართით ნასროლ ტყვიას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ვაზნა ავტომობილის კართან გაიჭედა.

ბალიაურმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მათ შორის არც იმაზე, რატომ დააკავეს ის და მერაბ კალანდამდე თავის დროზე ვანო მერაბიშვილმა, თუმცა ჩვენი წყარო ამ საქმეზე ერთ საინტერესო ისტორიას გვიყვება: საქმე

ის გახლავთ, რომ ან გარდაცვლილ კალანდამდე საკუთარი ნებით შსს-ს მაღალჩინოსნისთვის ქრთამის მიცემას არ ალიარებდა, ამიტომაც მერაბიშვილმა მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. როგორც ჩვენი წყარო ყვება, ერთ-ერთ ბარში ხელოვნურად გამოწვეული შელაპარაკება მერაბ კალანდამდე და მასთან ერთად მყოფ ილია ბალიაურს ხულონობის მუხლად დაუკვლილი ციხის გზას გაუყვანეს. კალანდამდე ამ შემთხვევაშიც უარი თქვა, ხელი დაედო შსს-ს იმ მაღალჩინოსნისთვის, რომლის დაჭერასაც ვანო მერაბიშვილი აპირებდა. მან საპატიმროში ცხრა თვე დაჰყო და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლდა.

ციხიდან განთავისუფლებული მერაბ კალანდამდე კი სადახლოზე კრიმინალური შურისძიების მსხვერპლი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, თავდასხმელებმა არ იცოდნენ, ვინ იყო მერაბ კალანდამდე და რა კავშირი ჰქონდა მას „კანონიერ ქურდებთან“. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ბრალდებულებს მხოლოდ სასამართლოს განაჩენი არ აკმარონ და ისინი ქურდული კანონებითაც გასამართლონ.

რაც შეეხება სადახლოზე მოკვლულ 21 წლის გიორგი ფირანიშვილს... მისი ოჯახი სასამართლოს გადამწყვეტილებით კმაყოფილია, თუმცა, როგორც გიორგის ბებიამ, გულიკო გიგინიამ გვითხრა, ამ დღემდე საკმაოდ გრძელი და რთული გზა გაიარეს.

გულიკო გიგინია, გიორგი ფირანიშვილის ბებია:
– ნამდვილად რთული გზა გამოვიარეთ სასამართლოს ამ განაჩენამდე.

როდესაც ეს ამბავი მოხდა, ვიფიქრეთ, რომ ყველა დამნაშავე საკადრისად აგებდა პასუხს, მაგრამ გავიგეთ, რომ თითქოს დამნაშავეების განთავისუფლებას აპირებდნენ, რამაც ძალიან ალგვამფოთა. ამიტომ პირადად ავიღე ჩემს თავზე და ბოლომდე მივყევი ამ საქმეს. მივალნივ კიდევ იმას, რომ კონკრეტული დამნაშავეები აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა.

– თავდაპირველად მედიამ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს გიორგი მონანილოვმა იმ გარჩევამდე, რომელიც მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა ვაკეში... ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს?

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. გიორგი პრაქტიკულად შეენირა საკუთარი მეგობრის დახმარებას. არანაირ გარჩევებში მას მონანილოვს არ მიუღია. როდესაც გავიგე, რომ შესაძლოა, დამნაშავეები გაათავისუფლონ, ეს იყო შოკი ჩემთვის. ვთქვი კიდევ, რომ

ირინა ენუქიძე მონაგონი იქნება ყველასთვის-მეთქი. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და სასამართლომ მიიღო ადეკვატური გადაწყვეტილება. ესენი რომ გარეთ გამოსულიყვნენ, კიდევ უარესი იქნებოდა, კიდევ სხვას გააუბედურებდნენ. არ ვიცი, რა საერთო აქვს მათთან ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძეს, მაგრამ ის დადიოდა და ესწრებოდა სასამართლოებს და პირდაპირ ამბობდა, ჩემი ძმები არიანო. იმ დამსჯე იქ გაჩნდა, როცა ეს ტრაგედია დაგვატეხეს თავს. ახლა ნამდვილად კმაყოფილი ვარ მედვეთი, თუმცა მართლა გული მწყდება, რომ ისინი ამ გზას დაადგნენ და ოჯახები დატოვეს. ადამიანურად განვიცდი ამას, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ სამართლიანობამ იხეიმა. მე გიორგის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ მინდოდა, ახლა ნამდვილად მინდა და იცით, რატომ? ბოლომდე გავაკონტროლებ და უზრუნველყოფ იმას, რომ ისინი გარეთ ვერ გამოვიდნენ.



გიორგი დემეტრაძე სასამართლო დარბაზში

ანზორ ქოქოლაძე: „სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა დაჩქარდეს და საბოლოოდ უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში“

ნანა შონია

„ვაფასებთ და მადლიერი ვართ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისთვის, თუმცა გვინდა გახზოვით, გამოძიების დასრულებამდე თავი შეიკავოთ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მხარდამჭერი განცხადებებისგან, რადგან ვფიქრობთ, არასრული ინფორმაციით შეცდომაში ხართ შეყვანილი, ფასადურ დემოკრატიას ამოფარებული „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი დაქირავებული ლობისტების მხრიდან“, – ეს არის ამონარიდი იმ მიმართვიდან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების რეჟიმის მიერ რეპრესირებულმა ბიზნესმენებმა, ყოფილმა უკანონო პატიმრებმა, რეჟიმის მსხვერპლებმა და ოჯახების წევრებმა, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა და 9-წლიანი მმართველობის პერიოდში დაზარალებულმა მოქალაქეებმა საქართველოს უცხოელ პარტნიორებს გაუგზავნეს.

მიმართვას, რომელსაც ასეულობით ადამიანი აწერს ხელს, ბიზნესმენები და საზოგადოებისთვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქმეებით ცნობილი პირებიც უერთდებიან.

ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე განიცადეს 9-წლიანი მმართველობის მძიმე პერიოდი.

მიმართვამ, რომელიც უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტს, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ლინას ლინკევიჩს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში ფილიპ დიმიტროვს, ევროპის სახალხო პარტიას, ამერიკელ სენატორებს: ჯეიმს რიშერის, ჯინ შაპინს, მარკო რუბიოს, ჯონ მაკკეინს, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს გადაეგზავნათ, ნათქვამია, რომ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი ბოლომდე უნდა მივიდეს.

ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე, რომელიც ამ მიმართვის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, „პრაიმტიმთან“ საუბარში ამბობს, რომ 9 წლის მანძილზე საქართველოში წამების, სიცოცხლის ხელყოფის, ქონების წართმევის არა ერთ ფაქტს ჰქონია გამოძიება აუცილებელია.

ანქორ ქოქოლაძე, ბიზნესმენი: „ამ მიმართვის ხელმძღვანელებმა დავინახეთ რეალური საფრთხე იმისა, რომ ამ ყველაფერს, შესაძლოა, რალაც ფორმით გავლენა მოეხდინა სასამართლოზე და პროკურატურაზე. ამიტომაც ვთხოვეთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, გაითვალისწინონ ყველაფერი და არგუმენტების გარეშე არ გააკეთონ განცხადებები, რომელიც ქართულ საზოგადოებაში შესაძლოა აღ-



ქმულ იქნას როგორც დანაშაულის დაფარვაში ხელშეწყობა. ჩვენი მიზანია მეგობარი ქვეყნების პოლიციის რეალური ინფორმაცია მივაწოდოთ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელსაც „ნაციონალური“ პერიოდში ჰქონდა ადგილი. მთავრობაში მყოფი პირები, რეალურად იყვნენ კრიმინალები და არა ისეთები, როგორსაც ისინი აღიქვამდნენ. იმ სისტემას ყველა მიმართულია აქვს ჩადენილი დანაშაული. დანაშაული მკვლელობებით, რომელთა მონაცემები ასეულებს

აღწევს, დასრულებული საკუთრების ხელყოფის ფაქტებით. 20 ათასზე მეტი კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტია დაფიქსირებული, რამდენიმე ათასი პოლიტპატიმარი და უამრავი რამ. შურაცხყოფა და დამცირება სისტემურ ხასიათს იძენდა, იმ პერიოდის ციხეები ამის თვალნათელი მაგალითია. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კრიმინალზე, ამაში ვგულისხმობთ სიცოცხლის ხელყოფას, იმ მძიმე ტიპის დანაშაულებს, რომლებიც მათი მხრიდან იყო ჩადენილი. ჩვენ ვსაუბრობთ

სისტემურ პრობლემაზე, აქ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ბევრად მძიმე დანაშაულია, ვიდრე ქონების წართმევა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ქონების წართმევა სისტემური დანაშაულის შემადგენელი ნაწილი იყო“.

– როგორ ფიქრობთ, რა მოტივაცია აქვთ სენატორებს, როდესაც სააკაშვილის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ, შესაძლოა, მათ არ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია?

– ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მათ არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაქირავებული ლობისტები ცდილობენ საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. დღევანდელი მიმართვით გვსურს მათი ყურადღების მიპყრობა რეალურ ფაქტებთან. შესაბამისად, ამ მიმართვას ძალიან ბევრი ადამიანი აწერს ხელს, მათ შორის არიან ქონებანართმეული ადამიანები, ადამიანები რომლებსაც ოჯახის წევრები დაუბოცეს, რობაქიძის, ვაზაგაშვილის მამა და სხვები. იმედი გვაქვს, რომ საქართველოში დაჩქარდება სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი, ამ მხრივ კი მართლაც იმედის მომცემია პრემიერ ირაკლი ლარიაშვილის განცხადებები და ვფიქრობთ, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მთავარი რეკომენდაციაც კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და სამართლის დამკვიდრება იქნება.

კინმარშივილისა და რა ერთმანეთთან ლაშა ნაცვ



my View

ნათუნა
მბალოპლიშვილი

ეროსი კინმარშივილის საქმე ჯერ არ გახსნილა და სანამ პროკურატურა დუმს, ზოგიერთები, როგორც ჩანს, დროს არ კარგავენ და ამ საქმეზე სკანდალურ განცხადებას აკეთებენ. ვის ინტერესებში შედის ტრაგიკული საქმეების ერთმანეთთან დაკავშირება და გასკანდალება და რატომ დუმს კინმარშივილის ქვრივი?

პოლიტიკას სპორტს თუ შევადარებთ, სააკაშვილი ბრწყინვალე სერფერია. ერთხელ მან, შეიძლება ითქვას, ეროვნული ჩემპიონატი მოიგო, როცა „ვარდების რევოლუციის“ ტალღას საპრეზიდენტო ტახტამდე მიჰყვა. სხვანაირად ის ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა, ეს გამორიცხული იყო...

მეორე მცდელობა მას უკრაინაში ჰქონდა. უკვე ექსპრეზიდენტმარუსეთთან დაპირისპირების კრიზისიც კარგად გამოიყენა საკუთარი თავის გასაპირებლად...

არ არის გამორიცხული, ასეთივე ტალღის აგორება მან საქართველოში კიდევ ერთხელ სცადოს. ამის ნიშნები უკვე ჩანს.

უკავშირდება თუ არა სააკაშვილს, ძნელი სათქმელია, თუმცა განცხადება, რომელიც რამდენიმე დღის წინ ახალაიების ადვოკატმა გააკეთა, ნამდვილად სკანდალის ტოლფასი იყო.

რომეო საჯაია, დათა ახალაიას ადვოკატი:

– ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ დაიგეგმა, ციხის კედლების გასვლის შემდეგ. ალბათ, საჭირო იყო ტრაგედია, რომელიც „ქართული ოცნების“ ოპონენტებს დაჰპრალდებოდათ. ამიტომ შემუშავდა სხვადასხვა გეგმა. ერთ-ერთი გეგმა იყო ბარბარე რაფალიანცის გატაცება და გადასაღება. შემდეგ კოალიციის ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ ეს საკმარისი არ იქნებოდა საზოგადოებაში შოკის გამოსაწვევად და გადაწყვიტეს, ყველაფერი ტრაგედიით დასრულებულიყო. ეს არის მკვლელობა და ეს აწყობდა მაშინ „ქართულ ოცნებას“. მკვლელობის შემდეგ მანანა ბერიკაშვილმა რაფალიანცის ოჯახის წევრებს უთხრა, რომ მას ჰქონდა ჩანაწერები, სადაც ასახული

ვინ არის სკანდალური ვერსიის ავტორი და რატომ დუმს კინმარშივილის ქვრივი EXCLUSIVE



იყო, რომ ეს გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის“ რიგითმა წევრმა. რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ ოჯახმა ბერიკაშვილს მიმართა და სთხოვა, ეს

კადრები ეჩვენებინა, თუმცა ბერიკაშვილმა განუცხადათ, რომ ეს კადრები შემთხვევით წაეშალა. ასევე, არის სხვა გარემოებებიც, რა უნდოდა ირაკლი ალასანიას იმ დროს კახეთში, როდესაც ზუგდიდში უნდა ყოფილიყო, დილის 8:00 საათზე, წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მაშინ მან აბსურდული განმარტება გააკეთა ამასთან დაკავშირებით. როგორც წყარო გვატყობინებს, ორი თუ სამი ადამიანი წავიდა წინააღმდეგი ამ მკვლელობის და ამბობდნენ, რომ ეს არ იყო აუცილებელი. ეს ადამიანები იყვნენ ეროსი კინმარშივილი და ლაშა ნაცვლიშვილი...

ამის მიუხედავად, ამ ადამიანებმა უმრავლესობის გადარწმუნება ვერ შეძლეს და ამან გამოიწვია ბავშვის გარდაცვალება. ვერ გეტყვით, ეროსი კინმარშივილი ამ შეხვედრაზე რა სტატუსით იმყოფებოდა, მაგრამ იმ დროს ის „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იბრძოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. არის ვე-

რსია, რომ შესაძლებელია, ეროსი კინმარშივილი ამ ინფორმაციის გამჟღავნებას აპირებდა და შეიძლება სწორედ ამას უკავშირდება მისი სიკვდილი.

ანუ ახალაიას ადვოკატი ორ ხმაურთან ტრაგედიას ერთმანეთთან აკავშირებს. რეალურად ამ საქმეებს ერთმან-



**„არანაირი კომუნიკაცია
ეროსი კინმარშივილს
იმ ადამიანებთან, ვინც
მოსხენიებულია,
არ ჰქონია. ეს არის მარაზი“**



**„არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს
წყაროს კავშირი ჰქონდეს ლაშა
ნაცვლიშვილთან, ამაზე თავს
ნამდვილად ვერ დავდებ“**

ფაქტების სანაცვარი ლიბერალმა დააკავშირა?

ეთან არანაირი კავშირი არ აქვს, ერთის გარდა – ორივე საქმე გასახსნელია. და როგორც ჩანს, ვილანები სწორედ ამაზე დებენ ფსონს – შექმნან „მკვლელობების“ ჯაჭვი და ამაზე ააგონ უკმაყოფილების ტალღა, როგორც ეს ცოცხლების შემთხვევაში მოხდა და, როგორც ჩანს, ახალაის ადვოკატი ცოცხლების საქმეს შემთხვევით არ ახსენებს.

რომელ საჯარო „პრაიმტიმთან“ საუბარში ამბობს, რომ წყაროს დასახელების უფლება არ აქვს, თუმცა იქვე სკანდალურ დაშვებასაც აკეთებს. ადვოკატი არ გამოირიცხავს, რომ ამ ინფორმაციასთან კავშირი ლაშა ნაცვლიშვილსაც ჰქონდეს:

– ინფორმაცია რაფალიანცისა და კინმარიშვილის საქმეების ურთიერთკავშირის შესახებ მომართა წყარომ. არ გამოვირცხავ, რომ ჩემს წყაროს კავშირი ჰქონდეს ლაშა ნაცვლიშვილთან, ამაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ.

რა აქვს ჩაფიქრებული „ნაციონალურ მოძრაობას“? ექსპერტების ნაწილს პოლიტიკური შეფასების გაკეთება უჭირს, თუმცა ისინი ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ კინმარიშვილის რაფალიანცთან დაკავშირება სრული მარაზმია. ეს ვერსია არც კინმარიშვილის ოჯახისთვისაა დამაჯერებელი.

ზურაბ კინმარიშვილი, ეროსი კინმარიშვილის ძმა:

– რაფალიანცის თემას მინდა შევებო, რამდენად რეალურია ის ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა?

– არ მინდა ამაზე საუბარი. საერთოდ, არ განვიხილავ ამ თემას, ნამდვილად ვერ ვხედავ განხილვის საჭიროებასაც კი. თავიდან, როდესაც განცხადება მოვისმინე, ემოციებზე ვიყავი და ჩემი ემოცია გამოვხატე იმის მიმართ, საიდანაც ეს ინფორმაცია მოდიოდა. დღეს ამაზე საუბარი აღარ მინდა.

ყოველთვის, როდესაც ოჯახის სახელით ვრცელდება ინფორმაცია, თქვენ ჩანხართ და აქტიურობთ, რამდენად არის ჩართული ძიების პროცესში ქალბატონი ია?

– პირადად ია არანაირად არ არის ჩართული მოქმედებებში, შეხვედრებში. მაგრამ ამის შემდგომ მე ყოველთვის ვხედავ იას და ჩვენ ვსაუბრობთ სიტუაციაზე. თავიდანვე ასეთი ფორმა ჩამოვყალიბეთ, ანუ მე ვმონაწილეობ, მე ვთანამშრომლობ გამოძიებასთან, დამოუკიდებელი ექსპერტების მიმართულებითაც და შემდეგ ყველაფერზე ვსაუბრობ ისტან.

– ერთ-ერთი ვერსიით, გამოძიება თვითმკვლელობისკენ უფრო იხრება, ეთანხმებით ამ ვერსიას?

– საით იხრებიან, ეს ნამდვილად



არ ვიცი, ამას არც პირად საუბარში ამბობენ და მე ვერც ვერანაირი ნიშანი ვერ შევამჩნიე. ყველაფერი, რაც საქმესთან არის დაკავშირებული, მათ ხელშია: მასალა, ნივთმტკიცებულება, ინფორმაცია. ვფიქრობ, არის საშუალება, აბსოლუტურად რეალური გამოძიება ჩატარდეს და გაირკვეს, რა მოხდა სინამდვილეში.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– რაღაც ჯგუფი ცდილობს, ეროსი კინმარიშვილის გარდაცვალების ფაქტი რაფალიანცის გარდაცვალებასთან დააკავშიროს. სიმართლე გითხრათ, საერთოდ ვერ ვხვდები, რის საფუძველზე კეთდება აღ-

ნიშნული განცხადებები. საერთოდ, უხერხულია ამაზე საუბარი მაშინ, როდესაც არანაირი მტკიცებულებები არ არსებობს. ნარმოიდგინეთ, ერთი მხრივ, გარდაცვლილი პატარა ბავშვის ტრაგედია, მეორე მხრივ, ეროსი კინმარიშვილის ტრაგედია და ამ ორი ადამიანის ერთმანეთთან დაკავშირება ისე, რომ ვერც ერთი ხმას ვერ ამოიღებს. ჩემი აზრით, ეს, უბრალოდ, ძალიან უხერხული, არაეთიკურია. მეტიც, თუ იურისტებსა და მათ შორის ადვოკატებს რაიმე ტიპის კავშირის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია აქვთ, ამას არ სჭირდება განცხადებების გაკეთება, მათ უნდა წარადგინონ აღნიშნული დოკუმენტაცია, რომ ამ ორ ფაქტს შორის არის რაიმე ტიპის კავშირი. ეს იქნება ყველაზე სწორი გადანყვებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება არ მიმაჩნდა სწორად არც მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ წევრებმა რაფალიანცის გარდაცვალების გამო ბრალი დასდეს პოლიტიკურ ოპონენტებს, და არც ახლა მიმაჩნია სწორად, როცა რაღაც კავშირზე საუბრობენ.

– შეიძლება ასეთი დოკუმენტაცია არსებობდეს?

– თუ ასეთი ტიპის დოკუმენტი აქვს ადვოკატს, რომ ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას აძლევს საკუთარ თავს, მაშინ წერილობითი უნდა მიმართოს პროკურატურას და მოითხოვოს გამოძიება. ყველა პოლიტიკურ თამაშს აქვს ნითელი ხაზები. ვფიქრობ, ამ ნითელ ხაზებს არ უნდა გადასცდეს არც ერთი მხარე და არც მეორე, მით უფრო, როდესაც საუბარია ორ გარდაცვლილ ადამიანზე.

პირველ რიგში, უნდა დაადგინონ, რა ვითარებაში გარდაიცვალა რაფალიანცი, შემდეგ დაადგინონ, რა ვითარებაში გარდაიცვალა ეროსი კინმარიშვილი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგინდეს, რა კავშირი იყო ამ ორ ფაქტს შორის. ჯერ არც ერთი საქმე არ არის გამოძიებული, ისიც კი არ იციან, ეროსი კინმარიშვილის ფაქტი მკვლელობაა, თვითმკვლელობა თუ თვითმკვლელობამდე მიყვანა, და ასეთ დროს განცხადებების კეთება ყველანაირ ზღვარს ცდება.

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– ის, რომ კინმარიშვილის რაიმე ტიპის შეხება ჰქონდა იმ ადამიან-



ბთან, ვისზეც იყო საუბარი, ეს ძალიან არასერიოზულია. არანაირი კომუნიკაცია ეროსი კინმარიშვილს იმ ადამიანებთან, ვინც მოხსენიებულია, არ ჰქონია. ეს არის მარაზმი.

– რა იყო მაშინ ასეთი განცხადების გაკეთების მიზანი?

– მათი ავადმყოფური ფანტაზია, რომლის მიზანია, მორიგი წარმოუდგენელი კონტრარგუმენტების გაჩენა ვითომ პოლიტიკურ ბრძოლაში. ასე არ არის, ყველაფერი არ მოსულა პოლიტიკაში. დარწმუნებით გეტყვი, რომ კინმარიშვილს არანაირი შეხება არ ჰქონია არც იმ ადამიანებთან და მით უფრო, ის ვერაფრით განიხილავდა რაღაც საკითხებს მათთან ერთად. როდესაც რაღაცას ამბობ ადამიანებზე, მინიმუმ ის მაინც უნდა დაასაბუთო, რომ ამ ადამიანებს რაიმე ტიპის შეხება ჰქონდათ ერთმანეთთან. ასე ავადმყოფურად, ნულიდან რომ იგონებ რაღაცას, ეს უკვე დაავადებაა.

– რამდენად შესაძლებელია, რომ რაფალიანცი-კინმარიშვილის შემთხვევების ერთმანეთზე მიბმით ისეთი შედეგი დადგეს, როგორც ეს თავის დროზე ცოცხლების თემას ჰქონდა?

– აბსოლუტურად გამორიცხულია. მე მეტ-ნაკლებად ყველაფერის საქმის კურსში ვიყავი, რაც ხდებოდა, 100%-იანი სიზუსტით გეუბნებით, რომ კინმარიშვილს არანაირი შეხება არ ჰქონია იმ ადამიანებთან, ვინც ნახსენებია და რა მტკიცებულება უნდა ჰქონდეთ, ან არსებობდეს? როდესაც ადამიანს არასოდეს შეხვედრიხარ, რა მტკიცებულება უნდა არსებობდეს შეხვედრის?

– ასეთი ლოგიკით, ლადო ბედუკაძემ თავად აღიარა, რომ ცოცხლების თემა დადგმული იყო და არა რეალობა...

– დიდი ბოდიში, მაგრამ იმ კადრებში ჩანს სისტემური დანაშაული, იმ კადრებში ჩანან თანამდებობის პირები. დეპარტამენტისა და ციხის ხელმძღვანელობა სისტემურ დანაშაულს სწადიოდა, ეს ხომ ფაქტია... თუ რაიმე მტკიცებულება აქვს განცხადების ავტორს, მაშინ გამოაქვეყნოს, რატომ არ აქვეყნებს?



„ამ საქმით განიკვეთილ იქნება“

მარიამ ნადირაძე

მიუხედავად იმისა, რომ საქმემ სამი ხელისუფლება გამოიარა, 13 წელი გავიდა და მკვლელობაში მსჯავრდებულმა უკვე მოიხადა სასჯელი, ჟურნალისტ გიორგი სანაიას ოჯახი დღესაც სამართალს ეძებს.

ბევრისთვის სიურპრიზი იქნება ჩვენი რესპონდენტის გამოჩენა, მაგრამ სერგო ძაგნიძე მიიჩნევს, რომ ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, ხმა ამოიღოს და თქვას ყველაფერი, რაც ამ საქმის გარშემო იცის.

ასე რომ, „პრაიმტაიმის“ მკითხველს ხელის გულზე გადაეშლება მთელი ის საგამოძიებო პროცესი, რაც 2001 წლის ზაფხულში დაიწყო და რამაც რამდენიმე თვეში საქმე გახსნამდე მიიყვანა:

– როგორც კი ეს ამბავი მოხდა, იმ მომენტიდანვე ჩავერთე საქმეში, შემთხვევის ადგილზეც პირველი გავიწვი. მაშინ მე გენერალური პროკურატურის კრიმინალისტიკური სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი.

– ამდენი წლის შემდეგ შეგიძლიათ, გახსენოთ, როგორ გამოიყურებოდა შემთხვევის ადგილი?

– ეს იყო ერთობიანი სტანდარტული ტიპის ბინა. იმ ერთ ოთახში ესვენა გარდაცვლილის გვამი, თავში გამჭოლი ჭრილობით. შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, კახა თარგამაძე და გენერალური პროკურატორის მოადგილე მერე მოვიდნენ.

– იმ დროს გავრცელდა კადრები შემთხვევის ადგილიდან, სადაც კახა თარგამაძე იცინოდა. რა ხდებოდა მაშინ?

– მაშინ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას უკვე მორჩენილები ვიყავით და ვფიქრობდით, ცხედარი როგორ გავგეყვანა ისე, რომ იქ შეკრებილი მასისთვის აგვერიდებინა. რაც შეეხება კითხვას პასუხს, რამ გააცინა თარგამაძე, გეტყვით, რომ როდესაც ასეთი რამ ხდება, ეს ჭირსუფლისთვის ტრაგედიაა, თორემ ჩვენთვის ეს არის სამუშაო პროცესი. დაცინვა და რაიმე მსგავსი იქ არ ყოფილა. უბრალოდ, რაღაც ითქვა და გავგეყვინა. ძალიან ხშირია, როცა სტრესულ, თუნდაც ტრაგიკულ სიტუაციაში ჭირსუფალსაც კი ეციხება ხოლმე. ასე რომ, იქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

– კარგი, მოდი ისევ შემთხვევის ადგილის დავუბრუნდეთ. რამე საეჭვო არ შეგიჩნევია?

– შემთხვევის ადგილის დათვალიერება აბსოლუტურად ყველა ნორმის დაცვით ჩატარდა. ტყვიის გულა კედლიდან ამოვიღეთ. საგარეულოდ, თავში გაველილი ტყვია ჩარჩენილი იყო კედელში. მასრა ვერ მოიძებნა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის გრიგოლ ხურცილავას ნაულია. იარაღიდან გასროლის შემდეგ მასრა მარჯვენა, ან მარცხენა მხარეს გვერდით ვარდება. მოხვდა კედელს და თვითონ ხურცილავა ამბობს, რომ როცა გავისროლე, ფეხებთან დამეგრადო. ეგრეც უნდა ყოფილიყო, პრინციპში.



სერგო ძაგნიძე

„მე ამაზე პასუხისმგებელი ვარ ვასო სანაიასთან, გიორგის შვილთან და ათელ საზოგადოებასთან. ვასო კი გადლოვა მითხრას, მისი გვლელი რომ დავუჭირა“

„ახლა გეტყვით პირდაპირ: ის, რაც გიორგი სანაიას გვლელის გამოძიებაში მოხდა, ებითი რამ არასდროს მოხდარა საქართველოს კრიმინალისტიკაში“

ავიღე ის მასრა და ტყვიის გამოღებაზე არც მიფიქრია, ისე ვიყავი დაბნეული. ერთი სიტყვით, ტყვიის გულას გარდა, ლუდის ბოთლიდან ამოვიღა თითის კვლები. ეს იყო ორი მტკიცებულება, რომლითაც შემძლო დამამაჟებსთან მისვლა. ამ საგამოძიებო ჯგუფში ჩემ გარდა იყო კიდევ სხვა გამომძიებელი. მე მიმეყვანა საგამოძიებოს ეს ნაწილი, ახუ ექსპერტიზის ნაწილი. ახლა გეტყვით პირდაპირ: ის, რაც გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებაში მოხდა, ეგეთი რამ არასდროს მომხდარა საქართველოს კრიმინალისტიკაში.

– რა გავტოვებთ შემთხვევაში?
– იმის გამო, რომ ტყვია არ გამოცვლილიყო, ის მაიკროსოლით დავამუშავე. ეს არის ამერიკული სითხე, ჩვეულებრივ თხევადი რეზინი. ერთი სიტყვით, თავი დავიზღვიე.

– ვის შეეძლო ტყვიის გამოცვლა?
– ასეთი ფაქტები მომხდარა. ამ შემთხვევაშიც ხომ შეიძლება ეს მტკიცებულება რომელიმე სხვა უწყებას ნაულო და... მაიკროსოლი არის არაჟინის მსგავსი მასა. მალე ცივდება და ხდება რეზინი. ახუ რაც კი კვალი აქვს ტყვიას, რომლითაც ხდება იდენტიფიცირება, სწორედ ეს ინახება.

– ახუ, თუ, ვთქვით, შსს ნაილებდა მას, დაბრუნების შემდეგ თქვენ შედარების საშუალება გეძლეოდათ...
– დიას, სწორედ ასეა. ასეთი პრევენცია მაშინ პირველად გამოვიყენეთ და სწორედ ამ საქმეში. შეცვლის შემთხვევაში გამოძიება აუცილებლად გაიგებდა ამ თაღლითობის შესახებ. რაც შეეხება ბოთლიდან აღებულ თითის კვალს, ბევრმა არ იცის, რომ მისი ამოღება რამდენჯერმე შეიძლება. პირველად რომ ამოვიღეთ და თანამედროვე საშუალებებით დავამუშავეთ, ის ექსპერტიზაზე

გაიგზავნა, დანარჩენი კვალი კი დაილუქა და „სკოჩი“ გადაეკრა. ის კიდევ იძლევა იდენტიფიკაციის საშუალებას. შსს-ს ექსპერტიზამ გვითხრა, ეს მასალა ვარგისი არ არისო, არადა რამდენიმე თვის შემდეგ „ეფუბიას“ ლაბორატორიაში გაგზავნილი მასალით კონკრეტული პასუხი მივიღეთ.

– რამდენადაც ვიცო, „ეფუბიაში“ პირადად თქვენ ნაილეთ ყველა მასალა...
– დიას. თავიდან გვითხრეს, ვარგისიაო, მაგრამ არ გვეჩვენა ის თითის ანაბეჭდები, რისთვისაც უნდა შეგვედარებინა ნაილეთ მასალა. როდესაც ხურცილავა დაიჭირეს და მისი თითის ანაბეჭდები აიღეს, თუ არ ვცდები, რვა ანაბეჭდი დავითხვა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაშინ ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩატარდა. შეიძლება ხმამაღლა ნათქვამი გამოივიდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საქმე ჩემი გახსნილია. აი, ამ ორი მტკიცებულებით – ტყვიითა და თითის ანაბეჭდებით გრიცკოს დავუღე ყველაფერი ის, რაც საქმეში უნდა ყოფილიყო. ამას მოჰყვა დაკითხვა და ამ მტკიცებულებების გამაგრება.

– თუმცა, ამის გარდა, ჩატარდა კიდევ მრავალი სხვა ექსპერტიზაც, არა?
– ბოტანიკური ექსპერტიზაც კი ჩავატარეთ. ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან ნიადაგი და ბალახიც კი ავიღეთ. ყველაფერი გაკეთდა, რაც კი შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ეს საქმე ქართულია კი არა, მსოფლიო კრიმინალისტიკაშია შესატანი. ჩემთვის მაგლობაც კი არ უთქვამთ.

– ძალიან მინაურულად, მეტსახელით მოიხსენიებთ გრიგოლ ხურცილავას. მანამდე მას იცნობდით? ის ხომ შსს-ს თანამშრომელი იყო...
– ამ სახელით იცნობდა მას ყველა.

გაზეთებშიც ასე იწერებოდა... გრიცკო ვნახე ერთადერთხელ, ისიც ციხეში ორ ადვოკატთან და სხვა გამომძიებელთან ერთად. მინდოდა, ჩემი ხედვები გადაემომზებინა მის ჩვენებასთან. სულ რამდენიმე საათით ვნახე. კრიმინალისტიკური კუთხით დავუსვი კითხვები და ის პასუხები მივიღე, რასაც ვვარაუდობდი, რომ სწორედ ასე იქნებოდა...

– ტყვიის მოძრაობის ტრაექტორიაზე გქონდათ ეჭვები?
– ეჭვი არა, კითხვები მქონდა. პასუხით ყველაფერი დავითხვა. გრიცკომ გვიამბო, როცა ხელი იარაღი ავიღე, გიორგი სანაიამ თავი გვერდზე განია, – განიე იქით, არ გაგივარდესო. ზუსტად მაგ დროს გავისროლე.

– ახუ თავში არ მინდოდა სროლაო?
– უნდოდა თუ არა, ეგ სულ სხვა თემაა. ფაქტი იყო, რომ თავში ტყვიამ სწორედ ისე გაიარა, როგორც უნდა გავეცო, თუ ის ყველაფერი ისე იყო, როგორც ხურცილავა ყვერდა.

– ამბობთ, რომ გრიცკოს საქმე თითების ანაბეჭდითა და ტყვიით გაიხსნა. ეს როგორ მოხდებოდა, თუ მისგან თითის ანაბეჭდები დაჭერის შემდეგ აიღეთ?
– გრიცკო დავიჭირეთ ბალისტიკური ექსპერტიზით. ძალიან რთულია, ტყვია ტყვიას შეადარო, როცა არ გაქვს ელექტრონული ბაზა. ნარმოგიდგენიათ, რა დრო შეიძლება დასჭირდეს ბალისტიკოს იარაღის აღმოსაჩენად? მაგრამ ეს მაინც მოხერხდა: ექსპერტი ტყვიით მივიდა იარაღამდე და იარაღით პიროვნებამდე...

– ხო, მახსოვს, ესეც განხილვის თემა იყო მაშინ, რომ მკვლელობა ტაბელური იარაღით მოხდა, თანაც ისე, რომ ხურცილავა უკვე წამოსული იყო მაშინ ორგანოებიდან...
– ეს იყო ის ტაბელური იარაღი, როგორც იყო გრიცკოზე მიმაგრებული, როცა ის სადაც დაცვაში მუშაობდა. ეს იარაღი იყო მასროთეკაში, რაც მთავარია და მასროთეკიდან მიადგენენ ამ იარაღს. აქედან კი გავიდინე ხურცილავაზე. პიროვნებამდე რომ მივიდნენ, მერე გაიგზავნა თითის ანაბეჭდები ამერიკაში და მოხდა იდენტიფიცირება... ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ხალხი დაფაკვალანოთ: ვახოც კიდევ რომ იმეორებს, პოლიტიკური მკვლელობა იყოო, მოდი, დავიღოთ ეს საქმე, მოვიწვიოთ დამოუკიდებელი სპეციალისტები, საქმე არქივში იქნება, ეს კაციც გასამართლებულია უკვე... ამ საქმეში სისხლი მაქვს ჩაქცეული და საკუთარი შეიღებით „მიყვარს“. მე ამ საქმეზე მანიპულირებას არც ვახოს ვაპატიებ, მიუხედავად იმისა, რომ ძმია. მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მაქვს ამ საქმეში ჩადებული. დავანებოთ იმ სტრესებს თავი, რაც მაქვს გადატანილი საზოგადოებისგან ცალკე და უწყებიდან ცალკე. რეგულაცია მოხდა კინამამ ამ საქმის გამო. ერთი რამე ავიწყდება ამ ხალხს: მკვლელობა ერთადერთი დანაშაულია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელსაც მოტივი შეიძლება არ ჰქონდეს. 108-ე მუხლში იცი, რა წერია? – სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობა. ერთი წინადადებაა სულ. მოტივი არსად წერია... ახლა პოლიტიკურ ნაწილსაც შევეხოთ: მოხდა ისე, რომ 2002 წლის თებერვალში მე ვინიშნები უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსად. გახსოვთ, ალბათ, გიორგის მკვლელობის მერე პანკისზე იყო საუბარი, რომ თითქოს მას რაღაც კასეტა ჰქონდა. ყველანაირი ოპერატიული ინფორმაცია, რაც კი არსებობდა, ჩემს ხელში იყო. პანკისი ჩემს ხელში გაიწმინდა. არაფერი მსგა-

„ფაქტია, რომ არ გამოჩნდა შეპყვითილი გველუოვა. ეს არის გრიცკოს ფინანსებს დააბყო და არც მის ოჯახს...“

“ასო სანაიასაც არ ვაპატიებ!”

EXCLUSIVE

ინტერვიუ 13 წლის შვილებ ალაიანთან, რომელმაც ბიორგი სანაიას მკვლელობის საქმე გახსნა

ესი არ შემიხვედრია.

— რომ გეკონოდათ ასეთი ინფორმაცია, თუ არ იქნებოდა მაშინდელი ხელისუფლებისპოლიტიკური ნება, თქვენი ინიციატივით მას გააუღერებდით?

— ამ ვერსიას რეალობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. როცა ელენე თევდორაძის ვკითხე, რა კასეტაზე ლაპარაკობ-მეთქი, მითხრა, რალაც გამიგია ამის შესახებო. ელენესთვის რამე კასეტა რომ მიეცათ, როგორ ფიქრობთ, მისი შინაარსი არ ეცოდინებოდა?... და ბოლოს და ბოლოს, თუ ეს კაცი, გრიგოლ ხურცილავა გარეთ არის, დაუძახონ და ჰკითხონ. უკვე მოხდელი აქვს სასჯელი და მაგას იგივე დანაშაულზე უკან არავინ შეატრიალებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ იქ არანაირი პოლიტიკური მოტივი არ ყოფილა.

— პანკისის თემა ერთადერთი არ ყოფილა, რაც საზოგადოებას ამ მკვლელობისთვის პოლიტიკურის დარქმევის საფუძველს აძლევდა. ცხედარს რამე სხვა დაზიანება არ ჰქონია? გახსოვთ, ალბათ, საუბრობდნენ, რომ რამდენიმე დღით ადრე ის უვანისა და ცეცხლს სცემდა...

— არაფერი არ ყოფილა. მოდი, ამოვიღოთ ეგ საქმე და გამოვიძიოთ თავიდან. ეს ხალხიც გადავრთოთ. საქმის გარშემო ეჭვი უნდა იქნებოდეს. დამიჯდეს, დავიღოთ საქმე თავისი ფაქტებით და გარემოებით, გავიაროთ ერთად, მოიყვანონ, ვინც უნდათ და ერთ რამეში, თუ იქნება გაუგებრობა, ან ეჭვი, მე მაშინ ვიტყვი, რომ პროფესია არ მქონია.

— თქვენ მარტო კრიმინალისტიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდით, თუ სხვა პროცესებშიც მონაწილეობდით?

— შექმნილი იყო საგამოძიებო ჯგუფი. მე ამ ჯგუფში ვიყავი.

— თუ არ ცვდებო, თქვენ წაიღეთ ამერიკაში გიორგის ლოგინიც...

— დაიხ... საქმე რეზონანსული იყო და პოლიტიკურ დონეზე გადაწყდა, რომ საქმეში „ეფებიაც“ ჩართულიყო. ასეთ შემთხვევაში, გამოძიების ფედერალურ ბიუროშიც ინყება გამოძიება, საქმეს ნომერი ეძლევა და ყველა კვლევა უფასოდ ხდება. მაგრამ ერთი მიზეზია: ჩვენს კანონმდებლობასთან ვერ მოდიხან და მასალები იქ ვინმემ უნდა ჩაიტანოს. ამის გამოცდილება მე უკვე მქონდა რუსთაველის მანიაკისა და 1998 წლის ტერაქტის საქმეებზე. თანაც „ეფებიას“ აკადემია მაქვს და მათაფრებული და ამიტომ შეჩერდა არჩევანი ჩემზე.

— ამ საქმეში იყო ერთი ძალიან საინტერესო და საეჭვო დეტალი: გასაღები, რომელიც სურვილავამ გიორგის სახლიდან წაიღო, მერე გასაღები ბუჩქებში გადაადგო და ეს გასაღები 5 თვის შემდეგ ახალივით სუფთა და პრიალა აღმოჩნდა...

— ეს იყო უფასო ფოლადისგან დამზადებული გასაღები. მე თვითონ ვნახე. ის, რომ კამერას მიანათებ და გაიბრწყინებს, არ ნიშნავს იმას, რომ ის იმ კონკრეტულ ადგილზე მიტანილი და დადებულია...

— და თქვენში იმასაც არ გამოუწვევია ეჭვი, რომ მას არც წვიმის და არც ტალახის ნაკვალევი არ ეტყობოდა?

— 5 თვე რომ ეგდოს ეს გასაღები გარეთ, არაფერი მოუვა. ეს არის უფასო ფოლადი, ქრომირებული. მეტი თუ არაფერი გამოსაკიდებელი, იმაზე გამძვინვარებული ვარაუდი, რაზეც ვლაპარაკობ. მტკიცებულებები ამოღებულია და ყველანაირად დაცულია ფალსიფიკაციებისგან, დაზიანებისგან. 5 თვის მერე ჩნდება პიროვნება, იარაღით მივდივართ ამ პიროვნებასთან. 5 თვის მერე ვხდებთ თითები... იკითხება ეს ადამიანი და ყველა ყველაფერს.



„გრიტკომ გვიამბო, როცა ხელში იარაღი ავიღე, ბიორგი სანაია თავი გვერდზე განია, — განიე იქით, არ გაბივარდესო. ზუსტად მამ დროს გავისროლეო“

ყველაფერი ემთხვევა იმას, რაც საქმეში დევს ამდენი ხნის განმავლობაში. რატომ ჩნდება კიდევ კითხვები? იმ კაცს ერთხელაც არ უთქვამს, არ მომიკლავსო... ამერიკელები კი მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართველებს საქმის გამოძიება შეეძლებოდა.

— რაკი ამბობთ, რომ იყავით საგამოძიებო ჯგუფის წევრი, რომელიც მხოლოდ ექსპერტიზებით არ შემოიფარგლებოდით, იმ პურის გამოყიდვით ქალის შესახებაც მინდა გავიხსოვო, რომელმაც სანაიას სახლის ფანჯრებში შუქი შენიშნა მაშინ, როდესაც იმ სახლში არავინ უნდა ყოფილიყო და ამასთანავე, ადამიანების სილუეტებიც დაინახა...

— ნამდვილად არ მახსოვს ეს კონკრეტული ეპიზოდი. ძალიან ბევრი ასეთი დეტალი იყო და ყველა გადაიწმინდა.

— ანუ იმ კონკრეტულ მიმართულებებზე მუშაობის შედეგად, რაც თქვენ გეხარათ, ასი პროცენტით შეგიძლიათ თქვათ, რომ გრიტკომ მოკლა გიორგი, თუქცა...

— მე ამაზე პასუხისმგებელი ვარ ვახო სანაიასთან, გიორგის შეილთან და მთელ საზოგადოებასთან. ვახომ კი მადლობა მითხრას, ძმის მკვლელობა რომ დავუჭირე, რომელ სპეციალისტთან ერთადაც უნდა, დავუჯდები და ერთად გავიაროთ ეს საქმე. მე მასწავლებელიც ვარ, 30 წელია ლექციებს ვკითხულობ. ჩემი პიროვნული თავმოყვარეობისა და პიროვნული ეთიკის საკითხიც არის, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს ყველაფერი... ის

რომ არ გაკეთებულიყო, რაც მაშინ გაკეთდა, დღეს ეს საქმე კიდევ გაუსხნელი იქნებოდა.

— თავს დებთ იმაზე, რომ ხურცილავამ მოკლა გიორგი, მაგრამ შეგიძლიათ, დარწმუნებით განაცხადოთ, რომ ეს არ ყოფილა პოლიტიკური დაკვეთა?

— ამ საქმეს უკვე მესამე ხელისუფლება ჰყავს. რომელიმე მას მისცა პოლიტიკური შეფერვა? რომელიმე ხელისუფლებამ თქვა, სანაია პოლიტიკური მოტივით მოკლესო?

— საქმეც სწორედ ეს არის და ოჯახიც სწორედ ამაზე გამოთქვამს პრეტენზიას, რომ არც ერთი ხელისუფლება არ დაინტერესდა, ხელახლა შეესწავლა ეს საქმე.

— გამოძიება ჭორაობა არ არის, ჩემო კარგო. გამოძიება აგებულია ფაქტებზე და არა ჰიპოთეზებზე...

— ანუ გამოძიება ფაქტების დადასტურებაზეა?

სტურებად ხომ მუშაობდა ამ ჰიპოთეზებზე? გამოდის, რომ ყველა სხვა ვერსია გამოირცხა გამოძიებამ, გარდა იმისა, რაც საბოლოოდ სასამართლომ განაჩენით დაადასტურა?

— თქვენ თვითონ ამბობთ, სასამართლომ დაადასტურა. დამთავრებულია უკვე ყველაფერი.

— გამოძიების პროცესში სხვა ვერსიები მუშავდებოდა?

— აბსოლუტურად ყველა ვერსიაზე ვმუშაობდით... პოლიტიკური მეკვთის დადასტურებას ფაქტები უნდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, გამოძიებელი ხართ, მიდხარო მემთხვევის ადგილზე, სადაც გვამია. რა ვერსიები გაქვთ? — მკვლელობა, თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა და ბუნებრივი სიკვდილი. ანუ თავიდანვე არის ოთხი ზოგადი ვერსია. გამოძიების პროცესში გამოირიცხება დანარჩენი სამი და რჩება ერთი. ვთქვათ, რჩება მკვლელობა. მერე იწყება მუშაობა მოტივზე. მაგრამ მოტივზე რომ დაიწყო ფიქრი, დიკარგები. იგივე სანაიას საქმეზე, მოტივზე რომ მეფიქრა, რამდენი ვერსია მექნებოდა, აბა, მითხარო...

— ძალიან ბევრი, რა თქმა უნდა...

— მაგრამ ამ ვერსიებს საფუძველად ხომ ფაქტები უნდა დაუდო და არა შერლოკ ჰოლმის ნაკითხვით მიღებული ფანტაზიები?

— შეგეძლოთ, გეხელმძღვანელოთ პრესაში გამოქვეყნებული ვერსიებით. არც ერთმა არ დაგაყენათ რამე მნიშვნელოვან კვლევებზე შეისწავლეთ?

— მოდი, ალარ ნავიდეთ შორს — გამოქვეყნდა ელენე თევდორაძის ვერსია კასეტასთან დაკავშირებით და ელენეს ნათქვამზე შეადგინე ვერსია. მიდხარ და ეკითხები. ის კი გაასუზობს, — რა ვიცი, რალაც გავიგე, სურგუნიაკო. ამაზე უნდა ავგო გამოძიება? ამ თანმიმდევრობით სანაიას საქმეზე ათასი ვერსია უნდა შეგვემონებინა? თქვენც ხომ გახსოვთ, უამრავ რამეს იგონებდნენ მაშინ. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ყველაფერს სწორად და ამბობდა.

— მაგრამ, კასეტის გარდა, კიდევ უამრავი ვერსია იყო ისეთი, რომლის შესწავლა, ალბათ, ღირდა — ის, რომ გიორგის გარდაცვალებამდე აჭარაში ჰქონდა შეხვედრები, ან ის, რომ რამდენიმე დღით ადრე ის უვანისა და ცეცხლს სცემდა და კიდევ სხვა მრავალი ასეთი... ეს ყველაფერი გადაიწმინდა?

— აუცილებლად გადაიწმინდებოდა, ჩემო კარგო, ალარ მახსოვს დეტალები. ცამეტი წელია გასული, ხო? არსებობს ცოცხალი ადამიანი, რომელიც გამოვიდა პროცესზე და თქვა ყველაფერი, რა მოხდა.

— მაგრამ სწორად გავიგია, რომ კონკრეტული ადამიანი საკუთარ თავზე იღებს დანაშაულს კონკრეტული მიზეზების გამო...

— თუ ვინმეს აინტერესებს ამ საქმის გახსნის დეტალები, დადგა დრო ამოვიღოთ არქივი და ვნახოთ, პასუხი გავცეთ ყველა არსებულ კითხვას...

— მაგრამ რა უფული იმას, რომ არსებობს ეჭვი შეკვეთილ მკვლელობაზე, ასე რომ ყოფილიყო, ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს დანაშაულს რომელიმე ეტაპზე იტყვის, რომ შეკვეთა შეასრულა?

— ფაქტია, რომ არ გამოჩნდა შეკვეთილი მკვლელობა. ეს არც გრიტკოს ფინანსებს დაეჭვო და არც მის ოჯახს... მერე საკითხი კი ის არის, მე რა ვქნა, თუ არაფერი სხვა არ ჩანს რეალური. ჭორებს ავყევ? ჩემთვის იმ პიროვნებასთან ლაპარაკი, ვისაც მგონია, რომ წინასწარ დაგეგმილი, მეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობების დროს მკვლელი შემთხვევის ადგილზე ტოვებს მის საიდენტიფიკაციო კვლებს, იარაღის ტყვიას, რომელიც რეგისტრირებული იარაღიდანაა გასროლილი და ამ იარაღს კიდევ ინახავს, ძნელია.



გია კორკოტაშვილი: „ყველაფერს ვფიცავ, თუ წვეტიანი ქვით არ გამოვიღე და ჩემი სათქმელი არ ვუთხრა მათ პირადად“



მერიის დაქვემდებარებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭო შეიქმნება. ეს პირადად გია კორკოტაშვილისა და მისი სამეგობროს მოთხოვნა თუ თხოვნა დავით ნარმანიას მისამართით. თავად კორკოტაშვილის განცხადებით, დედაქალაქის ახალი მერი თანახმაა, „კორკოტას“ ნებას დაჰყვეს, ოღონდ ამისთვის მან დრო ითხოვა – მერიამ პერტურბაციების გასატარებლად, აი, შემდეგ კი „ნამდვილი, ძირძველი თბილისელების“ მოსასმენად ციციშვილის. ბატონი გიაც ელოდება თავის დროს და აცხადებს, რომ შუალედებში მერს ხშირად ხვდება...

მერია და მერიის ხელმძღვანელების კონტროლი არ იქნება ერთადერთი საქმე, რომელსაც კორკოტაშვილი საკუთარ თავზე იღებს. ის პირობას დებს, რომ ნაციონალების გუნდს არათუ უკან, ხელისუფლებაში, არამედ ქუჩაშიც არ „გამოუშვებს“.


გია კორკოტაშვილი, რადიონამყვანი:

– ყოფილ პრეზიდენტს ბრალი წაუყენეს, ეს არის სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯი თქვენთვის?

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაისვას კითხვა ასე: სწორია თუ არა ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ბრალის წაყენება. არსებობს კანონი და ეს უნდა განსაჯოს კანონმა. თუ სააკაშვილი დამნაშავეა, მაშინ არავითარი ამერიკელების კარნახით არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. რაშიც დამნაშავეა მიხეილ სააკაშვილი, იმ კონკრეტულ დანაშაულზე უნდა აგოს პასუხი. ზოგიერთის ლოგიკით, არავის არ უნდა შეეხონ წინა ხელისუფლებიდან, მაგრამ იმ ადამიანებმა რა ვქნათ, ვინც ველოდებით სამართლიანობის აღდგენას? ჩვენ ძალიან დიდი საზოგადოება ვართ, რომელიც ამერიკაზეც, შევადარებთ და ევროპაზეც მალლა ვდგავართ ჩვენი დანაშაულობით და იმ მძიმე ცხოვრებით, როგორც ბოლო 9-10 წლის განმავლობაში ვცხოვრობდით. ჩვენ ველოდებით ამ სამართლიანობის აღდგენას და ეს უნდა მოიყვანოს სისრულეში პროკურატურამ. თუ ვერ მოიყვანს, მაშინ ჩვენ ჩვენს სამართალს დავაყენებთ. ძალიან მარტივი რამეა, მთელმა მსოფლიომ იცის, რაც ვალერი გელაშვილს უქნეს. იმ ქვეყანაში, სადაც გელაშვილი დეპუტატობის დროს გალახეს, მაშინ როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი იყო, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი – ვანო მერაბიშვილი, კეთილინებონ და პასუხი აგებინონ მათ დანაშაულისთვის.

– ასეთი ლოგიკით, ბოლო პერიოდში ორ დეპუტატსაც გაუსწორდნენ ფიზიკურად, მაშინ ასეთივე კატეგორიულობით უნდა მოითხოვოთ, რომ მათი მისამართითაც აღდგეს სამართლიანობა და მოციქნონ თავდამსხმელები...

– ერთ რამეს გეტყვით, უნდა განისაზღვროს, რისთვის გაილახა ვალერი



„ჩვენ ველოდებით სამართლიანობის აღდგენას და ეს სისრულეში უნდა მოიყვანოს პროკურატურამ. თუ ვერ მოიყვანს, მაშინ ჩვენ ჩვენს სამართალს დავაყენებთ“

EXCLUSIVE

გელაშვილი და რისთვის გალახეს ნაციონალების ორი დეპუტატი.

– **ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვენი აზრით?**

– რა თქმა უნდა. გელაშვილის შემთხვევაში მის მიმართ სახელმწიფოს გადამწყვეტილება იყო ფიზიკური ანგარიშსწორება, მეორე შემთხვევაში კი – საზოგადოების რისხვა. ეს ორი რადიკალური პოლუსია.

– **რა იცით, რომ საზოგადოების რისხვა იყო? ეს საქმეები ჯერ არც გამოძიებულია...**

– ყოველ შემთხვევაში, მე რა ინფორმაციაც მაქვს, სახელმწიფოს მათი გალახვის ბრძანება ნამდვილად არ გაუცია. ნაციონალებს, ბუნებრივად, მე და საქართველოზე ჩემზე მეტად შეყვარებულ ადამიანებს სულ რომ ქვით ხელში გამოსვლა დაგვჭირდეს, უკან არ დავიხვეთ. არ მივცემთ ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების უფლებას, ცხვირ-პირს დავუშტვრევთ მათ, ვისაც მოუნდება, რომ კიდევ მოვიდეს ხელისუფლებაში.

– **თუმცა ცნობილია, რომ შემოდგომიდან ისინი გააქტიურებას**

გენით, რა ძნელია ამ დროს თავის შეკავება.

– **თუმცა ნაციონალებს, როგორც თავად აცხადებენ, ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა აქვთ...**

– მე ერთ რამეს გეტყვით, ჩემთან ერთად საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი დგას, რომელიც ამ წლების განმავლობაში ხმას არ იღებდა და ამ ადამიანებს ახალი ხელისუფლების ძალიან დიდი იმედი აქვთ. პირველ რიგში, იმედი მაქვს იმ უშიშროების სამსახურის, რომელიც უზრუნველყოფს ყველანაირი საფრთხის თავიდან აცილებას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შეძლო სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილება, მე და საქართველოზე ჩემზე მეტად შეყვარებულ ადამიანებს სულ რომ ქვით ხელში გამოსვლა დაგვჭირდეს, უკან არ დავიხვეთ. არ მივცემთ ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების უფლებას, ცხვირ-პირს დავუშტვრევთ მათ, ვისაც მოუნდება, რომ კიდევ მოვიდეს ხელისუფლებაში.

– **ნიხასარჩენოდ აცხადებდით, რომ ნარმანიას გამარჯვების შემთხვევაში მის მოადგილედ უნდა დანიშნულიყო ისეთი ადამიანი, ვისაც თქვენი მხარდაჭერა ექნებოდა...**

– მე არ მიტყვამს, ნარმანიამ აუცილებლად უნდა დანიშნოს ის მოადგილე, ვინც ჩვენ გვინდა-თქო. მე ბატონ დავითთან მაქვს ურთიერთობები, ნარმანია თავის გუნდს მკერებს მერიამში, საკრებულოში კი უკვე შეიკრიბა თბილისური გუნდი. მე ასევე მქონდა შეხვედრა თბილისელ ადამიანებთან, რომლებიც ძალიან სერიოზული ხალხია. ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას საბჭო...

– **ანუ საბჭოს შექმნის საკითხი ძალაშია?**

– კი, რა თქმა უნდა, ძალაშია. როცა ბატონ დავითს ვეკუთრებ, მითხრა, რომ მერიამში პერტურ-

ბიტი?

– კი არ შევეწინააღმდეგები, პირველი მე გადავუდგები ნინ. არსებობს ორგანიზაცია სუს-ი, სადაც საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები მუშაობენ. თუ მათ რაიმე დახმარება დასჭირდებათ იმაში, რომ უზრუნველყოთ საქართველოს კეთილდღეობა, ბუნებრივად, მე მათ გვერდში დავუდგები. ნაციონალებმა მე და ჩემსაირ ადამიანებს ცხოვრება დაგვინგრიეს. ამ ცხრა წლის განმავლობაში თითქოს ვიცოცხლე, მაგრამ ეს არ ყოფილა სიცოცხლე. ყველაფერს ვფიცავ, თუ წვეტიანი ქვით არ გამოვიღე და ჩემი სათქმელი არ ვუთხრა მათ პირადად. ჩვენ ერთმანეთს დავუდგებით გვერდზე და არ დავუშვებთ ნაციონალების ხელისუფლებაში კიდევ ერთხელ დასვლას. მათი დაბრუნება ჩვენს დასოცვას ნიშნავს. ჩვენ კი ამას არ დავუშვებთ.

– **ნიხასარჩენოდ აცხადებდით, რომ ნარმანიას გამარჯვების შემთხვევაში მის მოადგილედ უნდა დანიშნულიყო ისეთი ადამიანი, ვისაც თქვენი მხარდაჭერა ექნებოდა...**

– მე არ მიტყვამს, ნარმანიამ აუცილებლად უნდა დანიშნოს ის მოადგილე, ვინც ჩვენ გვინდა-თქო. მე ბატონ დავითთან მაქვს ურთიერთობები, ნარმანია თავის გუნდს მკერებს მერიამში, საკრებულოში კი უკვე შეიკრიბა თბილისური გუნდი. მე ასევე მქონდა შეხვედრა თბილისელ ადამიანებთან, რომლებიც ძალიან სერიოზული ხალხია. ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას საბჭო...

– **ანუ საბჭოს შექმნის საკითხი ძალაშია?**

– კი, რა თქმა უნდა, ძალაშია. როცა ბატონ დავითს ვეკუთრებ, მითხრა, რომ მერიამში პერტურ-

ბაციების განხორციელების შემდეგ შეიქმნება საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭო, რომელიც საკმაოდ უსერიოზულესი წევრებისგან დაკომპლექტდება. საბჭოში არ იქნებიან არც „ოცნების“, არც ნაციონალების წარმომადგენლები, იქ იქნებიან დამსახურებული საზოგადო მოღვაწეები. ამ ადამიანებს არც ხელუფასი ექნებათ და არც არაფერი, მაგრამ სიმართლის თქმაზე უკან არ დაიხვეწენ.

– **ნარმანიას როდის შეხვდით?**

– არჩევნების შემდეგ რამდენჯერმე შეხვდით ნარმანიას. მან მითხრა, რომ ეს ურთიერთობა აუცილებლად შენარჩუნდება, არა მგონია, მან ჩემთვის, როცა საჭირო იქნება, დრო ვერ გამოიხატოს. საბჭოს შექმნა არ ნიშნავს, რომ ჩვენი მხრიდან ახალი მთავრობის მიმართ ნდობა არ არის. უბრალოდ, არავინ არ არის დაზღვეული შეცდომისგან. თვითონ როგორც მერიის, ასევე, საკრებულოს ინტერესში უნდა შედიოდეს, რომ ადამიანებმა, რომლებიც უფრო ახლოს იცნობენ ქალაქს, თუნდაც არქიტექტურის თვალსაზრისით, მიუთითონ და რჩევები მისცენ ხელმძღვანელობას.

– **ანუ ეს საბჭო გადაწყვეტს, ვიქნათ, შუშის ხიდი იყოს იქ, სადაც არის, თუ საერთოდ აიღოს?**


– კი, ასეა, მათ უფრო იციან, როგორი ჰარმონია უფრო მოუხდება თბილისს. მე ეს ვთხოვე დავით ნარმანიას და ვუთხარი, რომ გაითვალისწინოს ჩვენი შეხედულებები.

– **საბჭოში თქვენი იქნებით?**

– მე თუ საბჭოში ვიქნები, საზოგადოებასთან ერთად ვიმუშავებ, ეს ჩემთვის საინტერესო იქნება და ვიზრუნებ იმაზე, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა შეცდომაში არ შევიდეს. საბჭოში უნდა იყვნენ საზოგადოების რიგითი წარმომადგენლები.



„არ მივცემთ ნაციონალებს უკან დაბრუნების უფლებას, ცხვირ-პირს დავუშტვრავთ იმ ადამიანებს, ვისაც მოუნდება, რომ კიდევ მოვიდეს ხელისუფლებაში“



ლალი ბუნტური:
„მეტივრამეტი დაწესებულებაში დირექტორის მოადგილე არის ბატონი ლოპუანიძე, რომელიც შვიდა გურამ დავლიანიძესთან და გააფრთხილა, რომ არ გაეხედა და ამ ფაქტზე არ ედავა“



ხათუნა მაგლობლიშვილი

გურამ დავლიანიძე ნამების მსხვერპლად აღიარებული პატიმარია. 2013 წლიდან სწორედ ამ სტატუსით იმყოფებოდა რუსეთის საპრობოლიტოში. ერთ წელზე მეტია, მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია და მაშინაც კი, როდესაც საკუთარ ადვოკატს ხვდება, ორი პატიმრის დანმარება ესაჭიროება საკნიდან პატიმრის ოთახში გადასადგილებლად. ხეივრის ეტლი ციხის თანამშრომლების მხრიდან ზნეოლის შედეგად მოხვდა. მისი ადვოკატის, ლალი ბუნტურის განცხადებით, გურამ დავლიანიძე 2010 წელს ციხის თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს, გონების დაკარგვის შემდეგ კი ჩათვალეს, რომ პატიმარი შემოაკვდა და მისი ცხედარი მორგში გადაიტანეს. სამი დღის შემდეგ კი შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ ის ისევ ცოცხალი იყო. „გაცოცხლებულ“ პატიმარს კვლავ გაუსწორდნენ და სწორედ ამ ფაქტის შედეგად მიიღო ხერხემლის ტრავმა დავლიანიძემ. თუმცა მისთვის არც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეცვლილა პირობები. პატიმრის განცხადებით, ზნეოლა და ფიზიკური ანგარიშსწორება სწორედ 2013 წლიდან გაორმაგდა.

ული. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის არაფერი შეცვლილა, უარესი მდგომარეობა თუ არა, უკეთესი ნამდვილად არაფერი მომხდარა. 2013 წლიდან მასზე ფიზიკური ზნეოლები გაორმაგდა. მიმდინარე წლის 5 აგვისტოს ის ძალიან დამძიმდა, გამოსაკვლევად და სამკურნალოდ თბილისის მეთვრამეტე დანესებულებაში გადაიყვანეს, სადაც იმ საღამოსვე გაუსწორდნენ ფიზიკურად.

– მიზეზი რა გახდა?
– მეორე ოთახიდან ნაცნობმა პატიმარმა გურამის ხმა გაიგო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იკითხა, გურამმა მისთვის უპასუხა. ცემის მიზეზიც სწორედ ეს გახდა, რატომ უპასუხე კითხვას... სწორედ ამ ფაქტის შემდეგ გადაიყვანეს პატიმარი სამარტოო საკანში, დილით შევიდა თანამშრომელი და მძინარეს პირსაწმენდით დაუწყო ცემა.

– ამის მტკიცებულება არსებობს?
– სამარტოო საკანში, სადაც გურამი გადაიყვანეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. მე სწორედ ამ კამერების ჩანაწერებს ვითხოვ. ჩანაწერში ყველაფერი გამოჩნდება, მით უფრო, რომ ორი ვიდეო დამონტაჟებულია. ჩანაწერში დეტალურად გამოჩნდება, როგორ შედის თანამშრომელი სამარტოო კამერაში, როგორ ურტყამს მძინარე პატიმარს პირსაწმენდს. როდესაც გურამი ცემამ გამოაფხიზლა, დაინახა, რომ მას რამდენიმე თანამშრომელი უსწორდებოდა. ამ დროს შევიდა მორიგე ოფიცერი და დანარჩენებს მიმართა: ბიჭო, რას აკეთებთ, ვიდუოკამერებია დამონტაჟებული პალატაში და რატომ სცემთო. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტეს ფიზიკური ანგარიშსწორება, მანამდე ურტყამდნენ ხელით, ფეხით, პირსაწმენდით.

– თავად პატიმარი რას ამბობს, რის გამო გაუსწორდნენ მეორე დღეს?
– ჰკითხა, რატომ მცემთო და უპასუხეს, გეგონა, წუხანდელი შეგრძობა? მინდა გითხრა, რომ გურამ დავლიანიძე თავად დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, ის ეტლი ზის. ეტლის სახელურები გურამმა თავად ჩაკეტა თავიდან, რომ სამარტოო საკანში არ გადაეყვანათ. თანამშრომლებმა კი ის ეტლიდან აიყვანეს და ისე გადაიყვანეს სამარტოო კამერაში, იქ კი ისე მოისროლეს თავის ეტლიდან, რომ გურამი ჯერ ლოგინზე დაფარდა და შემდეგ ძირს დაეცა. ვიდუოთვალში ეს ყველაფერი დაფიქსირებული იქნება და სწორედ ამიტომ ვითხოვ ჩანაწერს.

– რა იყო პასუხი ჩანაწერების მოთხოვნაზე?
– არ ვიცი, გადმომცემენ თუ არა ჩანაწერს, ამაში ეჭვი შემიპარა, რადგან, როდესაც დავლიანიძესთან პროკურორთან ერთად ვიყავი შესული, პროკურორმა მითხრა, მგონი, ფირები ხუთი დღე იწახება. თუმცა ვიცი, რომ ჩანაწერების შენახვის ვადა ათი დღეა ყველაფერ და ბუნებრივია, მიჩნდება კითხვა, რატომ შემიძლია ეს ათდღიანი ვადა ხუთი დღედე. მე ვითხოვ 5 და 6 აგვისტოს ჩანაწერებს. მე თვრამეტე დანესებულებაში დირექტორის მოადგილე არის ბატონი ლოპუანიძე, რომელიც შევიდა გურამ დავლიანიძესთან და გააფრთხილა, რომ არ გაეხედა და ამ ფაქტზე არ ედავა.

– ანუ აუკრძალა ცემის ფაქტის გამაჟღერება?
– დიახ, პირდაპირ ასე მოსთხოვა. როდესაც დავლიანიძემ ჰკითხა, მე რომც არაფერი ვთქვა, ამ ჩანაწერებს რას უზამთო, ლოპუანიძემ უპასუხა, ამ ვიდეომასალას ჩვენ მოუვლითო. ჩანაწერებში ისიც გამოჩნდება, როგორ შედის ლოპუანიძე პატიმართან და როგორ სთავაზობს გარდაცვალებას. დავლიანიძე წინააღმდეგობას ვერ უწევდა ცემის დროს, რადგან მას განრევატ არ შეეძლო, ის მთლიანად მათ ხელში იყო.

– კონკრეტული გვარები და სახელები შეგიძლიათ, გვითხრათ, ვინ გაუსწორდა პატიმარს?
– ფიზიკური შეურაცხყოფა ვინც მიაყენა, კონკრეტული სახელები და გვარები

გე შეწყვიტეს ფიზიკური ანგარიშსწორება, მანამდე ურტყამდნენ ხელით, ფეხით, პირსაწმენდით.

ლალი ბუნტური: „როდესაც ვეაქვს დაწესებულებაში სცემეს, ეგონათ, რომ შემოაკვდათ და მორგში გადაიყვანეს. იმ სამი დღე-ღამე ჰყავდათ და ერთ-ერთი შესვლის დროს, როდესაც ბარდაცვლილი პატიმარი მორგში ჩაიყვანეს, შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ გურამი კვლავ სუთქავდა. ამის შემდეგ ამოიყვანეს მორგიდან და ისევ სცემეს, შენ კიდევ ცოცხალი ხარო“...

მე არ ვიცი. ვიცი, რომ მასთან პირადად შევიდა დანესებულების დირექტორის მოადგილე ლოპუანიძე და ამბობს, რომ მისი ცემის ფაქტი შეაჩერა ოფიცერი, სახელად კოტე. დამნაშავეებს გამოძიება იპოვის. ამის დადგენა უმარტივესია, ამოიღებენ მორიგეობის განრიგს და ვინც იყვნენ მორიგეები 5 და 6 აგვისტოს, ანუ ისინი მონაწილეობდნენ ცემის პროცესში. დავლიანიძის საქმეს ასე არ დავტოვებ. დღეს მას, საზოგადოების გარდა, სხვა პატრონი არ ჰყავს. ის 28 წლის ბიჭია, დედა სამი წლის ასაკში გარდაეცვალა. მამა აფხაზეთის ომში დაკარგა, ჰყავს პირველი ჯგუფის ინვალიდი ბიძა, აფხაზეთის ომის მონაწილე. ის გაზარდა ბებიამ, რომელიც დღეს ინსულტინა.

– თუ ჰკითხეთ თქვენ დაცვის ქვეშ მყოფს, რამდენად ხშირია ცემის ფაქტები ციხეებში?
– მე სხვა პატიმარიც მყავს, რომელიც ასევე ნამების მსხვერპლად არის აღიარებული და მინდა გითხრა, რომ მასაც სასტიკად უსწორდებოდა საპრობოლიტოში. ვინც ნამების მსხვერპლად აღიარეს, ყველა ანალოგიურ მდგომარეობაშია თითქმის.

– ანუ მიზანმიმართულად ხდება მათ მიმართ ანგარიშსწორება? შეიძლება რომ ეს ძველი თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მუშაობდნენ?
– სამწუხაროდ, ჩვენ ამის გარკვევის უფლება არ გვაქვს. თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ, მაგალითად, თბილისის მერვე საპრობოლიტო განთავსებულ ფელე-ბული ის თანამშრომლები, რომლებიც ცემა-ნამებაში იყვნენ დადანაშაულებულნი, გადაყვანილი არიან ქუთაისში, გეგუთის სასჯელაღსრულების

დანესებულებაში. ხოლო გეგუთიდან განთავსებულ ფელე-ბული ნახეს ბათუმის საპრობოლიტოში. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ძველი თანამშრომლები უსწორდებოდნენ პატიმრებს თბილისის მდგომარეობა ძალიან მძიმე ვერ ვიტყვი.

– როგორია დღეს მისი მდგომარეობა?
– მე პროკურორთან ერთად ვიყავი შესული, თუმცა ჩვენების მიცემა ვერ შეძლო, ჯანმრთელობის მიზეზით მდგომარეობის გამო. ზოგადად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა – კუჭი, ღვიძლი, ნაღველი, ელენთა დაზიანებული აქვს, ორგანიზმში თავის ადგილზე არაფერი არ აქვს. როდესაც ადვოკატთან შესავედლად უნდა გამოვიდეს, ორ პატიმარს გამოჰყავს ხოლმე.

– ეტლი როდის ზის?
– დაჭერიდან მალე, დაახლოებით 2010 წელს, როდესაც მეექვსე დანესებულებაში სცემეს, ეგონათ, რომ შემოაკვდათ და მორგში გადაიყვანეს. იქ სამი დღე-ღამე ჰყავდათ და ერთ-ერთი შესვლის დროს, როდესაც ბარდაცვლილი პატიმარი მორგში ჩაიყვანეს, შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ გურამი კვლავ სუთქავდა. ამის შემდეგ ამოიყვანეს მორგიდან და კიდევ სცემეს, შენ კიდევ ცოცხალი ხარო... სწორედ მაშინ დაუზიანეს ხერხემალი და შედეგად დასჭირდა ეტლი.

– იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ჩანაწერები აღარ არსებობს, ცემის ფაქტის დამტკიცება ვერ მოხერხდება?
– მე პროკურორთან მიემართე დროულად, მოვითხოვე ჩანაწერების ამოღება, შემომწება და გურამ დავლიანიძის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ბუნებრივია, მომწეთა ჩვენებებიც იქნება დამატებითი მტკიცებულება, თუმცა ძირითადი მტკიცებულება ჩანაწერები გახდება. თუ აღმოჩნდება, რომ ჩანაწერები არ არსებობს, მაშინ გამოჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ ვიდუოები შეგნებულად გაანადგურეს. ასეთ შემთხვევაში, პრეტენზია შექნება იმ თანამშრომლებთან, ვისაც ამ ფირებზე ხელი მიუწვდებოდა.



ლალი ბუნტური: „თუ აღმოჩნდება, რომ ჩანაწერები არ არსებობს, მაშინ გამიჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ ვიდუოები შეგნებულად გაანადგურეს. ასეთ შემთხვევაში პრეტენზია შექნება იმ თანამშრომლებთან, ვისაც ამ ფირებზე ხელი მიუწვდებოდა“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით „სოფლის ტურიზმი“ მოთხოვნადი გახდა

ნანა შონია

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად, წელს, შიდა ტურიზმის ერთ-ერთი აქტიური და პოპულარული სახეობა „სოფლის ტურიზმი“ ანუ აგროტურიზმი, მოთხოვნადი გახდა. იმისთვის, რომ ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდის პარალელურად შიდა ტურისტული პოტენციალი გაზრდილიყო, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ახალი მიმართულებები და სხვადასხვა აქტივობები დაგეგმა.

აგროტურიზმი არის დასვენება სოფლად, ადამიანებთან, რომლებსაც აქვს თავიანთი პატარა მეურნეობა, ისინი თვითონ არიან ჩასული სტუმრების მასპინძლები, აქვთ მათი განთავსების საშუალება და შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება, რაც შეიძლება იყოს ცხენით გასიარება, თევზაობა და ა.შ. აგროტურიზმის მიმართულებით ადმინისტრაციამ გურიის მხარეში აგროტურისტული პოტენციალის კვლევა განახორციელა, რის შედეგადაც გამოვლინდა სამი პოტენციური ტურისტული ობიექტი, რომელსაც აქვს გარკვეული მზაობა იმისთვის, რომ ეთიკურად უმასპინძლოს. იმისთვის, რომ ადგილზე სასურველი მომსახურების მიღება შეძლოთ, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ არასამთავრობო სექტორის დახმარებით, რამდენიმე ოჯახში შეარჩია და მომსახურების სფეროში გადამამზადა. გარდა ამისა, თბილისის შემოგარენში უკვე ჩატარდა აგროტურიზმის კვლევა, კვლევით გამოვლინდა, რომ ადგილზე ოცამდე ობიექტი, საიდანაც ცხრა სოფლად არის გამართული.



© jazzme

შყავთ. სოფლის მოსახლეობა აცხადებს, რომ ამდენი ხალხი ზაფხულის სეზონზე არასდროს ჰყოლიათ.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროდუქტებისა და მცირე ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი თამარ მაისურაძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში მისაუბრებია, „სოფლის ტურიზმი“, მისი ბიოპროდუქტების და მსახურებით, უფრო მეტ აქტიულობას იძენს.

თამარ მაისურაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროდუქტებისა და მცირე ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი: - მისასალმებელია, რომ ზაფხულის ცხელ სეზონზე, ზღვაზე წამსვლელთა რაოდენობის პარალელურად, მკვეთრად გაზრდილია მთის კურორტებზე წამსვლელი ადამიანების რიცხვი. მთაში ძალიან კარგი ამინდებია, როგორც ტუროპერატორები ამბობენ, წელს ამ კუთხით მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. დიდია ტურისტთა რიცხვი სვანეთში, თუშეთში, ხევსურეთში. როგორც უცხოელების, ასევე შიდა ტურისტების თვალსაზრისით. ბორჯომში 14 კურორტიდან ყველაზე მიმართ მოთხოვნა წელს საკმაოდ გაზრდილია. სოფლის ტურიზმი ეკოტურიზმისა და ბიოპროდუქტების დახმარებით უფრო და უფრო აქტიური იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბორჯომის პარალელურად, საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს რაჭას. თუკი ტურიზმის ამ მიმართულებას დავხმარებთ კანიონინგს, კარგ შედეგებზე ვიხლოებით. რადგან რაჭის არაჩვეულებრივი ბუნება ამის საშუალებას იძლევა. კანიონინგის პროექტი წელს პირველად სამეგრელოში განხორციელდა. პროექტის განხორციელების საკმაოდ რთული მისია ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაისახა მიზნად და წარმატებითაც განახორციელა. ეს სრულიად ახალი ტურისტული პროდუქტია. რაც სათავგადასავლო ტურიზმის თვალსაზრისით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ადმინისტრაციის მიერ დათვალულმა იტალიელმა ექსპერტებმა ხობის წყლის ტერიტორია



© jazzme

შეისწავლეს და ადგილობრივებიც გადამამზადეს. იტალიელი სპეციალისტების დასკვნებით, ქვეყანას, ამ მხრივ, ტურისტული პოტენციალი აქვს.

კანიონინგა - საკმაოდ პოპულარული აქტივობაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მის მიმართ ინტერესი, მსოფლიო მასშტაბით იზრდება. ამ დროს გამოიყენება სპეციალური აღჭურვილობა, ის, წყლის დინების მიმართულებით გადაადგილებას გულისხმობს და მოიცავს სხვადასხვა ტექნიკას, როგორცაა: ფეხით სიარული, ჩანჩქერებზე თოკით დაშვება, ცურვა, გადმოხტომა. ეს სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული და ექსტრემალური სახეობაა. ხობის წყლის ტერიტორია, წყალზე ჩანჩქერების, ტბების, კანიონებისა და ბუნების ძეგლების განსაკუთრებული სიუზებით გამოირჩევა, რაც ზემოაღნიშნული ტურისტული პროდუქტის განვითარებისთვის კარგ წინაპირობებს ქმნის. ადგილზე ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მაქსიმალურად უსაფრთხო გადაადგილება შეძლოს. ტურიზმის ადმინისტრაციის ამ ახალი პროდუქტით სარგებლობა ზაფხულის სეზონზე აქტიურად არის შესაძლებელი.

ხუთდღიანი ტურის ფარგლებში, ლაშქრობის მოყვარულებმა ნახეს ეგრისის ქედი, ტოპოგრაფიის ტერიტორია, გაეცნენ ადგილობრივ ყოფას, კულტურას, ტრადიციებს, ტურისტულ რესურსებს. ჩაუტარდათ თეორიული ლექციები, რომელიც მიეძღვნა იმ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებას და ტურისტულ რესურსებს რა პოტენციალიც აქვს ამ ადგილებს სამომავლოდ; როგორც დაცული ტერიტორიის თვალსაზრისით, ასევე ტურისტული პროდუქტის განვითარების კუთხით. გზადაგზა მოეწყო დასუფთავების აქციები, რომელიც ამ მხარეში ჯერ არასოდეს ყოფილა. ამ ღონისძიებაში მონაწილე ადამიანების შერჩევა კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური გვერდის მეშვეობით გამჭვირვალად მოხდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკების ახალი მართვითი ტურიზმი. ამ კუთხით ყველაზე აქტიური ზაფხულის და შემოდგომის პირველი ნახევარია.

საქართველოს დაცული ტერიტორიები მოიცავს თოთხმეტ სახელმწიფო ნაკრძალს, ათ ეროვნულ პარკს,



რომაც ბუნების ძეგლს, ორ დაცულ ლანდშაფტს. ზაფხულის დადგომასთან ერთად დაცული ტერიტორიების მონახულების ინტერესიც იზრდება. ქართველებზე მეტად ჩვენს დაცულ ტერიტორიებს უცხოელები სტუმრობენ, თუმცა საგრძნობლად გაზრდილია შიდა ტურისტების რაოდენობაც. ამასთან, წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, ახალი ეროვნული პარკები შეიქმნა. ეს არის ყაზბეგის და ჯავახეთის ეროვნული პარკი. რომელიც რეალურად არა მარტო უცხოელებისთვის, არამედ ქართველებისთვისაც ახალი აღმოჩენაა.

- კიდევ რა ახალი მიმართულებებზე შეგვიძლია საუბარი?

ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ახალ პროექტების ჩამონახავედ შეგვიძლია გვადაროთ და ბაკურიანის ველოპარკები. ეს ის ადგილებია, რომელიც ზამთარში ყველაზე მეტი ტურისტის ყურადღებას იმყრობს, ზაფხულში კი იქ დამსვენებლები ფაქტობრივად არ არიან. ამ გარემოების შესაცვლელად წელს, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, გუდაურისა და ბაკურიანისთვის ისეთი ახალი ტურისტული პროდუქტების დანერგვა შეძლო, რომ ამ ადგილებს ტურისტები არა მხოლოდ ზამთრის, არამედ ზაფხულის სეზონზეც ესტუმრებიან. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სპეციალური პროექტის მიხედვით ადგილზე ველოპარკების განვითარება დაიწყო. რამდენიმე ველოტური და შეჯიბრის მოედნო. გასულ კვირას კი ჩემპიონატიც ჩატარდა, რომელიც ხალხმრავლობით გამოირჩეოდა.

სრულიად ახალი და ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პროდუქტია ზიპლაინი, რომელიც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დახმარებითა და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით აჭარის დაცულ ტერიტორიებში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში 5 დაცულ ტერიტორიაზე მოხდა 9 ეკოტურისტული პროდუქტის დანერგვა და შემუშავდა ქართული, ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული ნიშანი, რომლის სიმბოლოც ქართული მუხის ფოთოლია. ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ნადირობის სეზონი. ნადირობის მოყვარულთათვის დაინიშნა გადამფრენი ფრინველების ნადირობის სეზონი. წელს სეზონი სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში, პალაასტომის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა.



© jazzme

იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროექტი ფართო მასშტაბზე გათვლილი, მომავალი წლიდან ის რაჭაშიც განხორციელდება.


- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, წელს, პირველად, ტობას ფესტივალი ჩატარდა, რომ გვითხრათ, რა მიზანს ემსახურება მსგავსი სახის ღონისძიებები?

წელს, პირველად, 12-დან 16 აგვისტოს ჩათვლით, სამეგრელოში „ტობა fest“ 2014 გაიმართა. ამ ადგილების დანერგვა, ფესტივალის ფარგლებში, წელს, სრულიად უფასოდ 150 ადამიანმა შეძლო, შემადგენლობაში ინსტრუქტორები, მედიკოსები და მზარეულები იყვნენ. სამეგრელოს სათავგადასავლო პოტენციალის ზრდის კუთხით ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.



© jazzme

ემუქრება თუ არა საქართველოს ეპოლას ეპიდემია?



დასავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან, სადაც ეპოლა მკვინვარებს, საქართველოში ორი მოქალაქე შეიპოვიდა

EXCLUSIVE

სალომე გოგობია

გასულ კვირას საქართველოს საზღვარი ორმა მოქალაქემ გადმოკვეთა, რომლებიც დასავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ, სადაც ეპოლას ეპიდემია მძვინვარებს. როგორც „პრაიმტიმის“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა, ისინი დაინფიცირებულნი არ არიან, თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მანაც დაკვირვების ქვეშ იქნებიან. დასავლეთ ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ მგზავრებს ინფორმაციას აწვდიან ვირუსის შესახებ, ხოლო მათ კოორდინატებს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.



„საზღვარზე გადმოსულს თუ სიცხე აქვს, შევამოწმებთ. ასევე, შემდეგში სიცხე თუ ექნებათ, უნდა დაგვიკავშირდნენ. შემომხება მოხდება იმ ქვეყნებიდან წამოსვლიდან 21 დღის განმავლობაში. ეს სანდოა და ადრე უნდა ითქვას, ახლა დაავადების კერიდან ავადმყოფებს აღარ უშვებენ. 8 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც განგ-

ამი გამოცხადდა. არათუ ავადმყოფებს, არამედ ვინც ავადმყოფთან კონტაქტში იყო, მასაც არ უშვებენ. ჩვენთან ეპიდემიის საშიშროების ძალიან დაბალი რისკია“. განაცხადა პაატა იმნაძემ. მართალია, საქართველოს ეპოლას ეპიდემიის საშიშროება არ ემუქრება, მაგრამ ინფექციურ საავადმყოფოში სპეციალური ბოქსები მზადყოფნაშია. ევროპაში ეპოლას ვირუსით დაინფიცირების და გარდაცვალების ერთი ფაქტი უკვე დადასტურდა. კერძოდ, ესპანეთში ვირუსით მღვდელი გარდაიცვალა, რომელიც ეპიდემიის კერაში ავადმყოფების დასახმარებლად იმყოფებოდა.

ეპოლას ეპიდემიამ 2013 წლის დეკემბერში, გვინეაში იფეთქა. დღესდღეობით ეპოლას ეპიდემიები გვინეაში, ლიბერიაში, ნიგერიაში და სიერა ლეონეშია. ბოლო მონაცემებით, გარდაცვლილთა რაოდენობამ 1000 გადააჭარბა. მედიკოსებს განაცხადებით, ეს არის ეპოლას ყველაზე დიდი მასშტაბის ეპიდემიები.

ეპიდემიასთან საბრძოლველად დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში უსაფრთხოების საგანგებო ზომები მიღებულია, ემუქრება თუ არა ჩვენს ქვეყანას ეპოლას ეპიდემია? როგორც გასულ კვირას ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, ამ ეტაპზე საქართველოში ვირუსის გავრცელების საშიშროება არ არსებობს. მედიკოსები ამბობენ, რომ მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს.

რაც შეეხება ვირუსის კერას, ის სამხრეთ აფრიკის ქვეყნების ზოგიერთ რეგიონშია. თუმცა, წელს ეპიდემიამ უკვე დასავლეთ აფრიკაში იფეთქა. როგორც უცხოური მედია იტყობინება, ეპიდემიამ ამერიკამდეც მიიწვია. ეთიოპიაში საქართველოს ელჩი საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, თუ განსაკუთრებული საჭიროება არ იქნება, დასავლეთ აფრიკას, განსაკუთრებით სიერა ლეონეს, გვინეას და ლიბერიას არ ეწვიონ.

სამედიცინო ლექსიკონში ეპოლას შესახებ შემდეგ ინფორმაციას ვკითხულობთ: ეპოლას ვირუსი მიეკუთვნება ფილოვირუსების ოჯახის Ebolavirus გვარს. 1976 წელს გამოიყვანა ზაირში, ეპო-

ლას რაიონის სოფელ იამბუზუში ავადმყოფის სისხლისგან. ადამიანში ინვესიციური ინტოქსიკაციით, გამოჩნადობა, კანქვეშა და შინაგანი სისხლჩაქცევებით მიმდინარე ცხელებას. ლეტალობა 50-88%-ს აღწევს. რეზერვუარული მასპინძლები შეიძლება იყვნენ მღრღნელები და ლამურები.

ეპოლას ვირუსს შემდეგი სიმპტომები ახასიათებს: ტემპერატურის მოულოდნელი მატება, მკვეთრად გამოხატული საერთო სისუსტე, თავის და სახსრების ტკივილი. აგრეთვე, ყელის ტკივილი. ამ სიმპტომებს თან ერთვის ლებინება, დიარეა, გამოჩნადობა, ლეიქემია და თირკმლების ფუნქციის მოშლა, ზოგიერთ შემთხვევაში ხასიათდება შიდა სისხლდენით.

რაც შეეხება დაინფიცირებას, ეპოლას ვირუსი პარენჯეთოვანი გზით არ გადადის. არამედ, პირდაპირი კონტაქტის გზით სისხლში, შვებით. ასევე, პანაშენიღზე, სადაც ადამიანებს პირდაპირი კონტაქტი აქვთ ვირუსით გარდაცვლილი ადამიანის სხეულთან. ასევე, ინფექციის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მღრღნელები.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ვირუსმა ამერიკაში შეაღწია. თუმცა, პაატა იმნაძის თქმით, საუბარია ორ დაინფიცირებულ მედიკოსზე, რომლებიც დაავადების კერაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაავადდნენ.

„ამერიკელი ექთანი და ექიმი დაავადების კერაში დაავადებულთა დასახმარებლად იმყოფებოდნენ, ისინი დაინფიცირდნენ ეპოლას ვირუსით. მაშინვე ამერიკაში გადაიყვანეს სამკურნალოდ. ჯერჯერობით ცოცხლები არიან, მკურნალობენ. იმედია, გადარჩებიან. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა დაინფიცირებული ავადმყოფი ამერიკაში მოხდა. ეჭვი ჰქონდათ რუმინეთსა და გერმანიაში ვირუსის გავრცელებისა, მაგრამ ეს ეჭვი არ დადასტურდა. დაინფიცირება ხდება ავადმყოფთან პირდაპირი კონტაქტით. აფრიკის ქვეყნებში, სადაც პირობები არ აქვთ, ერთ ქოხში ცხოვრობს 15 ადამიანი, ერთი რომ დაინფიცირდება, შემდეგ დანარჩენებს გადასდებთ. სამედიცინო დახმარება იქ არ აქვთ, საშინელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებია. ექიმები, ვინც ჰყავდათ,

ყველანი დაიხოცნენ, მსოფლიოს ექიმები არიან ჩასულნი, რომ ავადმყოფებს დაეხმარონ“. - ამბობს იმნაძე.

„პრაიმტიმი“ ასევე ესაუბრა დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრის გამამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსს, ხათუნა ზახაშვილს:

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასების მიხედვით, ჩვენ ასეთი საფრთხე ძალიან ნაკლებად გვემუქრება. ვირუსის გავრცელების საფრთხე იმ მოსაზრებზე ემუქრება, სადაც დაავადების კერაა. ჯერჯერობით, ჯანმო ასე აფასებს საფრთხეებს.

- სად არის ვირუსის კერა?
- სამ კერას ასახელებენ - დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, კერებად აღიარებულია სიერა ლეონე, გვინეა და ლიბერია.

- მას მომაკვდინებელ ვირუსსაც კი უწოდებენ, ასეა?
- მომაკვდინებელი უფრო ფრთიანი ფრაზაა. თუმცა, მაღალი ლეტალობით ხასიათდება.

- რა გზით ხდება დაინფიცირება?
- როგორც მეცნიერები თვლიან, ცირკულირებს კლიმატებში. იშვიათ შემთხვევებში ხდება ცხოველიდან ადამიანზე გადასვლა. შემდეგ უკვე ადამიანიდან ადამიანზე გადადის და ასე ვრცელდება. შემდეგ ვირუსის აფეთქება იწყება. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ამ ვირუსმა იფეთქა. მეცნიერების მიერ რამდენიმე შემთხვევა აღწერილი მეოცე საუკუნის ბოლოდან. 2013 წლის დეკემბრიდან ახალი აფეთქება დაიწყო.

- როდის იქნა აღმოჩენილი? როგორც ამბობენ, ვირუსის სახელწოდება მდინარე ეპოლასგან წარმოიშვა.
- დიას, ასეა. მდინარე ეპოლასგან წარმოიშვა სახელი. ეს ვირუსი მეოცე საუკუნის ბოლოსთვის აღმოაჩინეს. კონტაქტური იყო აფრიკაში. მაღალი ლეტალობით გამოირჩევა. წელს მიმდინარეობს დასავლეთ აფრიკის სამ ქვეყანაში. დამატება გვინეა, ნიგერია.

- ემუქრება თუ არა საქართველოს ვირუსი?
- თეორიულად ამის შანსი არსებობს.

თუ საქართველოში ვირუსით ინფიცირებული შემოვა და დაავადება აქ გამოვლინდება, ამის თეორიული საფრთხე არსებობს, ინკუბაციური პერიოდი 21 დღემდეა. შეიძლება ადამიანი ჯანმრთელი შემოვიდეს და მერე აღმოაჩნდეს, იმისთვის, რომ დაინფიცირდეს, უშუალოდ იმ კერიდან უნდა მოდიოდეს, სადაც ეს ვირუსია გავრცელებული.

- როგორი სიმპტომები ახასიათებს?
- მაღალი ცხელებით იწყება, თავის ტკივილებით, კუნთების, სახსრების ტკივილებით, მასიური სისხლდენებით და ჩაქცევის შეიძლება დაიწყოს. საკმაოდ მწვავედ იწყება, გამოხატული ინტოქსიკაციით და მაღალი ტემპერატურით.

- არსებობს ვაქცინა? მედიკამენტი?
- არა, არ არსებობს. ძალიან აქტიურად მუშაობენ ამ დაავადებისთვის მედიკამენტის შერჩევაზე, რომელიც უპირატესად იმოქმედებს ეპოლას ვირუსზე.

- როდის იქნა აღმოჩენილი? როგორც ამბობენ, ვირუსის სახელწოდება მდინარე ეპოლასგან წარმოიშვა.
- დიას, ასეა. მდინარე ეპოლასგან წარმოიშვა სახელი. ეს ვირუსი მეოცე საუკუნის ბოლოსთვის აღმოაჩინეს. კონტაქტური იყო აფრიკაში. მაღალი ლეტალობით გამოირჩევა. წელს მიმდინარეობს დასავლეთ აფრიკის სამ ქვეყანაში. დამატება გვინეა, ნიგერია.

- ემუქრება თუ არა საქართველოს ვირუსი?
- თეორიულად ამის შანსი არსებობს.



სალომე გოგობია

განათლების მინისტრსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს შორის არსებული დაპირისპირება უკვე აშკარაა. ამჯერად, მათი უთანხმოების მიზეზი მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების მოდელი გახდა. მინისტრმა გამოცდების არსებულ მოდელს „არაადეკვატური“ და „არანორმალური“ უწოდა. თავად მაია მიმინოშვილმა კი ჩათვალა, რომ სანიკიძეს სათქმელის გამოხატვის პრობლემა აქვს და განმარტა, არაადეკვატურის ნაცვლად, მინისტრს „არასაკმარისი“-ს თქმა უნდოდაო.

მინისტრსა და გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელს შორის კარგა ხანია, რაც დაპირისპირება არსებობს. უფრო ადრე მათი უთანხმოების მიზეზი მეორად გამოცდებთან იყო დაკავშირებული. შარშან მიმინოშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მისაღები გამოცდების დასრულების შემდეგ, მეორადი ჩარიცხვები არ იქნებოდა, ხოლო სანიკიძემ მის ამ კატეგორიულ განცხადებას ყურადღება არ მიაქცია და მეორადი ჩარიცხვების შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო.

ფაქტია, რომ თამარ სანიკიძესა და მიმინოშვილს შორის დაპირისპირება ღია ფაზაში გადავიდა. საკითხავია, ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში?

წარსულს თუ გადავხედოთ თვალს, მაია მიმინოშვილი განათლების მინისტრებთან სიამტეხილობაში არასდროს ყოფილა. მეტიც, ის ყოველთვის გამოირჩეოდა სიხისტიტით და პრინციპულობით. ბევრი აღნიშნავდა კიდევ, რომ მასთან ურთიერთობა საკმაოდ რთულია. მინისტრებთან დაპირისპირების მიუხედავად, ის ყოველთვის ინარჩუნებდა დაკავებულ თანამდებობას.

თუმცა, გაუგებარია რატომ ცდილობს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული ცენტრი იმაზე მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებას ვიდრე აქვს? მისი მხრიდან დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობას, ყოფილი განათლების მინისტრები, რომლებთანაც წლების წინ მიმინოშვილი მუშაობდა, არ უარყოფენ. იქვე დასძენენ, რომ მინისტრობა მიმინოშვილის თვითმიზანი სულაც არ არის.

თუმცა, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ თავის დროზე შაშკინის მიერ გათავისუფლებულ მიმინოშვილს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი განათლების მინისტრობას უპირებდა. თუმცა, გაუგებარი მიზეზების გამო, მიმინოშვილი მინისტრის პორტფელის გარეშე დარჩა და კვლავ ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნეს. ამის შემდეგ, მიმინოშვილი მუდმივად აპელირებს განათლების ხარისხის დაცემაზე და ამით იმაზე მიაჩნებდა, რომ ამჟამინდელი მინისტრი საკმაოდ სუსტია.

შორს რომ არ წავიდე, გავიხსენოთ მასწავლებელთა შარშანდელი სასერტიფიკაციო გამოცდები. მაია მიმინოშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ გამოცდაზე მისულ მასწავლებლებს შემონების შედეგად ე.წ. „შპარგალკები“ აღმოუჩინეს. მაშინ მომხდარს მიმინოშვილმა სამსახურო ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან „ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია“ და „განათლების სამინისტრო პედაგოგს კვალიფიკაციის ამაღლებაში უნდა დაეხმაროს“. მიმინოშვილის ამ განცხადებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, რომ მას ეს ფაქტი არ უნდა გაესაჯაროებინა. თუმცა, მაშინ არავის უთქვამს ის, რომ გამოცდები არ იყო ანალოგიური ფაქტები წინა წლებშიც მომხდარიყო, მით უმეტეს, რომ წინა წლებშიც პედაგოგებმა გამოცდებზე დაბალი შედეგები აჩვენეს. თუმცა, მაშინ მიმინოშვილს ამაზე განგაში არ აუტყვავს. რატომ? მხოლოდ შარშან



მიმინოშვილი რთული საურთიაროო ხდება მინისტრებისთვის

„ლომაიას შემდეგ, მიმინოშვილს ყველა მინისტრთან დაპირისპირება ჰქონდა, უთანხმოებების სერია დიმიტრი შაშკინმა დაასრულა, როცა მიმინოშვილი თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მაშინ შაშკინმა მათ შორის არსებულ კონფლიქტზე განაცხადა“

ვედით სიტუაციას. ზოგჯერ ის იყო მართალი, ზოგჯერ მე. ეს ნორმალური, ჯანსაღი პროცესია. რა თქმა უნდა, მინისტრსა და მოხელეს შორის დაპირისპირება კარგი ფორმა არ არის. მაიას თავისი გამოხატვის ფორმები აქვს და ეს ამ ხელისუფლებაში არ დანაყვებულა. ეჭვი მაქვს, რომ არც დამთავრდება. იმიტომ რომ, ის ასეთი ტიპის მოხელეა. წინა ხელისუფლების დროსაც ასე იქცეოდა და ახლაც ასე იქცევა. თუმცა, კორექტულობის ფარგლებში. რა თქმა უნდა, სჯობს, რომ ეს სამინისტროდან არ გამოდიოდეს და ამის განხილვა შიგნით ხდებოდეს. მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ქალბატონი მიმინოშვილი საერთოდ არ არის ჩართული იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც რეალურად მის კომპეტენციას უკავშირდება. ამიტომაც, ასეთი კომუნიკაციის ნაკლებობა ასეთ პრობლემებს იწვევს“- აღნიშნა „პრაიმტიაიმთან“ საუბარში გვარამია.

მართალია, გია ნოდია ყველაზე მცირე დროით ატარა განათლების მინისტრის პორტფელი, მაგრამ მაია მიმინოშვილთან ურთიერთობის შესახებ მანაც საინტერესო დეტალები გვიამბო.

„ქალბატონი მაიას თავისი შეხედულებები აქვს. ის ხან ეთანხმებოდა სამინისტროს პოზიციას, ხან არა. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი იყო. ეს იყო ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა. კრიზისული და პრინციპულად პრობლემური ის არ ყოფილა. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა იყო. ქალბატონი მაია ყოველთვის მომხრე იყო მეტი გამოცდების. ის მომხრე იყო მეოთხე გამოცდის შემოღების, მაგრამ ამის მომხრე მაინცდამაინც არ ვიყავი. როდესაც გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ეს გამოცდა არ ყოფილიყო, მას ეს არ მოეწონა. თუმცა, კონფლიქტი არ ყოფილა. ის ცოტა ხანს იყო მინისტრი. ცხადია, მინისტრობა უნდოდა, როცა იყო. ჭო-

გაახსენდა მომავალი თაობა თუ მხოლოდ შარშან დაინახა პედაგოგების კვალიფიკაციის დაბალი დონე? მისი ასეთი მკვეთრი განცხადებები სხვა არაფერი იყო თუ არა იმის წარმოჩენა, რომ განათლების სამინისტრო ჯეროვნად არ ზრუნავს განათლების ხარისხზე.

აღბათ, გახსოვთ, მაია მიმინოშვილი კახა ლომიათს ფავორიტი იყო. მისი მინისტრობის პერიოდში მიმინოშვილი თავს კომფორტულად გრძობდა და ერთიანი ეროვნული გამოცდების სრულ ბატონ-პატრონად ითვლებოდა. თუმცა, სიტუაცია მაშინვე აირია, როგორც კი მინისტრი შაშკინი გახდა. მისი გათავისუფლების მიზეზად მაშინ პიროვნული შეუთავსებლობა დასახელდა.

ლომაიას შემდეგ, მიმინოშვილს


ყველა მინისტრთან დაპირისპირება ჰქონდა, უთანხმოებების სერია დიმიტრი შაშკინმა დაასრულა, როცა მიმინოშვილი თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მაშინ შაშკინმა მათ შორის არსებულ კონფლიქტზე განაცხადა, რომ საგამოცდო სისტემაში კორუფციის შესაძლებლობები მინიმუმამდე დაყვანილი, ამიტომ, შესაძლებელია უფრო ლიბერალური პოლიტიკის განხორციელება. რისი წინააღმდეგეც გახლდათ მიმინოშვილი. საუბარი გამოცდების მ+1 სისტემაზე, რომელიც აშშ-ში წარმატებით მუშაობს.

„მიმინოშვილისგან ჩვენ ძირითადად ვისმენდით - „მე ამას არ გავაკეთებ“. ის ითხოვდა, რომ წყალბურთი ციფრულად და ძველი ბურთით გვეთამაშა“- განაცხადა მაშინ შაშკინმა.

როგორც ჩანს, მაია მიმინოშვილი ამ ძველ ბურთს იმთავითვე იყო ჩაჭიდებული. მის პრინციპულობაზე და გამოხატვის ასეთ ფორმაზე საუბრობენ განათლების ყოფილი მინისტრები.

„პრაიმტიაიმი“ რამდენიმე მათგანს ესაუბრა. განათლების ყოფილი მინისტრი ნიკა გვარამია ყოფილ მოხელეს პროფესიონალს უწოდებდა. თუმცა, არ მალავს, რომ მისი მინისტრობის დროსაც მიმინოშვილს ჰქონდა მცდელობა, რომ გამოცდების ცენტრი კიდევ უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყო.

„ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. მაია ძალიან წარმატებულად უძღვებოდა თავის საქმეს. დაპირისპირება ნამდვილად არ ყოფილა. აზრთა სხვადასხვაობა ბევრჯერ იყო, ვსხდებოდით, ვარჩ-



რად ითქვა, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილმა მინისტრობა შესთავაზა, მაგრამ უარი თქვა, იმ თანამდებობაზე ყოფნა არჩია, სადაც არის. ჩემი აზრით, მიმინოშვილი ზედმეტად აფასებს თავის თანამდებობას. ის საგამოცდო ცენტრს არ განიხილავს როგორც უბრალო სამინისტროს დავალებების შემსრულებლად, არამედ აქტიურად ცდილობს მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებაში. საკმაოდ თავგამოდებით იცავს თავის პოზიციებს. ამიტომ, ხშირად, ის რთული საურთიერთო ხდება მინისტრებისთვის“.

აღნიშნა ნოდია.

თუმცა, ყველაზე ხმაურიანი და დასამახსოვრებელი დაპირისპირება მაინც შაშკინისა და მიმინოშვილის ურთიერთობა იყო.

„მაია თავისი საქმის პროფესიონალია. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ყოველთვის გვექონდა კონფლიქტი, მაია უშვებს ე.წ. პროფესიონალის შეცდომას, როდესაც ის ყველაფერს უყურებს თავისი ცენტრის პრიზმით. ძალიან ბევრ სხვა საკითხს, რომელიც განათლების სისტემას ეხება, ძალიან ვინრო გაგებით უყურებს; მხოლოდ და მხოლოდ ცენტრის კუთხით. ბუნებრივია, მაიასთან მქონდა აზრთა სხვადასხვაობა. ის მუდმივად ცდილობდა გაერთულებინა ტესტები. ამ გართულებას საზღვარი არ აქვს, რადგან შეგიძლია უფრო და უფრო რთული ტესტები მოიფიქრო. მე, როგორც განათლების მინისტრი, ამ გამოცდებს ვუყურებდი, როგორც იმ სისტემის შედეგს, რაც ახლა გვაქვს. მე სამი წლის განმავლობაში ვიყავი მინისტრი. აქედან, 2 წელი და 10 თვე მაიასთან პროფესიულ დონეზე საკმაოდ კარგად ვმუშაობდი, მიუხედავად ჩვენს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და კამათისა. როდესაც ჩავთვალე, რომ ჩვენი მუშაობის რესურსი ამოიწურა, მე მაია მიმინოშვილი გადავყენე. ამას მოჰყვა, ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელების აღმოფხვრა, როგორც შეიძლება მიმინოშვილის გადაყენება?! ახლა ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების თავის ტყვილია. ის მინისტრობისთვის არ იბრძვის. ბევრი რამ შეიძლება დავაბრალდო, მაგრამ ის არასდროს იბრძოდა მინისტრობისთვის, მას ძალიან უყვარს თავისი ცენტრი. ვთვლი, რომ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს და უნდა, რომ ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი იყოს. არ უარყოფ, რომ მიმინოშვილი პრემიერ-მინისტრს, ნიკა გილაურს სთხოვდა, რომ ცენტრი ჩემი კომპეტენციიდან გილაურის ანუ პრემიერის დაქვემდებარებაში გადასულიყო“.

ამბობს შაშკინი.

მაია მიმინოშვილის სახელი მხოლოდ განათლების მინისტრატთან დაპირისპირებებს არ უკავშირდება. მისი და გამოცდების ეროვნული ცენტრის სახელი აბიტურიენტების ფუნქციონირებისთვის სიახლოვითან, საწერი კალმების სკანდალთან, შარშანდელი სასკოლო ოლიმპიადის ტესტების წინასწარ „გაჟონვას“ და წლევანდელი CaT-ის გამოცდების სრულ კრახთან ასოცირდება.

ყველაზე სკანდალური მაინც ფიტნესკლუბთან დაკავშირებული ამბავი აღმოჩნდა. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, კონტროლის პალატამ, გამოცდების ეროვნულ ცენტრში შემოწმება ჩაატარა, დასკვნის თანახმად, ბიუჯეტის თანხები არამიზნობრივად გაიხარჯა. ამის დამადასტურებელი

„სანიკიძემ ბევრი რამ გააფუჭა განათლების სისტემაში, ის არის მავნებელი მინისტრი“



EXCLUSIVE

მასალები მაშინ „პრაიმტიმის“ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა მოაწოდა.

ალბათ, გახსოვთ, გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტს შედეგები თუ არ აკმაყოფილებს, შეუძლია შეფასება გააპროტესტოს და ნაშრომების ხელახალი შემოწმება მოითხოვოს. წლების წინ ეს მომსახურება ფასიანი გახდა და უწყებაში ამ გზით საკმაოდ სოლიდური თანხებიც შევიდა. თავის დროზე ამის შესახებ „პრაიმტიმში“ დაინერა კიდევ.

ამ გზით 2004 წელს ცენტრში 158 ათასი ლარი შევიდა, 2005 წელს - 1, 136 ათასი ლარი, 2006 წელს - 1, 669 ათასი ლარი, 2007 წელს კი - 1, 761 ათასი ლარი. ისიც კარგად გვახსოვს, 2006 წლის 3 მაისს გამოცდების ცენტრმა „ბაზისბანკში“ ანგარიში გახსნა და მთელი თანხები იქ გადაამისამართა. თუმცა, მოგვიანებით ხელშეკრულება დაარღვია და თანხა გამოცდების ცენტრში გადაზე ადრე გამოიტანა. მაშინ მიმინოშვილმა საგამოცდო ცენტრი 60 ათასზე მეტი ლარით აზარალა. ჯარიმის სახით ბანკმა სწორედ ეს თანხა დააკისრა.

რაც შეეხება საწერ კალმებში დახარჯულ კოლოსალურ თანხებს, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გამოცდების ცენტრმა საწერ კალმებში 120 ათას - 120 ათას ლარი დახარჯა. ძვირადღირებული კალმები მიმინოშვილმა შპს „ოფის ლაინისგან“ შეიძინა. 2005 წელს ათასობით კალმის შესასყიდად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან „ოფის ლაინმა“ 32 ათას 400 ლარი მიიღო, 2006 წელს - 38 ათას 720 ლარი, 2007 წელს კი თანხა 50 ათას ლარამდე გაიზარდა. მაშინ ამ საკითხით საგამოძიებო ორგანო-

„ასეთ პრობლემებს კომუნიკაციის ნაკლებობა იწვევს“

ებიც დაინტერესდნენ, რეალურად მოხდა თუ არა ათი ათასობით კალმის შეყიდვა და რაში სჭირდებოდა მიმინოშვილს ამ რაოდენობის მელანი.

ასევე, იყო ფიტნესკლუბებთან დაკავშირებული სკანდალიც. ცნობილია, რომ მიმინოშვილი საკუთარ გარეგნობას დიდ ყურადღებას უთმობს. ის ხშირად სტუმრობდა სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს. ცხადია, ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ფიტნეს-კლუბებში ფულს არა საკუთარი ხელფასიდან, არამედ პირდაპირ გამოცდების ცენტრის ბიუჯეტიდან რიცხავდა.

თავის დროზე „პრაიმტიმი“ წერდა, რომ 2006-2007 წლებში სს „ლედიფთან“ რამდენიმე ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი და რამდენიმე თანამშრომელი გახდნენ ვაკის საცურაო აუზისა და ფიტნესკლუბის წევრები და მიეცათ უფლება, ესარგებლათ მომსახურების სტანდარტული პაკეტით, რის სანაცვლოდ ცენტრის ანგარიშიდან „დედფისთვის“ 15 ათას 70 ლარი გადაირიცხა, მათ შორის, მნიშვნელოვანი ნაწილი აბიტურიენტების მიერ გადახდილი თანხებიდან. იმავე პერიოდში ცენტრის ანგარიშიდან საკმაოდ სოლიდური თანხა გადაირიცხა შპს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიისთვის“. 2006 წელს 1 400 ლარამდე გადაუხადეს ჩოგბურთის აკადემიას. ასეთი მიზნით ხარჯის განევა პირდაპირ ეწინააღმდეგება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონს“, რომლის მიხედვითაც, ასეთი შემოსავალი ცენტრს მხოლოდ პრეზიდენტის წესდებით ან რაიმე განკარგულებით უნდა მოეხმარა.

ამ ფაქტების შეჯერებით ჩნდება ლოგიკური კითხვა, იქნებ, მიმინოშვილი ცენტრისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების გავლენით საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებას ცდილობს? ან მეორე ვარიანტია, რომ ის განათლების მინისტრის პოსტს უმიზნებს.

თუმცა, თამარ სანიკიძემ განათლების მინისტრის პოსტი შეინარჩუნა. შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობის არჩევნებამდე მედიაში პერმანენტულად ინერებოდა მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ. სახელდებოდა სავარაუდო კანდიდატებიც, რომლებიც არჩევნების შემდეგ მინისტრის პორტფელს დაემშვიდობებოდნენ. მათ შორის, სახელდებოდა სანიკიძეც. თუმცა, საკადრო ცვლილებების სიო მას არ შეეხებია და მარგველაშვილის გუნდის წევრი, ჯერჯერობით, კვლავ რჩება თანამდებობაზე.

ჩნდება კითხვა, ვინ დამარცხდება სანიკიძე-მიმინოშვილის დაპირისპირებაში? ამჟამინდელი მინისტრი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ სუსტია და წინამორბედის მსგავსად, არ შეუძლია მიმინოშვილი აიძულოს მეტი პასუხისმგებლობით მოეცილოს საკითხს თუ თამაშის ნებსეც შეცვლის?

მანამდე კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რითი დასრულდება სანიკიძე-მიმინოშვილის დაპირისპირება. განათლების ყოფილი მინისტრები მიიჩნევენ, რომ მიმინოშვილი თავის პოსტს არ დაემშვიდობება, ამასთან, შემოდგომაზე მოსალოდნელ გარდაუვალ ცვლილებებს აანონსებენ.

ნიკა გვარამია მეტი კონკრეტულისგან თავს იკავებს. შაშკინი კი ლიად აცხადებს, რომ შემოდგომაზე პოსტს არა მიმინოშვილი, არ-

ამედ თამარ სანიკიძე დაემშვიდობება.

„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ შემოდგომაზე სანიკიძეს ამ თანამდებობიდან არ გაათავისუფლებენ. ამას მარტივი მიზეზი აქვს. მან ბევრი რამ გააფუჭა განათლების სისტემაში, ის არის წმინდა წყლის მავნებელი მინისტრი. იმდენად ბევრი პრობლემა შექმნა, რომ ახლა სანიკიძეს შეცვლა ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრმა პირადად აიღოს პასუხისმგებლობა ამ შეცდომებზე. ვილაცამ ხომ უნდა გამოასწოროს? - ამბობს შაშკინი.

მიმინოშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას არ ვარაუდობს ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი, თუმცა, მინისტრსა და მიმინოშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე ისიც საუბრობს.

„დაპირისპირება სახეზეა. ეს თვითონ მიმინოშვილმა უნდა თქვას, რაზე დაპირისპირება, მაგრამ ახლა ამას არავინ იტყვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო, მიმინოშვილი განათლების მინისტრად დანიშნა. შემდეგ რა მოხდა, ვინ და რატომ დაბლოკა, არ ვიცი. ამას თავისი მიზეზი ექნება. ფაქტია, რომ ამის გამო მიმინოშვილი რეფორმატორთა ჯგუფს დაუპირისპირდა. განათლების ხარისხი კატასტროფულად დავარდა. განათლების ხარისხის გამზომი გამოცდების ცენტრია, თუმცა, ხარისხის ვარდნის გამოწვევა მიმინოშვილის სტრუქტურა არ არის. ეს გამოიწვია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და სამინისტროს მიერ არამართლზომიერმა მოქმედებამ. რაც შეეხება თანამდებობიდან მიმინოშვილის გათავისუფლებას, ამის არანაირი ნიშნები არ არსებობს. მინისტრების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. პრემიერმა განაცხადა, რომ მე ვაკვირდები დანარჩენ მინისტრებს და შემდეგში მივიღებ სათანადო ზომებს. ეს პროცესი არ დასრულდება“.

აღნიშნა ნიკოლაიშვილი.

წინილებს შემოდგომაზე ითვლიან. დავულოდოთ მოვლენების განვითარებას. შემოდგომაზე არც ისე დიდი დრო დარჩა.

„მიმინოშვილისგან ჩვენ ძირითადად ვისმენდით - „მე ამას არ გავაკეთებ“

my View
მირიან გომილიძე

ოლეგ მელნიკოვი სანდრო გირგვლიანის საქმეზე ალაპარაკდა... გასულ კვირას მან სასამართლოს სკანდალური აღიარება მისცა და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც ამხილა. ამის სანაცვლოდ კი მას სასჯელი შეუმსუბუქდება და დიდი ალბათობით საპატიმროსაც დატოვებს. რატომ გადაწყვიტა აღიარებითი ჩვენების მიცემა მელნიკოვმა, რომელიც გამოძიების მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტად სახელდებოდა? აქ პასუხი მარტივია და მიაბიძგება იქნება, ვიფიქროთ, რომ მას წლების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა გაუჩნდა, ან სინდისმა შეაწუხა. ცხადია, არა. როგორც ჩანს, მან აღიარებითა და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიცემული ჩვენებით გარკვეული გარანტიები მიიღო. ამ გარანტიებს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს და სრულებითაც არ გახლავთ უკანონო. სხვათა შორის, ეს კანონი თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ამოქმედდა და თუ ბრალდებული პირი საკუთარი ჩვენებით უფრო დიდი დანაშაულის გახსნას შეუწყობს ხელს, შესაძლებელი ხდება, ის სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლდეს. სხვათა შორის, იგივე კანონით ისარგებლა თავის დროზე არჩილ კბილაშვილმა, როდესაც პატიმრების წამებაში მხილებული ლადო ზედუკაძე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

მოკლედ, მელნიკოვმა თავისუფლების სანაცვლოდ ალაპარაკება გადაწყვიტა. და ეს მხოლოდ მას შე-

უკრაინაში დაკითხვისას ოლეგ მელნიკოვი არათუ დათა ახალაიასგან დავალების მიცემას უარყოფდა, არამედ აცხადებდა, რომ „შარდენ-ბარდენ“ რეალურად სიგარეტის საყიდლად იყო გასული და არა სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ ანგარიშსწორების მიზნით



მდეგ, რაც უკრაინაში დაკავებული კუდის მაღალჩინოსანი საქართველოში ჩამოიყვანეს. თუმცა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ კიევის იზოლატორში დაკითხვისას მან თი-

თქმის ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ არანაირ დანაშაულში მას წვლილი არ მიუძღვის. კიევში ის უკრაინელმა პროკურორმა საქართველოს მთავარი პროკურატურ-

ის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხა. რას ყვებოდა მაშინ ოლეგ მელნიკოვი, ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რა უამბო მან თბილისის საქალაქო სასამართლოს გასულ კვირას. სასამართლოში მიცემული ჩვენებით ირკვევა, რომ ოლეგ მელნიკოვი სანდრო გირგვლიანის საქმეში თავს დამნაშავედ მიიჩნევს და აღიარებით ჩვენებას აძლევს. მელნიკოვმა განაცხადა, რომ „სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ ის მანქანით გადაადგილდებოდა დათა ახალაიასთან და სხვა პირებთან ერთად. მანქანა ჯერ გენერალურ პროკურატურაში მივიდა, შემდეგ კი პრეზიდენტის რეზიდენციაში მავნაბადაზე“. მელნიკოვის თქმით, ის მანქანაში იმყოფებოდა, თუმცა აქ ეს ინფორმაცია, რომ დათა ახალაია გენერალურ პროკურატურაში შეხვდა ზურაბ ადვიშვილს, ხოლო რეზიდენციაში – მიხეილ სააკაშვილს. მისი განცხადებით, ამ დროს ახალაიამ, ადვიშვილმა და სააკაშვილმა

დაგემეს, რომ სიმბოლურად უნდა დაეკავებინათ შსს-ს ოთხი თანამშრომელი, რომლებსაც მალევე გაათავისუფლებდნენ. მელნიკოვის თქმითვე, გამოძიების ეტაპზე, მას დათა ახალაიამ წინასწარ დაწერილი ჩვენება გადასცა. მისივე განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ არ მუშაობდა, პლასტი-

მისი საქართველოში ექსტრადირება განხორციელდა. ექსტრადირებამდე კი ის კიევის იზოლატორში უკრაინელმა პროკურორმა, გვარად კოზიურამ დაკითხა 2013 წლის 3 აპრილს. კიევის იზოლატორში დაკითხვის დროს ოლეგ მელნიკოვმა არ უარყო, რომ ნამდვილად იმყოფებოდა



კურ ბარათზე ანაზღაურება ერიცხებოდა. მკითხველს შეეახსენებ, რომ ოლეგ მელნიკოვი 2012 წლის 7 დეკემბერს უკრაინაში, ქალაქ კიევში საქართველოს ინტერპოლიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. 2013 წლის 21 სექტემბერს

„შარდენ-ბარში“ ვასილ სანოძის დავალების დღეზე, თუმცა არ დაადასტურა, რომ მან რაიმე მითითება მიიღო დათა ახალაიასგან სანდრო გირგვლიანისა და მისი მეგობრის მოცილეასთან დაკავშირებით. თბილისში ექსტრადირების შემდეგ კი მან სასამართლოს დეტალურად მოუყვა, როგორ

„პროკურატურა კიდევ ერთხელ დაკითხავს სალაყაიას და, ალბათ, ბრალსაც დაუყენებენ“



დაავალა კუდ-ის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მეუღლემ თავი სალაყაიამ სანდრო გირგვლიანის მოშორება, რადგანაც ის თითქოსდა აწუხებდა მის თანმხლებ გოგონას. მონმის მონათხრობის მიხედვით, ეს ყველაფერი 2006 წლის 27 იანვარს, ღამით, თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე ბარში ხდებოდა. დათა ახალაიამ, რომელმაც ტელეფონზე დარეკვა დაიწყო, ოლეგ მელნიკოვს გვერდზე მაგიდასთან მსხდომი ახალგაზრდები – სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე – დაანახვა და მათი „დაკავება“ მოსთხოვა.

უკრაინაში დაკითხვისას ოლეგ მელნიკოვი არათუ დათა ახალაიასგან დავალების მიცემას უარყოფდა, არამედ აცხადებდა, რომ „შარდენ-ბარიდან“ რეალურად სიგარეტის საყიდლად იყო გასული და არა სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ ანგარიშსწორების მიზნით. მან ასევე უარყო, რომ ბარიდან გასული კუდ-ის სხვა თანამშრომლებს შეხვდა, რომლებსაც გირგვლიანისა და ბუხაიძის გატაცებაზე მიანიშნა. მეტიც, კიევის იზოლატორში მყოფი მელნიკოვი ამტკიცებდა, რომ „შარდენ-ბარში“ მათ სუფრასთან უცხო პირი არავინ მისულა და, შესაბამისად, კონფლიქტიც არ ყოფილა.

გთავაზობთ ამონარიდს მელნიკოვის ჩვენებიდან, რომელიც მან უკრაინულ პროკურორს გასული წლის აპრილში მისცა:

„ბარიდან მე გავედი დავით ახალაიას და თავი სალაყაიას დავალებით სიგარეტის საყიდლად. ბარიდან გასვლისას არავის შევხვედრივარ. ჩემთან ერთად მანქანაშიც არავინ იმყოფებოდა. მე არ შევხვედრივარ გერონტი ალანისა, ასევე არ შევხვედრივარ სხვა ნაცნობ პირებს, აქედან გამომდინარე, მე ვერ მივუთითებდი მათ სანდრო გირგვლიანსა და მის მეგობარზე. იგივე მიზეზით, მე არ გადამიცია მათთვის რაიმე დავალება“, – აცხადებდა მელნიკოვი კიევის იზოლატორში დაკითხვის დროს, განსხვავებით თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც მან სრულიად საპირისპირო ჩვენება მისცა.

2013 წელს უკრაინიდან ექსტრადირებული, ამჟამად წინასწარ პატიმრობაში მყოფი, ოლეგ მელნიკოვის აღიარებითი ჩვენება ზუსტად შეესაბამება ვერსიას, რომელსაც მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები და ადვოკატები იმეორებდნენ მთელი ამ წლების განმავლობაში და რისაც ასევე სჯეროდა საზოგადოების უდიდეს ნაწილს.

სანდრო გირგვლიანის ბიძა, გოგი ენუქიძე „პრაიმტიმთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მელნიკოვის აღიარებითი ჩვენება საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილს ბრალი წარედგინოთ. ოჯახი, ასევე, მოითხოვს პასუხისმგებლობაზე მიეცნენ თავი სალაყაია და „შარდენ-ბარში“ მყოფი გირგვლიანის მეგობარი, თათია მაისურაძე.

– ბატონო გოგი, რამდენად კმა-



რა ჩვენება მისცა კუდ-ის ყოფილმა მაღალჩინოსანმა კიევის იზოლატორსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში?

ოფილი ხართ და ელოდით თუ არა მელნიკოვის აღიარებით ჩვენებას?

– მელნიკოვმა ეს ჩვენება მისცა იმიტომ, რომ გარკვეულწილად შეუმსუბუქდეს სასჯელი. იმიტომ აირჩია მან ეს გზა და ცხადია, მისასაღმებელია, როდესაც ბევრ რამეს, რაშიც ჩვენ ისედაც დარწმუნებულნი ვიყავით, ამ საქმის მთავარი მონაწილის ჩვენებითვე მოეფინა ნათელი.

– რატომ ფიქრობთ, რომ უნდა დადგეს თავი სალაყაიას პასუხისმგებლობის საკითხიც?

– ამის მტკიცებულება, უპირველეს ყოვლისა, არის სწორედ მელნიკოვის ჩვენება. მელნიკოვი პირდაპირ ამბობს, რომ მან მოისმინა თავი სალაყაიასა და თათია მაისურაძის საუბარი. ზუსტად ამ პერიოდში მიუთითა სალაყაიამ, „დავეხმართ გოგონას“. ასეთი დახმარებით ეს ქალბატონი აქამდეც ცნობილი იყო. ალბათ, იცით, რომ სანდროს იმეორე არ იყო ერთადერთი, ისინი ასე სხვებსაც „დახმარებია“. მაგალითად, 2005 წელს ზუსტად ოქროყანის სასაფლაოზე, ასევე, გაიტაცეს ახალგაზრდები, რომლებსაც სასტიკად გაუსწორდნენ. სანდროს ისტორია



იყო ერთ-ერთი იმ ოპერაციებიდან, რომელსაც ისინი ხშირად ატარებდნენ. სალაყაიას მითითება, რომ „დავეხმართ გოგონას“ უკვე გასაგებებს ხდოდა, როგორ უნდა დახმარებოდნენ. ოქროყანის ტერიტორია ამ

მიზნით ჰქონდათ კარგად ათვისებული. მე ვფიქრობ, პროკურატურა კიდევ ერთხელ დაკითხავს სალაყაიას და, ალბათ, ბრალსაც წაუყენებენ.

– თქვენი შეფასებით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე საბოლოოდ



გოგი ენუქიძე: „სანდროს ისტორია იყო ერთ-ერთი იმ ოპერაციებიდან, რომელსაც ისინი ხშირად ატარებდნენ. სალაყაიას მითითება – „დავეხმართ გოგონას“, უკვე გასაგებებს ხდოდა, როგორ უნდა დახმარებოდნენ. ოქროყანის ტერიტორია ამ მიზნით ჰქონდათ კარგად ათვისებული“

აღდა სამართლიანობა, თუ კიდევ გაქვთ კითხვები?

– მე ვიტყვოდი, რომ ახლა მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენის პროცესი ამ საქმეზე და, ალბათ, უახლოეს ხანში დასრულდება კიდევ.

– რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, შესაძლებელია, რომ ყოფილ პრეზიდენტს ბრალი ამ საქმეზეც დაუმიძღვროს?

– მე და ჩვენი ოჯახი უკვე წლებია, ვითხოვთ სანდროს მკვლელობის საქმეზე სააკაშვილის პასუხისმგებლობის დაყენებას, მან არა მარტო ხელი დააფარა, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა იმ სცენარის მოფიქრებაში, რა სცენარითაც ჩაიფარცხა ეს საქმე. ასევე, უნდა დადგეს ადგილობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ისინი მანამდე მფარველობდნენ დაკავებულ პირებს, სანამ საბოლოოდ არ შეინყაღეს. დღეს ყველა მათგანი აღიარებს, რამდენად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ყვებიან, როგორ მიჰყავდათ მათთან ქალები, როგორ მიჰქონდათ რესტორნიდან სუფრები და ა.შ. მათთან შედიოდნენ ვანო მერაბიშვილი და შსს-ს სხვა მაღალჩინოსნები, ერთად ქეიფობდნენ და მართავდნენ ღრეობებს. ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილმა არ იცოდა, რომელმაც უშუალოდ შეინყაღა ბრალდებულები? დღეს სააკაშვილი აცხადებს, რომ ერთადერთი შავი ლაქა მაქვს – ეს არის ის, როგორ მოვექეცი ირინა ენუქიძეს. თუ აცნობიერებს ამას, ჩამოვიდეს, ჩაჯდეს ციხეში და მოიხადოს სასჯელი. მე არ მჯერა, რომ ეს ადამიანები რაიმეს ნანობენ, შეიძლება ისინი ნანობენ ადგილების დაკარგვას, სხვას არაფერს.

– თათია მაისურაძის პასუხისმგებლობაზე მიცემასაც ითხოვთ... რატომ?

– იმიტომ, რომ მას თავის დროზე არ მიუცია სწორი ჩვენებები. იმ ფაქტებზე არ უსაუბრია, რაც მელნიკოვმა ახსენა. არადა ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი. ვგულისხმობ სალაყაიასთან საუბარს. თათიას უთქვამს თავი სალაყაიასთვის, სანდრო გირგვლიანმა შემიხსენაო. იმდენად შენუხებული უყვებოდა ამას, რომ, როგორც ჩანს, მერაბიშვილის მეუღლეს გული აუწყუა და მანაც გასცა ბრძანება: „დავეხმართ გოგონასო“. პრაქტიკულად თათია მაისურაძემ ბიძგი მისცა ამ ყველაფერს. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა მიეცეს?

მოკლედ, ოლეგ მელნიკოვის აღიარებითი ჩვენებით სანდრო გირგვლიანის ოჯახი კმაყოფილია. მელნიკოვის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობას მიესალმება მმართველი გუნდიც. ამ თემაზე კომენტარი პირადად პრემიერ-მინისტრმაც კი გააკეთა.

„მე მივესალმები ყველა ადამიანის გადაწყვეტილებას, რომ ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, ობიექტურ გამოძიებასთან, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ – და არა მხოლოდ ჩვენმა მოქალაქეებმა, არამედ მთელმა მსოფლიომ გაიგოს – ის სიმაართლე, ის სასტიკი რეალობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებობდა.“

ხელისუფლების ოპონენტები კი ფიქრობენ, რომ „მელნიკოვი პროკურატურის წინაშე კვებ მოექცა და, ზოგადად, მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმართული ბოლო პერიოდის საქმეები არასანდოდ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა, რაც პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე მიანიშნებს.“

მელნიკოვის მონათხრობზე დაყრდნობით, ექსპრეზიდენტ სააკაშვილისთვის ბრალის დაშიშვებას არ მოულის მისი ადვოკატი ოთარ კახიძე. ის ამბობს, რომ „შესაძლოა, ვიღაცისთვის გაუმართლებელი და მიუღებელი იყოს გირგვლიანის საქმეზე დაკავებული ოთხი დამნაშავეს შეწყალების ფაქტი, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს ამის უფლება ჰქონდა და მას კანონი არ დაუშლევია.“

2008 წლის ოზიდან ქპირა

ნანა შონია

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა, დემოკრატიის თვალსაზრისით, დამანგრეველი იყო. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით კატასტროფული შედეგები მიიღო, იმდენად რამდენადც ორიენტაცია ოპოზიციის განადგურებისკენ ჰქონდა აღებული და ყველაზე ახიარად ცდილობდა კონკურენტული პარტიის სრულ განადგურებას. ამიტომაც პარადოქსულია, როცა ამბობენ, რომ დასავლური ღირებულებები მათთვის მნიშვნელოვანი და რომ ისინი პროდასავლური ორიენტაციის არიან.

ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა გუნდმა და პირადად სააკაშვილმა ჩაიდინეს, ცხადია, უკვე შირდება 2008 წელს. ეს კულმინაცია იყო. მაშინდელი მეცდომების შედეგები ახლაც ხელშეახლებია. ბევრი აგვისტოს ხუთდღიან ომს მაშინდელი ხელისუფლების გამოუცდლობას აწერს, თუმცა ბევრისთვის ის მაინც კარგად დაგეგმილი სცენარის მიხედვით მოქმედებდა, რომელიც კრემლი იყო შემუშავებული. მათი არგუმენტი ასეთია: თუ რუსეთის არა, მაშინ ვის ინტერესებში შედიოდა საერთაშორისო ტერიტორიების დაკარგვა?

ამიტომაც მიაჩნიათ, რომ სააკაშვილის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ დააკარგინა ქვეყანას ტერიტორიები. ეროვნული ხელისუფლების პირობებში 2008 წელი არ მოხდებოდა. ომის შემდეგ სააკაშვილმა კი მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება, სამაგიეროდ საქართველოს მოქალაქეები დაზარალდნენ – ბევრი ძაბით მიემოსა, ათასობით ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა ახლა დევნილის სტატუსით ცხოვრობს.

მართალია, იძულებით გადაადგილებულებისთვის საგანგებო თავშესაფრები აშენდა, მაგრამ ახლა იმაზეც საუბრობენ, რომ დახმარება, რომელიც დევნილებისთვის დასაღვთიდა ან ჩამოვიდა სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიტაცა. საუბარი კი ასობით მილიონზეა. იმ შენობებზე, რომელიც დევნილებისთვის აშენდა, და მათ უზარისხობაზე შედიან მაშინვე წერდნენ. ალბათ, ამიტომაც გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ დახმარებისთვის გამოყოფილი თანხები მიზნობრივად არ დახარჯა და ის მაღალჩინოსნების ვიბეჭებში წავიდა.

2008 წლის შემდეგ ფინანსური კრიზისის მიუხედავად, დონორებმა 5 მილიარდი დოლარის კრედიტი გამოყვეს საქართველოს დასახმარებლად. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი 500 მილიონი აშშ დოლარი გალი აიღო, რომლის კვალიც არსად ჩანს და ეკრავინ ამბობს, სად წავიდა ეს ფული.

ალარაფერს ვიტყვით გორში მომხდარ ინციდენტზე, როცა თვითმფრინავების ხმით შეშინებული სააკაშვილი ისე გაიქცა, დაცვა ძლივს დაწინა... დამფრთხალი მთავარსარდლის ყურება ნამდვილად მძიმე იყო.


ბაზრის შიდა მონოპოლიზაციის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქვეყნის გარეთ უკანონო ვაჭრობაშიც იყო ჩართული, ასეთი ბრალდებები უკვე დიდი ხანია ისმის. ამ კონტექსტში თავდაცვის ყოფილ მინისტრ კეზერაშვილზე და სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიაც საუბრობენ.

ჩამონერილი ან, კეზერაშვილის მტკიცებით, ომში განადგურებული იარაღის სერიული და საიდენტიფიკაციო ნომრები სხვადასხვა ცხელ ნერტილებში აღმოაჩინეს. ეჭვებიც სწორედ ამიტომაც გაჩნდა. ამიტომაც ითქვა, რომ სააკაშვილი და კეზერაშვილი „ალ-ქაიდას“ და ბაშარ ასადის რეჟიმს ამარაგებდნენ იარაღით.

უკანონო იარაღისთვის საერთაშორისო ბაზარს კეზერაშვილი მარტო ვერ მოძებნიდა. ამბობენ, რომ აქ მას თემურ ალასანია დაეხმარა. რუსეთის სპეცსამსახურების გენერალი თემურ ალასანია „ფსბ“-ს კავშირებს სარეზონანდ იყენებდა არალეგალური ბიზნესის წარმართისთვის.

სხვა თემა სააკაშვილის გართობა, რომელზეც ასევე მილიონები იხარჯებოდა. ძვირადღირებული მასაჟისტები, ძვირადღირებული საჩუქრები მანდილოსნებისთვის, მდიდრული დასასვენებელი ადგილები, ოტელები... მოკლედ, ინტერტიმენტის სრულ პაკეტში სააკაშვილს ფულის გადახდა არ ენანებოდა.

ცხრა წლის განმავლობაში ბევრი დანაშაული და მეცდომა იყო, რომე-



ლიც სააკაშვილმა (უნდა ვალიართ, რომ პირადად ერთადერთი, რაც კარგად გამოსდის) ისე გააპარა, თითქოს ეს ყველაფერი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობისთვის სჭირდებოდა.

ახლაც, როცა მათ დანაშაულებზე ბევრი ფაქტი გამოვლენდა, ისინი კვლავაც პარატექნოლოგიების საშუალებით ცდილობენ მათ „გაპარავენ“.

ახლა სააკაშვილი ცდილობს თავი დაიხუროს ბრალდებებისგან, რომელიც მას პროკურატურამ წაუყენა. ის ირწმუნება, რომ საქმე პოლიტიკური დევნასთან გვაქვს.

მისამ პრალდვა

როცა პროკურატურამ სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარა, მედიაში კი ყველა ის ევროპული პრეზიდენტი გაიხსენეს, ვინც დასავლეთში დაუკითხავთ ან დაუკავებიათ, ნაციონალურმა გაპაროტესტეს: ეს უხეში და უადგილო შედარებაა.

მაგრამ საკმარისი იყო, პროკურატურას ის დოკუმენტები გაეხაჯაროებინა, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ედო და რომლითაც დასტურდება, რამდენი მილიონი დახარჯა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დასვენებაზე, რომ მისმა პარტიულმა თანამოაზრეებმა სიციფურ ქსელებში ობამას ხარჯები გამოაქვეყნეს.

ექსპრეზიდენტის ადვოკატმა არგუმენტი ასე ჩამოაყალიბა: ბარაკ ობამას დასვენება ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტს 7 მილიონი დაუჯდა. სააკაშვილის შემთხვევაში კი საუბარი გვაქვს 4 წელზე განახილებით 8 მილიონ ლარზე...

როგორც არ უნდა იყოს ახლა არგუმენტები, იმ ფაქტების შემდეგ, რომელიც პროკურატურამ გაასაჯაროვა, ამ ხარჯების გამოთვლა პოლიტიკურად და მორალურადაც რთული იქნება. პირველ რიგში, იმიტომ რომ ამ ხარჯების სოლიდურ ნაწილს გრიფი „საიდუმლო“ ედო.

თუმცა, ობამას თემას რომ მივებრუნდეთ, სოცსელებში მხოლოდ ციფრებით შემოიფარგლენ. ანუ ობამამაც ხომ დახარჯა 7 მილიონი, თუმცა არაფერია ნათქვამი ამ სტატისის სხვა დეტალებზე. ამერიკელები სულაც არ არიან კმაყოფილები ობამას ძვირადღირებული მოგზაურობებით და მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის და მისი ოჯახის დასვენების ხარჯებს თავად არ უნდა იხდებინ.

ასეთი მიდგომები გაჩნდა აქ სააკაშვილის მიმართაც. დოკუმენტები, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ მოხსენს, ზოგიერთ ისეთ ხარჯს შეიცავს, რომლის ახსნაც რთულია და რომლის მიმართაც სამართლიანი საყვედურები ისმის.

მიხელო სააკაშვილი პროკურატურამ სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის საქმეზე ბრალდებულად ცნო. ამავე საქმეზე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თემურაზ ჯანაშიაც პასუხისმგებელია მიცემული.

გამოძიების ცნობით, თემურაზ ჯანაშიას მეშვეობით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხელო სააკაშვილის მიერ პირადი მიზნებისთვის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ხარჯვა შეინიღბა, როგორც ფარული ხარჯები. ამ მიზნით საქართველოს პრეზიდენტ მიხელო სააკაშვილის „საიდუმლო“ განკარგულებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გამოყოფილ იქნა, ჯამში, 5 952 500 ლარი. ასევე, მიხელო სააკაშვილის გრიფი „საიდუმლო“ განკარგულებით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურს უკანონოდ დაევალა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე მათი სტუმრების, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მგზავრობისა და ცხოვრების, კოსმეტიკური პროცედურების, კვების, სწავლის, საჩუქრებისა და სუვენირების შექენის, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯების დაფინანსება.

გამოძიებით დგინდება, რომ ექსპრეზიდენტმა სახელმწიფო ფული დახარჯა როგორც პირადი, ასევე თანაგუნდელების – „ნაციონალური მოძრაობის“ არაერთი აღმწიფის დასვენებისა თუ გართობისთვის.

ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, 37 500 ევრომდე დაიხარჯა პრეზიდენტის ხუთდღიან მოგზაურობაზე სამხრეთ ტიროლის კურორტზე 2011 წლის თებერვალში, სადაც მას ახლდა

მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში და ამჟამინდელი დეპუტატი გიორგი ბარამიძე და ტელეკომპანია „იმედის“ მაშინდელი ხელმძღვანელი გიორგი არველაძე. ჩანანერებიდან ჩანს, რომ ხარჯები მოიცავდა პრეზიდენტისა და მისი ორი თანმხლები პირის ცხოვრებას ფეხნელებურ სასტუმრო Palace Merano Hotel-ში, ასევე 3 000 ევროს, რომელიც პრეზიდენტის ესთეტიკურ კლინიკაში ვიზიტის შემდეგ გადაიხადეს; სხვა, შედარებით მცირე ხარჯებში შედიოდა პრეზიდენტისთვის სათხილამურო აღჭურვილობისა და ველოსიპედის ჩაფხუტის შექენა.

სხვა დოკუმენტებში ჩანს, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 2011 წელს გამოიყო სახსრები ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში პრეზიდენტის უმცროსი შვილისთვის, ნიკოლოზისთვის 5 900 ლარის ოდენობის სასკოლო საფასურის დასაფარად; ასევე, 24 000 ლარი პრეზიდენტის უფროსი ვაჟის ედუარდის სწავლის გადასახადის დასაფარად გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში; თანხა ორ ნაწილად იქნა გადახდილი – 2010 და 2011 წელს.

კიდევ ერთ დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ დაახლოებით 114 900 ლარი დაიხარჯა, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა და თბილისის მერმა გივი უგულავამ 2010 წლის ოქტომბერში ერთი კვირა გაატარეს ავსტრიის გამაჯანსაღებელ ცენტრ Parkhotel Igls-ში.

2012 წლის მარტში გაფორმებული დოკუმენტის თანახმად, 89 000 ლარზე მეტი მოხმარდა პრეზიდენტ სააკაშვილის, მისი მრჩევლის რაფაელ გლუქსმანის, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძისა და აჭარის მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის ლევან ვარშალაძის დასვენებას 22-24 მარტს ტალიანდის კურორტ მანაპურიში.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 236 000 ლარი მოხმარდა სასტუმროს ხარჯებს, როდესაც პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირების დიდი ჯგუფი, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ 11 დეპუტატი და სხვა ოფიციალური პირები, 2013 წლის იანვრის დასაწყისში რამდენიმე დღით დუბაის სტუმრობდნენ.

გამოძიების ცნობით, 2009 წლის თებერვალში მიხელო სააკაშვილის მიერ საქართველოში მოწვეულ იქნა მასაჟისტი დოროთი შტეინი, ე.წ. „დოქტორ დოტი“, რომელსაც მიხელო სააკაშვილს შესაბამისი მომსახურება გაუწია. ამის შემდეგ დოქტორ დოტის მიერ საქართველოში სტუმრობის ამსახველი ვიდეომასალა განათავსდა ინტერნეტსივრცეში, რის შემდეგაც მისი საქართველოში ვიზიტისა და პრეზიდენტისთვის განკუთვნილ მომსახურების შესახებ ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასაჟისტი დოროთი შტეინის საქართველოში შემოყვანისას და ქვეყნის დატოვებისას მისი მხრიდან საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

პროკურატურის ინფორმაციით, მიხელო სააკაშვილისა და თემურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული მიერთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტ მიხელო სააკაშვილის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირისთვის საქართველოსა და მის ვიზიტებს გარეთ განკუთვნილ მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გათვალისწინებული ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.

კერძოდ: სასტუმროს მომსახურებისთვის გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 2 074 611 ლარი, სამგზავრო ბილეთების შესაძენად – 916 017 ლარი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიხელო სააკაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და სხვა პირების კვებით მომსახურებაზე – 1 403 966 ლარი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტით მომსახურებაზე – 2 280 196 ლარი, კოსმეტიკური პროცედურებისთვის – 673 260 ლარი, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის – 273 971 ლარი, ტანსაცმლის შესაძენად – 115 171.14 ლარი, საჩუქრებისა და სუვენირების შესაძენად – 237 354 ლარი, სხვადასხვა ხარჯების ასანაზღაურებლად – 576 508 ლარი.

პროკურატურამ თვალსაჩინოებისთვის უფრო დეტალურად წარმოადგინა მიხელო სააკაშვილის მიერ განე-

დღირებულ მასაჟებზე

საკაშვილს მისამე ბრალდება ნაუყენეს



რუსულ „ტროიკაში“ შეგებული უუნაბირო ჯაგლაბი




ული ხარჯების ნაწილი: მიხეილ სააკაშვილისთვის დაქირავებული ესპანელი მზარეულის სერჟიო ქალდერონ ლატასას შრომის ანაზღაურებისთვის, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის, მზარეულის თარჯიმნის შრომის ანაზღაურებისთვის და მზარეულის ესპანეთში მგზავრობისთვის გახარჯულია 191 643 ლარი; მიხეილ სააკაშვილის სტილისტის ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 75 181 ლარი; გიორგი უგულავას სასტუმროს მომსახურებასა და სამკურნალო-გასახდომი პროცედურებისთვის ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის გამაჯანსაღებელ ცენტრში გადახდილია 26 388 ლარი, კობა ნაყოფის, გოგა ნაჩიძის, ნუგზარ ნიკოლაურის, გიორგი გაბაშვილის, სერგო რატინის, პეტრე ციკარიშვილის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი არველაძის საზღვარგარეთ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილია 88 919 ლარი; მარიამ საჯაიას არაბეთის გაერთიანებულ სამიროებში და ქ. ბათუმში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 342 ლარი; ალანა გაგლოვას არაბეთის გაერთიანებულ სამიროებში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 401 ლარი; კრისტინა და ნატალია უსოვების სასტუმრო მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 15 873 ლარი; ვერა ქობალიას მშობლების, ასევე, მისი დის ნინა ქობალიას სამგზავრო ბილეთების შესაძენად – 38 247 ლარი; მიხეილ სააკაშვილისთვის ავიანიერის დაქირავებისთვის გადახდილია 503 383 ლარი; მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი უგულავასთვის ავსტრიაში „პორშეს“, „მერსედესისა“ და „აუდის“ მარკების ავტომანქანების დაქირავებისთვის გადახდილი იქნა 58 876 ლარი; იტალიაში, ქ. ვერონაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას ლიმუზინისა და მინივენის დაქირავებისთვის გადახდილია 45 214 ლარი; პერუში ვერტმფრენის დაქირავებისთვის გადახდილია 33 204 ლარი; საზღვარგარეთის ქვეყნებში მიხეილ სააკაშვილისთვის ველოსიპედების დაქირავებისთვის გადახდილია 35 350 ლარი; იტალიაში, ქალაქ პიზაში იანტის დაქირავებისთვის გადახდილია 25 237 ლარი; მიხეილ სააკაშვილისთვის დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკისა და ერთი ქაშმირის სპორტული პალტოს შესაძენად გადახდილია 49 499 ლარი და ხელით ნაკეთი 2 კოსტიუმის შესაძენად – 7 994,84 ლარი; აშშ-ში, ინგლისსა და საქართველოში ათი ერთეული მაჯის საათის შესაძენად გადახდილია, ჯამში, 53 283 ლარი; ქ. ლონდონში მკერდით მხატვრის მერედით ოსტრომის მიერ შესრულებული ნახატის შესაძენად გადახდილია 15 989 ლარი; ასევე, ტალიანდის კურორტ ფხუკეთში, მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქრაძის, ლევან ვარშალომიძის სასტუმროს, ავტომობილის მომსახურების, კვებისა და ავიაბილეთების ხარჯებმა ორ დღეში შეადგინა 127 858 ლარი და სხვა.

„ასევე, საზი გვინდა გავუსვათ, რომ აღნიშნული საიდუმლო ხარჯების ხარჯვის პარალელურად, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბიუჯეტებიდან პრეზიდენტის წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 2009 წელს დაიხარჯა 6 213 015 ლარი, 2010 წელს – 3 340 728 ლარი, 2011 წელს – 4 654 100 ლარი და 2012 წელს – 5 809 808 ლარი, სულ 20 007 651 ლარი, რომელთა ხარჯვის კანონიერების საკითხსაც გამოიძიება დამატებითი შეისწავლის. ამრიგად, მიხეილ სააკაშვილის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი“, – აცხადებენ პროკურატურაში.

მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას მიმართ გამოიძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

ეს მიხეილ სააკაშვილის უკვე მესამე ბრალდებაა, რაც მას პროკურატურამ წარუდგინა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკვე ბრალდებულია 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგის დარბევისა და დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე. მიხეილ სააკაშვილს დაუსწრებლად აქვს შეფარდებული წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით და გადაცემულია შიდა ძებნაზე.





ჯეოსელი

50 წელი

- უსასხულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასხულო SMS-ები
- უსასხულო ინტერნეტი

მ>სტი უსასხულო

შეიძინეთ გადახდის აპჩატებში ან უფრით *010#OK

☎ 7036 - ჯეოსელიდან (ზახი უფასოა)

☎ 110110 - ყველა ქსელიდან

www.geocell.ge

„შინდისის გმირების“ ხსოვნის უკვდავსაყოფად 12-მეტრიანი კომპოზიციის აღმართვა იგეგმება



**უსახსრობის
გამო
საუბრაობი
დროებით
შეჩაჩებულა**



EXCLUSIVE



სალომე გოგოხია

„შინდისის გმირების“ ხსოვნის უკვდავსაყოფად მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძემ საეტიკური კომპოზიცია შექმნა, რომელიც ბრძოლის ადგილას უნდა აღმართონ. 12-მეტრიანი, 17-ფიგურული პორტრეტული ძეგლის დასამზადებლად 900 ათასი ლარია საჭირო. თუმცა, უსახსრობის გამო კომპოზიციაზე მუშაობა დროებით შეჩერებულია. საქმის ინიციატორები იმედს იტოვებენ, რომ ამ საქმეში მათ გვერდში ამოუდგებთ როგორც ხელისუფლებამ, ასევე, რიგითი ქართველები.

შინდისის ბრძოლა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ეპიზოდია. 11 აგვისტოს სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან, რომელიც სადგურთან ახლოს იყო ჩასაფრებული. ერთსაათიანი ბრძოლის დროს (მონინალმდეგემ ორჯერ გამოიძახა დახმარება), ჩვიდმეტრიანი ქართველი მეტრძოლი გამორულად დაიღუპა.

ქართველი ჯარისკაცების მიმართულებით მტერი თითქმის ყველა სახის იარაღიდან ისროდა, მათ შორის ტანკებიდან (T-72) და რეაქტიული ცეცხლმტყორცნიდან. ჩვიდმეტრიანი ქართველმა მეტრძოლმა მტერს წინააღმდეგობა ბოლომდე გაუწია და ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა.

მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძემ, კომპოზიცია 6 წლის წინ შექმნა. დაღუპული ჯარისკაცების მშობლების და ცალკეული პიროვნებების გვერდში დგომით საქმე მიიმედ, მაგრამ მაინც დაიდრა.

ავჭალაში, გზისპირას, ქუჩიდანვე შეამჩნევთ თაბაშირში ჩამოსხმული 7 ჯარისკაცის სილუეტს.

ნუგზარ ჭავჭავაძე: - ყველა ქანდაკება ბრინჯაოსგან ჩამოსხმება. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი „პრაიმტიმია“. მართლა ბრწყინ-

ვალე პროექტია „გმირი“. ასეთი სერიოზული პროექტი მედიაში ჯერ არ გაკეთებულა. ამ ისტორიიდან გამომდინარე, გაჩნდა ძეგლის გაკეთების იდეა. შექმენი მაკეტი. საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. მხოლოდ ცარიელი ინიციატივით ვერ გაკეთდება. პოლიტიკაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ წინა ხელისუფლებიდან არავინ დაინტერესებულა. სანამ მთავრობა არ შეიცვალა, ძვრა არ მომხდარა. ჩვენთან მოვიდა ბატონი ირაკლი ალასანია, რომელიც გვერდში გვიდგას. თავდაცვის სამინისტრომ 17 ტონა მეტალი გამოგვიყო, ტექნიკურად მხარში გვიდგას. მათ თავიდანვე შევხირდით, რომ ფინანსურად არ შევანუხებდით. ეს არც რომელიმე კონკრეტული სამინისტროს გასაკეთებელია, საკვანძო მსარში გვიდგას. მათ თავიდანვე შევხირდით, რომ ეს ერთი პროექტის გასაკეთებელი საქმე არ არის. მცირე წვლილი ყველამ უნდა გაიღოს. ამ საქმეში თავიდანვე გვერდში გვედგა ჯამლეტ ხუხაშვილი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე. ეს საქმე მიიმედ, მაგრამ მაინც დაიდრა. შემდეგ მივმართეთ დედაქალაქის მერიას და შარშან, ახალ წლამ-

დე სევედია უგრეხელიძემ 50 ათასი ლარი გამოგვიყო. ამის შემდეგ დაფინანსება შეწყდა. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თანხები არ გვაქვსო, ბანკებმაც თანხები არ გვაქვსო. პრაქტიკულად, სამუშაო შეჩერებულია. როგორც კი ერთი ფიგურა გაკეთდება, მაშინვე ყალიბში ჩამოსხმა უნდა ხდებოდეს...

- გვიამბოთ პროექტის შესახებ.
- ძეგლი საქართველოს რუკაზე დგას. ეს იდეა მეუფე იობს ეკუთვნის. ბევრი ამ ძეგლს „ხორუმს“ ამსგავსებს, მაგრამ ასე არ არის, „ხორუმში“ უფრო დაზვერვითია, ამ ბიჭებმა კი ერთმანეთი გაიტანეს, თავი განირიეს. სულ თავში ალუკო ონიანი და რომან ზოიძეა, ნათლია-ნათლულის საოცარი ისტორია, ნათლიამ დაჭრილი ნათლული არ მიატოვა... ხელში წმინდა ნინოს ჯვარი უჭირავთ. თავიდან დავით ალმაშენელის ჯვარი იყო, მაგრამ მეუფე ანანიამ მიიჩნია წმინდა ნინოს ჯვარი. საბოლოო ჯამში, კარგი გამოვიდა. მეუფე ანანიამ გამოგვიყო ტერიტორია ძეგლისთვის, ეკლესიასთან ახლოს.

- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დაწყებული საქმე არ შეჩერდეს?
- გვინდა ყველას გავაგებინოთ, რომ

ასეთი რამ კეთდება, რომ შეძლებისდაგვარად ყველა დაგვეხმაროს ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში. რასაც ხედავთ, ეს თაბაშირშია შესრულებული. ამას ახლა ყალიბის ჩამოსხმა სჭირდება. თანაც, დრო ხომ აფუჭებს? თუ თანხა იქნა, პირობა ვდებ, გაისად, ამ დროს, ძეგლი მზად იქნება.

ვაჟა შეყლაშვილი, შინდისში დაღუპული ჯარისკაცის ილია შეყლაშვილის მამა: - ეს არ არის პატარა საქმე. თვითონ ნუგზარის კოლეგები ამბობენ, რომ ამის მსგავსი საქართველოში არ არის. ამ ყველაფერს ნუგზარი უფულოდ, მარტოდმარტო როგორ გააკეთებს? ფიზიკურად ვერ შეძლებს. ჯერ დაბლა იარუსებზე იმუშავა, მაგრამ მეორე იარუსი რომ დაიდგება, ამ სიმაღლეზე მარტო ხომ ვერ იმუშავებს? დამხმარე დასჭირდება, მაგრამ დამხმარეს თანხა უნდა გადაუხადოს. ნუგზარი ნამდვილი პატრიოტია. ყოველგვარი ჰონორარის გარეშე, ერთუზაზმით მუშაობს. გვინდა ხალხმა გაიგოს, რომ ასეთი დიდი საქმეცნო საქმე კეთდება. ამას ჩემთვის ან თავისთვის ხომ არ აკეთებს? ეროვნულ საქმეს აკეთებს. როგორ შეიძლება ეს ხე-

ლისუფლების ჩარევის გარეშე გაკეთდეს? ხომ შეიძლება მოვიდნენ და ნახონ? ერთადერთი, პრეზიდენტმა გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი, დაათვალიერეს, მაგრამ მედვიე ჯერჯერობით არ მოჰყოლია. ვიცი, რომ ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, ბევრი უსახლკაროა, ფული არ არის იმდენი, რამდენიც საჭიროა, მაგრამ ამისთვის თანხა როგორმე უნდა გამოიხანოს.


- თქვენი შვილი რომელ ნაწილში მსახურობდა?

- სენაკის მეორე ბრიგადის საშტაბო ერთეულში იყო. მე არ ვიცი ბრძოლაში თუ იყო. მეგონა ისევე სენაკში იყო. ყოველდღე მირეკავდა და თურმე, იმ დროს ომში იყო. ბოლოს 10 აგვისტოს ველაპარაკე. თურმე, ეს ჩვენი ბოლო საუბარი იყო. როცა ბრიგადამ უკან დაბრუნების ბრძანება მიიღო, ეს თურმე არაფრით გააყვავ ასეულს, ვრჩები. 4 დღე გარდაცვლილები მზეზე ეყარნენ. როცა მომისვენეს, კუბის თავი ვერ აეხადე. პატრიარქმა, ილია მეორემ ივაჟკაცა და გადმოგვცეს ცხედრები. ამას ქრისტიანი როგორ გააკეთებდა? დაიღუპენ, კარგი, მაგრამ ცხედრების ნაღების საშუალება როგორ არ უნდა მოეცათ? 23 აგვისტოს ილიას 24 წელი შეუსრულდებოდა...

P.S. მათ, ვისაც სურვილი აქვთ, რომ მცირე წვლილი შეიტანონ ამ საქმეში, შეუძლიათ „შინდისის გმირების მემორიალის ფონდის“ სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე თანხა ჩარიცხონ.

სს „ლიბერთიბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
შინდისის გმირების მემორიალის ფონდი
საბანკო ანგარიშის ნომერი
GE89LB0115119772084000 - ლარში
GE89LB0115119772084001-დოლარში.

სს „საქათველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
შინდისის გმირების მემორიალის ფონდი
საბანკო ანგარიშის ნომერი
GE15BG000000786125400 - ლარში
GE15BG000000786125400-დოლარში
GE15BG000000786125400 - ევროში
GE15BG000000786125400-ფუნტებში.



„ყველა ქანდაკება ბრინჯაოსგან ჩამოსხმება. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი „პრაიმტიმია“. მართლა ბრწყინვალე პროექტია „გმირი“. ასეთი სერიოზული პროექტი მედიაში ჯერ არ გაკეთებულა. ამ ისტორიიდან გამომდინარე, გაჩნდა ძეგლის გაკეთების იდეა. შექმენი მაკეტი. საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. მხოლოდ ცარიელი ინიციატივით ვერ გაკეთდება“

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი



paparazzi



მეკა შალიკაშვილი და გია ჯაჯანიძე



ნატო გელაშვილი



ერთი დღე ანუკი ქ



★ ONE DAY



★ ONE DAY



ორქიანსთან ერთად



★ ONE DAY



★ ONE DAY

ფოტო: თინა თუთიასანი

„გია ფერაძის დაბრუნება“ - ორი წიგნი, რომ



my View

თამარ გომბაკიძე

„გია ფერაძის დაბრუნება“ - ასე ჰქვია იმ ორი წიგნის პრეზენტაციას, რომელიც 11 აგვისტოს ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შედგა. „მე, ბებია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ და „სევდის კრებული“ - ასე ჰქვია წიგნებს, რომელიც გია ფერაძის პოეზიასა და ცხოვრებაზე და გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. პირველად „სევდის კრებული“ გიას უფროსი ძმის, ილიკო ფერაძის ინიციატივითა და თამაზ ტყემალაძის რედაქტორობით 1997 წელს გამოვიდა. თუმცა მაშინ უამრავი ლექსი დარჩა გამოუქვეყნებელი, ლექსები დიდი ტკივილითა და სევდით მოცული ავტორისა, რომელსაც გია ფერაძე ჰქვია. ტრაგიკული ბედის მქონე მსახიობი 19 აპრილს 65 წლის გახდებოდა. „რომ არა „ინტელექტი“ (ოთხ თვეში გამოსცა), ლექსების რეკლამები ისევე ცელოფანის პარკებში იდებოდა“, - გვითხრა ბატონმა ილიკომ. წიგნი „მე, ბებია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ სწორედ ბატონი ილიკოს დაწერილია და ფერაძეების ოჯახის საინტერესო ისტორიებს გვიყვება, რა თქმა უნდა, მის ცენტრში გია ფერაძეა. წიგნის პირველი ვერსია 2006 წელს გამოიცა, შეზღუდული ტირაჟითა და მხოლოდ სასაჩუქრედ. ნაკითხული მაქვს, ბატონმა ილიკომ მაჩუქა და ძალიან საინტერესოდ არის დანერვილი. მასზე ნაღობა დღემდე გრძელდება, ერთმანეთს პარავდნენ გიას ახლობლები. ამიტომაც დაიბეჭდა მეორედ, ოღონდ ბოლოში ახალი თავით - „დაბრუნება“, რომელიც მსახიობის ახლადნაპოვნი შვილის, უმცროსი გია ფერაძის გამოჩენას მიუძღვნა ბიძამ.



„ერთ-ერთი რვეული დამინარა „თუ შენ როდესაც ჩამს ცხოვრებას წიგნად გამოსცემ, დაარქვი იმას „სევდის კრებული“. სევდით გაჟღავნედი, ცხოვრებას მონატრებული ადამიანის ლექსები. ასეც გავაკეთე“

„26 წელი ისე ვიცხოვრე, არ ვიცოდი, საიდან მაქვს ქალისადმი ასეთი პატივისცემა, სუფრასთან მოქცევის ასეთი განსხვავებული მანერა. ყველას რატომღაც მე რომ ვემსახურები და უსხამ

სასმელს. აქ ჩამოსვლის შემდეგ კი მივხვდი, რომ ეს გენეტიკაა, ყველაზე ძლიერი რამ. ქართულ მინაზე ფეხი რომ დავდგი და ჰაერი ჩავისუნთქე, ჭიანჭველებმა თმის ლერიდან ფეხის ფრჩხილებამდე დამინყო სირბილი... ხარბად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე, ეს რა ჰაერია-მეთქი, გავოგნდი. უცებ მივხვდი, ეს ჩემი ჰაერია, ჩემი ქვეყანა! კავშირი შედგა, სრულყოფილების შეგრძნება დამეფულა. საქართველო ურუანტელისა და ბედნიერების ცრემლების ქვეყანაა“, - მითხრა მაშინ გიამ.

თეატრის ნამყვანი მსახიობია. მსახიობობაც გენეტიკურად გადავიდა მასში. 25 წლის რომ იყო, იუბილე გადაუხადეს. საღამოს დაარქვა - „მადლობა, დედა და მამა“. ბინას გაყვანილი და თბილისში ჩამოვალ საცხოვრებლად, მითხრა. არ იჩქარო-მეთქი, გავაფრთხილე. ფეხზე დადექი, გახდი კარგი მსახიობი, კინოსკენ აიღე მიმართულება-მეთქი. კინო პოპულარობაში ხელს ყველაზე კარგად უწყობს. შარშან ნიკიტა მიხალკოვმა კინომსახიობთათვის თვენახევრიანი კურსი გააკეთა. ახლა კინომსახიობის აკადემიას აკეთებს. მომავალ წელს იხსნება და გია იქ ჩაბარებას აპირებს. უკვე სამ სერიალში ითამაშა და ახალგაზრდული გადაცემის ნამყვანად მიიწვიეს. ნიჭიერია. თან აქტიური და მამისგან განსხვავებით მიზანდასახული პროგრესობა. მამამისს ადვილად გამოსდიოდა ყველაფერი, ჰარი-ჰარალედ. სხვას რომ ხუთჯერ სჭირდებოდა რეპეტიცია, გია ერთ რეპეტიციაზე აკეთებდა. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ჩემმა ძმისშვილმა გაიცნო სამშობლო, და, ძმა, ახლა მარიკუნასთან ჩამოვიდა, თავის დასთან. არ მინდა პრეზენტაციები, ჩემს დასთან მოვიდეთ, მშვიდად მინდა დასვენება. წიგნის პრეზენტაციაზე

უმცროსი გია ფერაძე - „დაბრუნება“
მამის წიგნების პრეზენტაციისთვის საქართველოს უმცროსი გია ფერაძე ესტუმრა. გია პირველად სამი წლის წინ ესტუმრა საქართველოს და „პრაიმტი-ა




გია ფერაძე (უმცროსი):
„ქართულ მინაზე ფეხი რომ დავდგი და ჰაერი ჩავისუნთქე, ჭიანჭველებმა თმის ლერიდან ფეხის ფრჩხილებამდე დამინყო სირბილი... ხარბად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე, ეს რა ჰაერია-მეთქი, გავოგნდი. უცებ მივხვდი, ეს ჩემი ჰაერია, ჩემი ქვეყანა! საქართველო ურუანტელისა და ბედნიერების ცრემლების ქვეყანაა“

ილიკო ფერაძე: - თავისი ქვეყნით გაოგნებული დარჩა. აბსოლუტურად მამის გენები აქვს, მოძრაობები, მანერები, სახის ნაკვეთები. გიას „ნიკებიც“ გამოყოფილი აქვს, ბუნებამ მასში გაიმეორა. ჩამოვიდა, დაათვალიერა, გაგვიცნო და თქვა, მივხვდი, რომ ეს არის ჩემი სამშობლო და რა უბედური ვიყავი, რომ აქამდე არ ვიცოდი, რა ბედნიერებასთან ვყოფილვარ დაკავშირებული. სამი წლის წინ ჩამოიტანა ვიდუოკოლაჟი, რომელიც გიას ფილმებიდან აქვს ანყობლი. მამამისს მიუძღვნა. მინდა ეს ვიდუო ვაჩვენო პრეზენტაციაზე მოსულთ. დედამისი ირინა კუზუბოვა არაჩვეულებრივი პოეტი ქალია. შვილი მამისა და საქართველოს დიდი სიყვარულით აღზარდა. ირინა არაჩვეულებრივი გარეგნობის გოგო იყო. ერთი თვე გაატარეს ერთად, როცა გია გასტროლოებით იყო რუსეთში. ეს, ტრაგიკულ შემთხვევამდე ორი წლით ადრე იყო. ირინას მამა ინტელიგენტი, ძველი ყაიდის სამხედრო პირი იყო, ირინა კი ყველასთვის სასურველი საპატარძლო. საქმროც კი ჰყოლია, მაგრამ გია რომ დაინახა, უარი თქვა ყველაზე - ჩემთვის ორი კაცი არსებობს, გია ფერაძე და ყველა დანარჩენი. შვილი სიყვარულით და რუდუნებით აღზარდა. არც გათხოვილა. მეორე ჩამოსვლაზე ირინა გიას ახლდა თბილისში.
გია სამარის 165 წლის აკადემიური

„სევდის კრებული“
გია ფერაძის პირველი კრებული ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ ციხეში დაწერილი ლექსებისგან შეადგინა. კრებულში ყველა ის ლექსი შევიდა, რომელიც ცილის მეკვლელობით დათრგუნული და გაუბედურებული ადამიანის



ილიკო ფერაძე ირინა კუზუბოვასთან ერთად



მე, ბები-ბაბუ, დედა, მამა და

ბია ფერაძე

„ალბათ, მეტყოდა - სალოლ, ბიძინი! ცხრა წელი იყო ჩვენ შორის სხვაობა“



პოვე ჩემი ძმისშვილი, უმცროსი გია ფერაძე, რომელსაც არც მამა ენახა და არც და-ძმები და ბიძები. მე და ჩემმა ქალიშვილმა ჩამოვიყვანეთ და მისი ჩამოსვლა ერთი დიდი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. დავწერე თავი - „დაბრუნება“. ვფიქრობდი, თუ მექნება წიგნის გამოცემის საშუალება, გამოცემ-მეთქი. გაზაფხულზე გამომცემლობა „ინტელექტის“ რედაქტორი, ზვიად კვარაცხელია გამორჩა. ასეთი დამთხვევა იყო. საჯარო ბიბლიოთეკაში ჩემი უახლოესი მეგობრის ქალიშვილი, გულიკო გორდელაძე მუშაობს. ზვიადს ბიბლიოთეკაში მოუკითხვას, გია ფერაძეზე წიგნის გამოცემა მინდა და რაიმე მასალები ხომ არ გაქვთო. გულიკომ ჩემი ნომერი მისცა. ღმერთს უნდოდა, რომ წიგნი გამოსულიყო. ზვიადი დამიკავშირდა, მოვიდა და ამდენი მასალა რომ დავახვედრე, გაცემული დარჩა. არ ელოდა გამოუქვეყნებელი მასალების ასეთი რაოდენობა თუ დახვდებოდა. მე ჩემი წიგნიც - „მე, ბები-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ ვაჩვენე. დაინტერესათ, ამ წიგნსაც გამოცემით. ახალ გამოცემაში დამატებულია თავი „დაბრუნება“. ლექსების კრებულში შევიდა ყველა საუკეთესო ლექსი. უამრავს აქვს ნათქვამი, ხელსაზოცებზე დაწერილი გიას სხარტულები მაქვს და მოგცემო. ლექსის ერთი სტროფით დახატავდა ადამიანის პორტრეტის შტრიხს. ეს ხელსაზოცები ოჯახებში ინახებოდა. ხელსაზოცების ლექსები რომ შევადგროვო, ერთი კრებული ცალკე გამოვა.

EXCLUSIVE

ილიკო ფერაძე: „გიას, თავისი ტრაგედიის შედეგად, რამდენიმე თვე საერთოდ არ სძინებია. ციხეში ყველას რომ ეძინა, გია იჯდა და პატარა მუქზე წერდა ლექსებს. თავის სევდას ლექსების წერით იქარვებდა. მასთან პაემანზე მისულს ლექსებით სავე რვეულები გამოემქონდა და ცარიელი რვეულები და კალმები შემქონდა. ერთ ადგილას არ აჩერებდნენ, საბჭოთა კავშირის შვიდი ციხე მოიარა. უნდოდათ ციხიდან ცოცხალი არ გამოსულიყო, მაგრამ გიას ლექსებმა გააძლიერა. დავდიოდი ვლადიმერში, მანაჩკალაში, ირკუტსკში... მომქონდა ლექსები, რომელთა დიდი რაოდენობა დავანცდები იყო გადმოცემული.




ბია ფერაძე სევდის კრებული 2

ილიკო ფერაძე: - გიას თავისი ტრაგედიის შემდეგ რამდენიმე თვე საერთოდ არ სძინებია. ვერ ისვენებდა. ციხეში ყველას რომ ეძინა, გია იჯდა და პატარა მუქზე წერდა ლექსებს. თავის სევდას ლექსების წერით იქარვებდა. მასთან პაემანზე მისულს ლექსებით სავე რვეულები გამოემქონდა და ცარიელი რვეულები და კალმები შემქონდა. ერთ ადგილას არ აჩერებდნენ, საბჭოთა კავშირის შვიდი ციხე მოიარა. უნდოდათ ციხიდან ცოცხალი არ გამოსულიყო, მაგრამ გიას ლექსებმა გააძლიერა. დავდიოდი ვლადიმერში, მანაჩკალაში, ირკუტსკში... მომქონდა ლექსები, რომელთა დიდი რაოდენობა დავანცდები იყო გადმოცემული.

გროვდა. მის პოეზიაში უდიდესი სევდა და სიყვარულია. სიყვარული ოჯახის, შვილების, მეუღლის მიმართ. მწარე იუმორით აქვს დაწერილი. ამ 30-მდე რვეულში მთელი მისი ცხოვრებაა. ლექსების გარდა ხატავდა, ლექსები მისივე ნახატებით არის გაფორმებული. ჟურნალ-გაზეთებს დედა აგროვებდა, მე ჩამქონდა, მერე გია წრიდა სურათებს და ანებებდა რვეულებში, ლექსებს აფორმებდა, ამით ირთობდა თავს. ლექსებში გულიტკივილს გამოხატავდა, რადგან ბევრმა დაიხინყა ციხეში ჯდომის დროს. მეუბნებოდა, ეს ლექსი იმას მიაწოდო. დედაჩემი გადაბეჭდავდა და ადრესატებს აძლევდა. ერთ-ერთ რვეულში დამინერა „თუ

შენ როდესმე ჩემს ცხოვრებას წინადად გამოსცემ, დაარქვი მის „სევდის კრებული“. სევდით გაჟღერებული, ცხოვრებას მონატრებული ადამიანის ლექსებია. ასეც გავეკეთე. თამაზ ტყემალაძემ მაშინ ბევრი იმუშავა კრებულზე. რაღაცებს რომ ცვლიდა და მე ვეჩხუბებოდი, მეუბნებოდა, არაფერს ცვლი, სტროფებს ვაადგილებ, რედაქტორი ილია ჭავჭავაძესაც ჰყავდა, არ შეიძლება რედაქტორის გარეშე წიგნის გამოცემაო. გემოვნებიანი ლიტერატორია და საუკეთესოები აარჩია. გიას მეგობარმა მხატვარმა მალხაზ კუხაშვილმა გააფორმა წიგნი. რვეულე-

ბში როგორც ჰქონდა ჩანახატები, ისე გადაიტანა კრებულში. ამ კრებულში იყო ლექსების ზღვაში წვეთი, იმის მეათედიც არა, რაც გიას ლექსები აქვს. მაშინ 1000 ცალი დავბეჭდე. ხელიდან ხელში გადადიოდა წიგნი, დიდი მოთხოვნა იყო. 2000 წლის დასაწყისში დაწვეწვე წიგნი გიაზე, მაგრამ რომ დავფიქრდი, არამხოლოდ გიაზეა, ჩვენ ოჯახზე, ჩვენ გვარზეა. „მე, ბები-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე“ დავარქვი და მასზე ტაციაობაა. ჩემთან მოდიან, იმან მომპარა, მომეციო და ასე შემდეგ. მოკლედ, დიდი მოთხოვნაა. გავიდა წლები და ინტერნეტის მეშვეობით ვი-



„ბინას გავყიდი და თბილისში ჩამოვალ საცხოვრებლად, მითხრა. არ იჩქარო-მეთქი, გავაფრთხილა. ფახზე დაღაქი, გახდი კარგი მსახიობი, კინოსკენ აიღე მიმართულება-მეთქი. ნიჭიერია. თან აქტიური და მამისგან განსხვავებით მიზანდასახული პიროვნებაა. მამამის ადვილად გამოსდიოდა ყველაფერი, ჰარი-ჰარაღად“

გამომცემლობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დამთხვევა მოხდა. ჩემს კაბინეტში მიდევს ტიმ სევერინის წიგნი არგონავტებზე. ზვიად კვარაცხელიამ მკითხა, საიდან გაქვს ეს წიგნი? მე მასპინძელი დამ პროექტის მონაწილე ვიყავი-მეთქი. თურმე მის უფლება შეუსყიდა და დეკემბერში აპირებდნენ წიგნის გამოცემას. სევერინი თბილისში ჩამოდის-მეთქი, რომ ვუთხარი, სულ გაგიფინებ. ტიმის ჩამოსვლის დღეს დამთხვევს არგონავტების მოგზაურობის წიგნის პრეზენტაცია.

- რას იტყოდა გია პრეზენტაციას რომ დასწრებოდა?


- ალბათ, მეტყოდა - სალოლ, ბიძინი! ცხრა წელი იყო ჩვენ შორის სხვაობა. ბავშვობაში ეს დიდი სხვაობაა. მისი მეგობრები „ბიძინის“ მეძახდნენ. მე რომ დამინახავდნენ, სიგარეტს მალავდნენ. ახლა ისინი ჩემი ძმაცაცებიც არიან. მამა, ბიძინა ფერაძე, სამინისტროში მუშაობდა, ცნობილი პედაგოგი იყო. დედა თინა ჟორჯიანი ექიმი იყო. ბავშვობაში ბიძინა ფერაძის შვილი ვიყავი, მერე გია ფერაძის ძმა გავხდი. ერთხელ სასტუმრო „მოსკოვი“ ჩადიოდა და მთხოვა, ნაცნობები გყავს და ჩამიყუო. ვალენტინა პეტროვნა მოიკითხე-მეთქი, დავაბარე. რომ ჩამოვიდა ვკითხე, ვალენტინა გამოგადგა-მეთქი? კი, ილიკო ფერაძის ძმა ვარ-მეთქი ვუთხარი და იმან მკითხა - რომელი? გია ფერაძის ძმისო? ერთხელაც „ვერ აიტანა“ ჩემი ძმა რომ იყო და არა პირიქით...

„ჩემთვის ბარსელონა ყველაფერია. ჩემი და სანდროს სიყვარული იქ დაწყდა. პირველი ეპროკული კონტრაქტი იქ გაიდგომდა. მისხარია, ლუკაჩოსთან ერთად რომ მივდივარ ჩემს საყვარელ ქალაქში“

EXCLUSIVE



„სიყვარული ბევრი სიურპრიზის, მოთმინების და მრავალფეროვნების ხარჯზე ძლიერდება. ის დიდი სიყვარული, რაც მე და სანდროს გვაკავშირებს, ჩემი ლუკაჩოა. მე სცენის გარეშე არ შემიძლია, სცენა და მყურებელი ჩემი სულიერი საკვებია, მაგრამ ლუკაჩოს ჩახუტება სულ სხვა ბედნიერებაა“



ქეთი და სანდრო

ბრდღვილა ტრუსი. აწყდა ღილი, გადამხსნა შესაკრავი. მიელი სპექტაკლი ხელით მეჭირა ისე ვმლოდი. როლს კი მოუხდა წინ მოჭერილი ხელი, პატარა მორცხე ბიჭს ვასრულედი.)
არის მომენტები, როცა ძალიან დრამატული სცენის დროს სიცილი მიტყდება, ვკოცნი, ვეფერები კოლეგას და მყურებელს ჰგონია, რომ ძალიან განვიცდი და ვიტანჯები. ამ დროს მე ვკვებები სიცილით. კოლეგას ვჩქმებ და მეციება“.

გასული წელი

„ლა სკალას ტურნეტი პირველად მოვხვდი იაპონიაში. ლა სკალას ისტორიული ტურნე აქვს. რამდენიმე წელიწადში ერთხელ მიაქვს სპექტაკლები და გუნდით მიდის. აღფრთოვანებას ვერ ვშალავ ტოკიოში. საოცარი ქვეყანაა. ხალხია ალსაფრთოვანებული. იაპონელები რომ ოპერის მსმენელები და მოყვარულები არიან, მსგავსი არ მახსენდება. სპექტაკლის მერე ავტოგრაფებზე იმხელა რიგები დგას, დაიღვლები. სპექტაკლი თუ 4 საათი იყო, სამი საათი ხელს ვანერდი. სითბო, ფოტოები, ყვავილები... მომზადებულები არიან. ჩემთან ერთად ქართველი ბარიტონი გიორგი გაგნიძეც იყო. წარმატებით ჩაიარა სპექტაკლებმა. სექტემბრის მერე, იანვარში, ისევ ჩავედი ტოკიოში კარმენების დებიუტი მქონდა „ნეშენელ თეატრში“. ისევ ისეთი სითბო, აპლოდისმენტები, მიმონერა. კვლავ უნდა დავბრუნდე და მიხარია. ბერლინში, სამი წლის წინ, პატარა ბურჟუაზიასთან ერთად ვიმღერე. მისი იაპონელი ფანი იყო ჩამოსული. იოკოს მეც დავუმეგობრდი. მერე ტოკიოში რომ მოვხვდი, სასწაულ რესტორანში წამიყვანა. რა გითხრა, იქ სივით ხვდებოდა. მენიუა საოცარი - მაგალითად, მოიტანეს განთიადე დადებული კვერცხის კერძი. მესვლისას ფეხზე იხდი, მოკლედ, იაპონური მაღალი დონის რესტორანში მოვხვდი. მერე იოკო მე დავკატე კარმენზე. მერე ნიაპოლში ჩამომაკითხა და პომპეი ერთად მოვიარეთ. მსოფლიოში ყველაზე ზარმაცი ტურისტები ვარ. ქვეყნებში სულ რომ დავდივარ, მეზარება სასტუმროდან ფეხს გადადგმა. იოკომ მანქანა იქირავა და დამათვლიერებინა პომპეი. ახლა ჩამომაკითხავს ბარსელონაში, სადაც „სევი-

ლიელი დალაქით“ იხსნება სეზონი. ჩემთვის ბარსელონა ყველაფერია. ჩემი და სანდროს სიყვარული იქ დაწყდა. პირველი ეპროკული კონტრაქტი იქ გამოფორმდა. მისხარია, ლუკაჩოსთან ერთად რომ მივდივარ ჩემს საყვარელ ქალაქში. ყველას აინტერესებს როგორ გამოიჩეკა. ახსოვთ, როგორ ვმღეროდი მუცლით.
შედეგში ოქტომბერ-ნოემბერში დებიუტი მაქვს. შემდეგ ვარშავაში მივდივარ, თეატრის სამხატვრო დირექტორმა მიმინვია, დონიციეტის „მარიამ სტიუარტს“ დგამს. ჩემთან ერთად შალვა მუქერია იმღერებს. მერე ჩემს საყვარელ იაპონიაში მივდივარ და იმდენ სუშის მეჭვამ, იმდენი... გიორგი გაგნიძე ვატარე სუშის საჭმელად, მეზუთე დღეს უკვე მითხრა, არ მინდა სუში, ხორცი მინდაო. სანდროს მეჯვარეც წავიყვანე და მითხრა, მიუღივს ნლის მარაგი მაჭამეო. სუშის რომ ვხვდავ, სახელი და გვარი მავიწყდება. შემდეგ ტურინში მივდივარ. ლუკაჩო ერთ თვის იყო პირველად რომ წავედი. მესამედ უნდა ჩავიდე. მერე ბოპონემის სასახლეში ისევ ვიმღერებ, სადაც სამი კაბით წავალ.
- **კაბებს სად იქნ ხოლმე?**
- ვენაში, საკონცერტო კაბების მაღაზიაში. იქ მქონდა ნაყიდი ის კაბა სასახლეში რომ გამეღვია. ბრენდების მოყვარული არ ვარ. არ არსებობს კაბა ვიყიდო და რამე ცვლილება არ შევიტანო მასში. მანელის კაბაც რომ იყოს, რამე დეტალი უნდა შევუცვალო. 2000 წლის დასაწყისში, გაჭირვებული პერიოდი რომ იყო, ერთ კაბას სხვადასხვა დეტალებით ვცვლიდი. დეკორატივზე ცალკე მკლავიანი მისაცემელი რომ იყო მოდამი, იმ დროს ავდექი და კოლგოტს ბოლოები მოვაჭერი და ხელები გავუყარე. ისე მოეწონათ, გაგიჟდნენ - რა ლამაზი კაბა გაცვიავო.

დებიუტი მქონდა ოპერის თეატრში, ვატო მაჭავარიანი დირიჟორობდა. მე და დედამ შევეკრეთ კორსეტი და ჩავიცვი. ვხვდავ, ხალხი დაძაბული სახეებით მიყურებდა, ჩემები. დავიხვდი და ჩემი კორსეტი ქვევით არ იყო ჩასული? მოკლედ, დებიუტიდან მოყოლებული სცენის კურორები არ მაკლდება.
სანდრო და ლუკაჩო
სანდრო და ქეთი მ წელია ერთად არიან. სანდრო პრესას არ როთავს მისი და შვილის ფოტოს გამოქვეყნების ნებას, თვლის, რომ ეს ძალიან პირადი სივრცის გადაკვეთაა. ქეთიმ ერთი გამონაკლისი დაუშვა და სანდროს ფოტო მოგვცა.
„ორივეს ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს და ხშირად დავდივართ საზღვრებს გარეთ. ეს რთულიც არის და თან ძლიერდება ამ მონატრებებით სიყვარული. რთულია ამდენი მოგზაურობა. ურთიერთობის შენებით და მოთმინებით ძლიერდება გრძობა. ბევრ მომღერალს მეუფლე ემსახურება, ეწირება, არ მუშაობენ და ეხმარებიან. ეს დიდი შრომაა. შეწირვაა. სანდრო თავის მხრივ წარმატებული ადამიანია, თავისი რეჟიმი აქვს, მე - ჩემი. ვეგემავთ და ვახერხებთ ცხოვრების აწყობას. ლუკაჩოს დაბადების მერე მშობლები ძალიან მეხმარებიან. დედა ხშირად ჩამოდის. მამა სამი დღით თუ ჩამოვა ვენაში. სიყვარული ბევრი სიურპრიზის, მოთმინების და მრავალფეროვნების ხარჯზე ძლიერდება. ლუკაჩო ძალიან ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას. ის დიდი სიყვარული, რაც მე და სანდროს გვაკავშირებს, ლუკაჩოა. მე სცენის გარეშე არ შემიძლია, სცენა და მყურებელი ჩემი სულიერი საკვებია, მაგრამ ლუკაჩოს ჩახუტება სულ სხვა ბედნიერებაა“.

გერმანიის კონცერტის მერე სანტიაგოში, ჩილეში ვიმღერე. სასტუმროში ფარული თაყვანისმცემელი აღმომაჩნდა და წერილებს მიგზავნიდა. ორ კოლეგასთან ერთად ვიჯექი, ერთი იტალიელია, მეორე ესპანელი. ხელსახოცი მომიტანეს, გავხსენი და წერილი იდო შიგნით - ჩემთან შეხვედრა უნდადათ, მოხიბლულნი იყვენ ჩემით... ეს ჩემი კოლეგები გაბრაზდნენ, ხომ სუფთა ქართველები არიან ესპანელები - რა წესია, ბეჭედი გიკეთია და იქნებ ჩვენგან რომელიმე შენი ქმარიაო, სანდროს დაფურეკავთო, ამბობდნენ :) მერე ყვავილებს მიგზავნიდა მორიგად.
ავსტრიაში ბოპონემის სასახლეში სოლო კონცერტი მქონდა კურორში. კონცერტზე ორი-სამი კაბა არასდროს მიმაქვს. არაფერი გაუთვალისწინებელი არ დამმართნია. პრინცესას ოთახში ჩავიცვი კაბა, სადაც პრინცესაც ვმზადებოდა. სარკის წინ ლაღად შევიკარი და კაბა ელვასთან სულ გადაიხსნა. ათი წუთი იყო დარჩენილი სპექტაკლის დაწყებამდე. პრინცესა პანიკაში ჩავარდა - მკერავი გაგზავნილი

მყავს, არ მაქვს ნემსი და ძაფი. თავისი და შვილის კაბები გამომილაგა, ვერც ერთი ვერ მოვირგე. თუ კაბაში კარგად ვერ ვგრძნობ თავს, ვერ ვიმღერებ. გაახსენდა სადაც სასტუმროდან წამოღებული ნემსი და ძაფი. გადმოქეჩა ჩემოდანი და იპოვა. წვალვით ამოვკვსეთ. ჩვენ, მომღერლები, სიმღერისას განზე ვსუნთქავთ, სპეციფიკურად. ამიტომ სიმღერისას ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ვიფიქრე არაფერი მოხდება-მეთქი და ამოკვსილმა კაბამ მართლაც გამიძლო. კულტურის მინისტრის მოადგილე, ბადრი გრუზინსკი დაესწრო კონცერტს, გაიგო ჩემი ისტორია და მითხრა, არაფერი გეცხოვობდა 10 წუთის წინ ასეთი სტრესი თუ გადაიტანეო. მე ხშირად მეგობრებთან ასეთი კურორები. მაღრიდში ბიჭის როლს ვმღეროდი. ერთ სცენაში შარვალზე აწყდა ღილები. კაბებში ხორცისფერი საცვალი მაქვია. მოძრაობების დროს ფეხს რომ ვნეე და შემთხვევით გამოჩნდეს, კანის ფერი რომ იყოს. მარვალში რა უნდა გამოჩნდეს-მეთქი, ვიფიქრე. მეცვა

**შვიცარიანი
მცხოვრები
ქართველი პოეტის
ნოსტალგიური
კრებულები
ქართველებს**





EXCLUSIVE

„შინდის გმირების“
სწოვნის უკვდავსაყოფად
12-მეტრიანი
კომპოზიციის აღმართვა
იგეგმება თუმცა,
უსახსრობის გამო
სამუშაოები დროებით
შეჩერებულია




EXCLUSIVE



EXCLUSIVE

**„გიგ ფერაძის დაბრუნება“ -
ორი წიგნი, რომელთაც უფროსმა
ქვამ მსახიობი უკვდავყო**



**ქეთევან ჭაფიჭავაძის
სასცენო სიუჟეტებსა
და პირად ცხოვრებაზე**



„ჩემთვის ბარსელონა ყველაფერია.
ჩემი და სანდროს სიყვარული
იქ დანყო. პირველი ევროპული
კონტრაქტი იქ გამიფორმდა.
მიხარია, ლუკაჩოსთან ერთად რომ
მივდივარ ჩემს საყვარელ ქალაქში“



EXCLUSIVE

